კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო
კვლევითი ინსტიტუტი

ნათია
ჯალაგანიძე

ყაზბეგის რაიონის ოსები ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში

ქართულ-ოსური ურთიერთობის პერსპექტივა ყაზბეგის რაიონში

თბილისი

2017

შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

პროექტი – **„ქართულ-ოსური თანაცხოვრების პერსპექტივა ყაზბეგის რეგიონში"** განხორციელებულია **სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი №384/2).

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

რედაქტორები: **ლია მელიქიშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ლავრენტი ჯანიაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტი: **გულდამ ჩიქოვანი**
ისტორიის დოქტორი

ტექნიკური რედაქტორი: **ნინო ბურდული**

გარეკანის დიზაინი: **ირაკლი ხუციშვილი**

ISBN 978-9941-473-20-3

© ნათია ჯალაბაძე, 2017
© კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, 2017
© გამომცემლობა „მწიგნობარი", 2017

შინაარსი

შესავალი 5

ინტერკულტურული ურთიერთობა სასაზღვრო რეგიონში 11

ქართულ-ოსური ურთიერთობა ჰიბრიდული ომის კონტექსტში 53

„ოსური სივრცეები“, ყაზბეგის ბრენდინგი და მასთან
დაკავშირებული პრობლემები 96

დასკვნა 109

Summary 121


5033
მ. მყინვარწვერი
4451
მ. შანი
ბველეთი
ცდო
სათირგმნო
ბერგეტი
ზემოსოფელი
ყაზბეგი
ფანშეტი
თოთი
ანბოტი
გაიბოტენი
ტყარშეტი
ერშა
გორისციხე
გარბანი
ხურთისი
სიონი
ყანობი
ეარლისუბანი
ბანელეშე
ახალციხე
კარკუჩა
ჭუთა
ნარეკვავი
ბანისი
ოქროყანა
ოქროყანა
ბანი
ბანი
ბანი

შესავალი

2015-2017 წლებში რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა პროექტი „ქართულ-ოსური ურთიერთობის პერსპექტივა ყაზბეგის რაიონში“, რომლის ფარგლებშიც დაიწერა წინამდებარე ნაშრომი. საკითხის მეცნიერულად შესწავლის აუცილებლობა ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა, როდესაც რუსეთის მიერ 2008 წელს ცხინვალისა და ახალგორის ოკუპაციის შემდგომ, ყაზბეგის რაიონი რუს/ოს პოლიტიკოსთა განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოექცა; გაჟღერდა და თანდათან გააქტიურდა მათი პრეტენზიები ყაზბეგის რაიონის იმ ტერიტორიებზე, სადაც ოსები სახლობდნენ. ჩრდილო ოსეთში დაიწყო კამპანია ყაზბეგის რაიონის ჩრდილო ოსეთისათვის მიკუთვნების თაობაზე. გამოითქვა ვარაუდები, რომ ამ რეგიონთან მიმართებაში შესაძლებელია განვითარდეს გაუთვალისწინებელი პროცესები, რომლის მონაწილეებადაც ოსები და ქართველები მოგვევლინებიან, რომ რუსეთი, კვლავ ოსური ფაქტორის მანიპულირებით, ახალ სცენარს ქმნის.

საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთის შორსმიმავალ გეგმებში ოსური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ოსეთის თემა რუსეთისთვის საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტი, პოლიტიკური მანიპულირების მძლავრი ინსტრუმენტი იყო. ასეთად მოგვევლინა ის დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ შიდა ქართლის ოსებით დასახლებულ ტერიტორიაზე ბოლშევიკთა მიერ ინსპირირებულ 1918-1921 წლების აჯანყებებში, ასე იყო სამხრეთ ოსეთის ორივე (1991-1992; 2008) კონფლიქტის შემთხვევაშიც. რუსეთმა ოსეთზე დაყრდნობით მოახერხა მისთვის სასურველ ტერიტორიებზე გავლენის მოპოვება. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ოსებმა, რუსეთის დახმარებით, ქართველები შიდა ქართლის მიწებიდან გამოდევნეს და შექმნეს

საკუთარი სახელმწიფო, რომლის დამოუკიდებლობაც გაეროს მხოლოდ ოთხმა ქვეყანამ აღიარა; იმ დროს, როდესაც საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე იბრძვის თავისი უფლებების დასაცავად და საკუთარი ტერიტორიების დასაბრუნებლად, რუსეთი პრაქტიკულად ახდენს ანექსიას და ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევს საქართველოს შუაგულისკენ. პარალელურად, რუსეთის პოლიტიკურ გეგმებში ყაზბეგის თემა, კერძოდ, თრუსოს ხეობის და კობის ქვაბულის საკითხი, უფრო და უფრო აქტიური ხდება. კულუარული ინფორმაციით, რუსეთმა უკვე შეფარვით დაიწყო თრუსოს თემით მანიპულირება ჟენევის მოლაპარაკებებზე.

ისმის კითხვა, რა როლი ექნება ყაზბეგელ ოსთა და ქართველთა ურთიერთობებს რუსეთის ახალ სცენარში და როგორ გამოიყენებს მას რუსეთი თავის გეოპოლიტიკური ზრახვების მისაღწევად? აღნიშნული პროექტის შექმნა სწორედ არსებულმა მდგომარეობამ განაპირობა. კვლევის მიზანი რეგიონში დღევანდელი ვითარების, ქართულ-ოსურ ურთიერთობაში ტრადიციული ყოფისა და კულტურის, სოციალური სისტემების, ფსიქოლოგიური განწყობების, პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების როლის შესწავლა, ქართველთა და ოსთა თანაცხოვრების პერსპექტივის განსაზღვრა და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე გათვლილი მოსალოდნელი საფრთხეების გამოვლენა იყო.

საკვლევ რეგიონს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება დუშეთის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით ახალგორის და დასავლეთით ჯავის რაიონები, ანუ, არაღიარებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, და ჩრდილოეთიდან რუსეთის ფედერაციის სუბიექტი – რესპუბლიკა ჩრდილოეთ ოსეთი-ალანია. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ოსები კომპაქტურად სახლობდნენ კობის ქვაბულისა და თრუსოს ხეობის სოფლებში, საიდანაც ჩრდილოეთ ოსეთისკენ მოსახლეობის გადინება ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან დაიწყო; ოსების ჩრდილოეთით მიგრაციამ ინ-

ტენსიური ხასიათი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ 1990-იანი წლების დასაწყისისთვის მიიღო, რაც ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა (1991-1992) დააჩქარა, თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ყაზბეგის ოსების მიგრაციას ეთნიკური საფუძველი არ ჰქონია.

ოსები საქართველოში ყველაზე მეტად ინტეგრირებული არაქართული ეთნიკური ჯგუფია და, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ამავდროულად, ქართველებთან დაპირისპირებული. თეორიულად, მჭიდროდ ინტეგრირებულ საზოგადოებაში ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება არ უნდა ყალიბდებოდეს. ინტეგრაცია კონფლიქტის არარასებობას გულისხმობს. პიროვნების თითქმის ყველა თანამედროვე თეორიაში ინტეგრაციის ცნებას, „კონფლიქტისგან თავისუფალის“ მნიშვნელობა აქვს,[1] მაგრამ, საქართველოს ოსების შემთხვევაში, პრაქტიკულად, განსხვავებული სურათია; მათ შორის დაპირისპირება უმეტესად ეთნიკურ კონფლიქტად არის შეფასებული. რეალურად კი, ქართველებსა და ოსებს კეთილმეზობლობა, მეგობრობა, ნათესაური კავშირები და შერეული სისხლი მჭიდროდ აკავშირებდა, რაც, ჩვეულებრივ, მათ შორის ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტის საფუძველს არ იძლეოდა. ამგვარ კონფლიქტებს რ. ბრუბეიქერი ეთნიზირებულ ან ეთნიკურობის ჩარჩოში მოქცეულ (ethnically framed) კონფლიქტებს უწოდებს.[2] ასეთი კონფლიქტების მამოძრავებელ ძალებად ხშირად ეთნიკურ ჯგუფებს მიიჩნევენ, მაგრამ, სინამდვილეში, ეთნიკური კონფლიქტების და, მით უფრო, ეთნიკური ძალადობის ძირითადი პროტაგონისტები, არა ეთნიკური ჯგუფები, არამედ სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები არიან.[3]

---

1 Donald K. Adams, Conflict and Integration, Journal Of Personality Volume 22, Issue 4, June 1954, 1954, გვ. 548-556.

2 Brubaker, R., Ethnicity without groups, Arch.europ.sociol.,XLIII,2002, 163-189

3 Brubaker, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

ქართულ-ოსური კონფლიქტებიც ეთნიზირებული იყო და, რეალურად, პოლიტიკური ძალების მიერ ინსპირირებული.

ქართულ-ოსური ურთიერთობის მკვლევართათვის კარგად არის ცნობილი, თუ რამდენად მრავალპლანიანია ჩვენს ქვეყანაში ამ ორ ეთნოსს შორის ურთიერთობა და როგორი განსხვავებული იყო ის საქართველოს ოსებით დასახლებულ სხვადასხვა რეგიონში. მაგალითად, საქართველოს ტერიტორიაზე ოსებით კომპაქტურად დასახლებული სამი არეალი – ცხინვალის, ახალგორის და ყაზბეგის რაიონები, ინტერეთნიკური ურთიერთობის თვალსაზრისით, განსხვავებული ხასიათით გამოირჩევა. ამ განსხვავებას ნათლად წარმოაჩენს ბოლო დროის ქართულ-ოსური კონფლიქტის დინამიკა; ცხინვალის რაიონში, ახალგორთან შედარებით, ქართულ-ოსური დაპირისპირების პროვოცირება უფრო ადვილად მოხერხდა, ქართველებთან ოსების შედარებით ნაკლებად ინტეგრირების, კონფლიქტის ინსპირირების მძლავრი ბერკეტების არსებობის, საზოგადოების დეზინფორმირებისა და დეზორიენტაციის მართებულად გათვლილი პოლიტიკის პირობებში. ახალგორის რაიონში, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა ქართველთა და ოსთა ინტეგრაციის ძალზე მაღალი ხარისხით, ქართულ-ოსური ურთიერთობების პოლიტიკურ იარაღად ქცევისთვის და ეთნიკური დაპირისპირების ინსპირირებისათვის ხელსაყრელი პირობები ნაკლებად იყო; 2008 წლის აგვისტოს ომი მოულოდნელი აღმოჩნდა ახალგორის, როგორც ქართველი, ისე ოსი მოსახლეობისთვის, ხოლო რეგიონის დაცლა ეთნიკური ნიშნით არ მომხდარა – ხეობა დატოვეს ქართველებმაც და ოსებმაც. ყაზბეგის რაიონში კი, ოსებისა და ქართველების ურთიერთობის ხასიათის გაგებისათვის ის ფაქტიც კმარა, რომ, მიუხედავად ოსების რაიონიდან წასვლისა, დღემდე ყაზბეგის ქართველი მოსახლეობა მათ „ჩვენ ოსებს“ ან „მოხევე ოსებს“ უწოდებს. 1990-იანი წლების კონფლიქტის შემდეგ, ჩრდილო-

ელი ოსები, ვის რიგებშიც ყაზბეგიდან მიგრირებული ოსებიც მოიაზრებიან, იქაურ ქართველებს ვლადიავკაზში გადასული ცხინვალელი ოსების აგრესიისგან იცავდნენ და ამის მრავალი მაგალითი არსებობს. სხვანაირად რომ ვთქვათ, თვით ოსებს შორის იქმნებოდა უთანხმოება ქართველების გამო. ყაზბეგის მოხევეებისგან თითქმის ვერ მოისმენთ მათი, აწ უკვე ყოფილი, მეზობელი ოსების აუგს, ძნელად ათქმევინებთ მათი ერთად ცხოვრებისდროინდელ უარყოფით მოგონებას; ასეთივე განწყობა ფიქსირდება ყაზბეგის რაიონის ოსებშიც.

დღეს ოსების რაოდენობა ყაზბეგის რაიონში მინიმუმამდეა დასული, მუდმივ მოსახლეობას მხოლოდ ორ ოსურ სოფელში ნახავთ. ეს სურათი მოულოდნელი არ ყოფილა პროექტზე მომუშავე მკვლევართათვის, ვისაც მათი ურთიერთობის პერსპექტივის შესწავლა გვქონდა გამიზნული. რაიონში ოსების სიმცირის გამო, ქართულ ოსურ ურთიერთობას, თითქოს რაიმე გამოკვეთილი პერსპექტივა არ უნდა ჰქონოდა; მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს და ოსურ ფაქტორს, როგორც რუსული ჰიბრიდული ომის სამიზნეს, მოვლენები ნებისმიერი მიმართულებით შეიძლება განვითარდეს. დაცლილი ოსური სოფლების გამო, ადგილობრივი ოსი ეროვნების მთხრობლებთან მუშაობა შეზღუდული იყო. მასალების შეკრება ძირითადად ქართულ მოსახლეობაში მოხერხდა და ხარვეზი ყაზბეგის ქართველ რესპონდენტთა და ეთნიკურად შერეული ოჯახების ოსი ეროვნების წევრების ნარატივებმა შეავსო, რომლებსაც თავიანთი ცხოვრების მნიშვნელოვანი მონაკვეთი ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლებულ ოსთა გვერდით ჰქონდა გატარებული. სამწუხაროდ, გართულებული სავიზო რეჟიმის გამო, ჩრდილოეთ ოსეთში მუშაობა ვერ მოხერხდა. საველე ეთნოგრაფიული მასალის მოძიება მოხდა უშუალო დაკვირვების, ჩაღრმავებული ინტერვიუს და პირისპირ გამოკითხვის მეთოდების

საშუალებით. მოცემული კვლევისათვის სპეციალურად შეიქმნა კითხვარი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა მივლინებები ყაზბეგის მუნიციპალიტეტში.

ნაშრომში, რომელიც ეყრდნობა ავტორის საველე მასალას, სპეციალური ლიტერატურის და მედია-მონაცემებს, ნაჩვენებია ყაზბეგის რაიონის ქართველთა და ოსთა ურთიერთობის რეალური სურათი, მათი ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკა, ის ცვლილებები, რაც ამ ხალხთა ტრადიციულმა ურთიერთობებმა განიცადა უკანასკნელ პერიოდში და ამ ურთიერთობის პერსპექტივები ბოლო დროის პოლიტიკური პერიპეტიების კონტექსტში.

იმედია, ნაშრომი გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართულ-ოსური პოზიტიური ურთიერთობის განვითარების, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მართებული სამომავლო სტრატეგიის შემუშავებაში.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

თავი I

ყაზბეგის რაიონის ოსეგისა და ქართველთა ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ყაზბეგის რაიონის ტერიტორიების მიმართ რუსეთის მზარდი ინტერესების გამო, გეო-სტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვანი ეს არეალი საქართველოს სახელმწიფოსთვის სერიოზული საფრთხის შემცველად იქცა. ოსური/რუსული მხარე ღიად აცხადებს პრეტენზიებს თრუსოს ხეობასა და კობის ქვაბულზე, რაც ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალ საქართველოს სამხედრო გზასთან მდებარობს და როკის გვირაბიდან მხოლოდ 15 კმ-ით არის დაშორებული; საქართველოს სამხედრო გზა კი სომხეთსა და ირანისაკენ რუსეთის დამაკავშირებელი ერთადერთი მაგისტრალია, საიდანაც ტვირთი ორივე პუნქტამდე ყველაზე მოკლე გზას გადის. თრუსოს ხეობის ხელში ჩაგდება საქართველოს სამხედრო გზის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მონაკვეთის გაკონტროლების საშუალებას იძლევა.

რუსეთი, ამ ტერიტორიისთვის ბრძოლაში, მთავარ გათვლას კვლავ ოსურ ფენომენზე ახდენს; იგი იყენებს, თრუსოელი და კობელი, ანუ ყაზბეგის რაიონის ოსების, როგორც უშუალოდ ამ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფის ფაქტორს და, სხვა მეთოდებთან ერთად, ცდილობს მათი მოხევეებთან ურთიერთობის გარკვეული ასპექტებით იმანიპულიროს. იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ და რა კუთხით შეიძლება გამოიყენოს დაპირისპირებულმა ძალამ ეს ურთიერთობა და მისი თავისებურებანი, საჭიროა ვიცოდეთ, თავად ქართულ-ოსური ურთიერთობის ხასიათი. ამ ურთიერთობის რა ასპექტები შეიძლება იქცეს ბერკეტად რუსების/ოსების ხელ-

ში? რა შეიძლება იყოს ის კულტურული მარკერები, რაზედაც რუსეთი სავარაუდოდ ზეწოლას მოახდენს?

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დღევანდელი სურათი ასეთია: 2015 წლის მონაცემებით მოსახლეობა 3 795 ადამიანს შეადგენს. მუნიციპალიტეტი დაყოფილია 6 საკრებულოდ: სტეფანწმინდა, გორისციხე, სიონი, სნო, კობი და გუდაური. ოფიციალურად, მუნიციპალიტეტში არის 47 სოფელი, თუმცა მხოლოდ 25 მათგანს ჰყავს მუდმივი მოსახლეობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მაღალმთიანია. სიმაღლე მერყეობს ზღვის დონიდან 1500-დან 5000 მ-ის ფარგლებში. მუნიციპალიტეტზე მთლიანად ვრცელდება მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონი და ამ კანონით გათვალისწინებული შეღავათები.[4]

მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობა ნაკლებად არის განვითარებული, რაც, უმთავრესად, უკავშირდება მის ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს (მაღალმთიანობას და მცირემიწიანობას). აქ ძირითადი სამეურნეო დარგებია – მეცხვარეობა, მსხვილი მესაქონლეობა, მეკარტოფილეობა და მეფუტკრეობა. მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებულია ტრადიციულ საოჯახო მეურნეობაში და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას შიდა მოხმარებისათვის აწარმოებს. სოფლის მოსახლეობა ძირითადად პენსიის, სოციალური დახმარების და მცირე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის საშუალებით ცხოვრობს. ყაზბეგში 900-მდე პენსიონერია, რაც დაახლოებით რეგიონის მუდმივი მაცხოვრებლების 1/4-ს შეადგენს; მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა შედარებით მაღალია და 1000-ს უტოლდება (450 კომლი). ბოლო დროს მზარდმა ტურისტულმა აქტივობებმა ტურიზმი და მასთან მიბმული საქმიანობა პოპულარული გახადა რეგიონში, რომლის კლი-

4 ყაზბეგის განვითარების სტრატეგია, თბილისი, 2015, გვ.13

მატურ-გეოგრაფიული ინფრასტრუქტურა, როგორც ზაფხულის, ასევე ზამთრის ტურისტული სერვისების განვითარების შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, ტურიზმი დასახელდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად. რეგიონში საკმაოდ მწვავედ დგას მიგრაციის პრობლემა. ეს მეტწილად ეხება უმაღლესი განათლების მიზნით წასულ ახალგაზრდებს. ყაზბეგის განვითარების სტრატეგიაში ასევე პრიორიტეტულია იმ ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც დააბრუნებს მუდმივ მოსახლეობას.[5] ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, დღეს დიდწილად ქართველები (ძირითადად მოხევეები) ცხოვრობენ.

რამოდენიმე ათეული წლის წინ ყაზბეგის რაიონში ჯერ კიდევ იყო ოსური კომპაქტური დასახლებები კობის ქვაბულსა და თრუსოს ხეობაში. შესაბამისად, ყაზბეგის რაიონის მოსახლეობა უმეტესად მოხევეებისა და ოსებისგან შედგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საკვლევ რეგიონში ოსური მოსახლეობა მინიმუმამდეა დასული, მათი აქ ცხოვრების ფაქტი რუსეთის/ოსეთის სტრატეგიაში დღეს ერთგვარი კოზირია. რუსეთი სწორედ „ოსების კუთვნილი ტერიტორიების" სამხრეთ ოსეთისთვის გადაცემაზე აპელირებს. ეს გეოგრაფიული არეალი კი საქართველოს ისტორიული ტერიტორიაა, ისეთივე, როგორც სამაჩაბლო და ახალგორის რაიონი.

დღევანდელი ყაზბეგის რაიონის ტერიტორიაზე ოსების ჩამოსახლების თაობაზე ისტორიულ მეცნიერებაში განსხვავებული შეხედულებები არსებობს. მე არ განვიხილავ ამ საკითხთან დაკავშირებულ სხვადასხვა მოსაზრებას, რაც დღეს ჩემი კვლევის ინტერესში არ შედის, არც იმ ფსევდოისტორიულ ნააზრევს შევეხები, რაც საქართველოში ოსების ავტოქთონ ეთნოსად წარმოჩენას ემსახურება. ამის შესახებ, როგორც ქართველ, ისე

5 დასახ. ნაშრომი, გვ.18-33.

არაქართველ სპეციალისტთა მიერ ბევრი დაწერილა, ბევრი უკამათიათ და ეს დისკურსი დღემდე გრძელდება. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ არსებული სამეცნიერო პოზიციები,[6] ზოგადად შესაძლებელია ორ ძირითად ჯგუფად ჩამოვაყალიბოთ, საიდანაც ერთი, ოსთა საქართველოში (თრუსოს ხეობაში) დამკვიდრებას XVII-XVIII საუკუნეებში ვარაუდობს, მეორე კი საქართველოში მათ ძირძველ ეთნოსად სახავს. ოსეთის/რუსეთის პრეტენზია თრუსოს ხეობაზე, როგორც ოსების ისტორიულ ტერიტორიაზე, სწორედ მეორე ჯგუფის მეცნიერთა ნააზრევს ემყარება.ქართველ მეცნიერთა პოზიციით, თერგის ხეობაში ადრეშუასაუკუნეებში წანარები ცხოვრობდნენ. წანართა ბარში გადასახლების შემდეგ თერგის ხეობის თრუსოს ნაწილი მოსაზღვრე დვალეთის პროვინციიდან გადმოსულმა დვალებმა დაიკავეს; დვალეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, მათი განსახლების არეალი კი მოიცავდა დვალთგორის ჩრდილოეთით, მთავარი კავკასიონის ქედსა და პირიქითელ ქედს შორის მოქცეულ ტერიტორიას.[7]

ვახუშტი ბაგრატიონთან ვკითხულობთ: *„არამედ დვალეთიცა განიყოფების ჴევ-ჴევად და იწოდების ჴევნი ესრეთ: კასრის ჴევად, ზრამაგად, ჟღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად“.*[8]

1859 წლიდან მეფის რუსეთმა ეს რაიონი ადმინისტრაციულად ვლადიკავკაზის ოკრუგს დაუქვემდებარა.

---

6 ბერძენიშვილი 1979; გამყრელიძე 1998; გვრიტიშვილი 1949; თოგოშვილი 1977; თოფჩიშვილი 2008; თოფჩიშვილი,2016; ითონიშვილი 1995; ლომოური 1992, ლორთქიფანიძე 1991; ჩიქოვანი 2003; ჭიჭინაძე 1916; ხოშტარია-ბროსე 1991; ჯავახიშვილი1989; Блиев 2006; Ванеев 1989; Гаглоити 1994; Гамрекели 1968; Дзидзоев и Дзугаев 2008; Шнирельман 2003 და სხვ.

7 რ. თოფჩიშვილი, დვალეთი და დვალები, უნივერსალი, თბილისი 2016, გვ. 34-35; 39; 40.

8 ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა” (საქართველოს გეოგრაფია), თბილისი 1941, გვ.106.

რ. თოფჩიშვილის მოსაზრებით, დღევანდელი საქართველოს პროვინციებიდან თავდაპირველად ოსები სწორედ თრუსოში დასახლდნენ (არა დღევანდელი გაგებით თრუსოში, არამედ თერგის უფრო ზემო წელში). თრუსოდან ქართული მოსახლეობის აყრა XIV საუკუნის მიწურულში თემურ-ლენგის შემოსევების დროს უნდა მომხდარიყო. საფიქრებელია, რომ თერგის ხეობის (თრუსო, ხევი) ადრინდელი მოსახლეობა შემოსევების შემდეგ ძალიან შემცირდა და მთლიანად ხევში მოიყარა თავი, რამაც ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა XVII საუკუნის I ნახევარში ქურთათის ხეობის ოსთა თრუსოში მიგრაცია-დამკვიდრებას[9]. ამდენად, თრუსოს ხეობაში, ოსები XVII საუკუნიდან სახლდებიან, დვალთა ნაწილი ნელ-ნელა სამხრეთით ინაცვლებს. თრუსოს ხეობაში ოსებით დასახლებული რვა სოფელი, მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს[10]. ოსებმა დროთა განმავლობაში დვალთა ასიმილაცია მოახდინეს, სამოსახლო სივრცე გაიფართოვეს და თერგის სათავეებში კობის ზემოთ, ხევის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში ჩამოსახლდნენ. XIX საუკუნეში ოსები მცირე რაოდენობით ხევის ზოგიერთ სოფელშიც ცხოვრობდნენ[11].

ე. ხოშტარია-ბროსე ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში ჩამოსახლებული ოსები სახლდებიან ადგილობრივი ქართული მოსახლეობის განდევნის გზით.[12]

ოსების მოსულობას ხევში არა მარტო ქართული წერილობითი წყაროები და ისტორიული ნარატივები ადასტურებს, არამედ ხალხში დღემდე შემორჩენილი თქმულებები და გად-

---

9 თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

10 ვახუშტი ბატონიშვილი, იქვე, გვ.199.

11 ითონიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, 2006, გვ. 4-5.

12 ხოშტარია-ბროსე 1991, გვ. 67.

მოცემები. ამ საკითს ეხება ვ. ითონიშვილი თავის ნაშრომში „მოხევეების ყოფა-ცხოვრება“, საიდანაც ვიგებთ, რომ ყანობსა და ხურთისს საადგილმამულო ურთიერთობა აკავშირებდა ოსებით დასახლებულ სოფლებთან. მათი უფლებამოსილება ვრცელდებოდა მნაში, შევარდენსა და კობში. ყანობი და ხურთისი სადღეობო ორგანიზაციის დონეზე ინარჩუნებდნენ გარკვეულ პრეროგატივას ოსებით დასახლებულ სოფლებში, ეს კი იმით იყო განპირობებული, რომ მოხევეთა გვარები: კობიაშვილები, ითონიშვილები, ბადაშვილები, ბაბაშვილები, ფაჯიშვილები, არჯინაშვილები... თავდაპირველად თრუსოს ხეობის სოფლებში ცხოვრობდნენ. მათი იქ ცხოვრების რეალობა, იმ პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი, როდესაც ვახუშტი ბატონიშვილმა თრუსოში აღრიცხა ოსებით დასახლებული რვა სოფელი (XVIII ს.). ვახუშტის ეპოქის შემდეგ ოსებმა თანდათანობით მდინარე თერგის დინების მიმართულებით, დაღმა ჩამოინაცვლეს და მნიდან კობამდე, და უხათამდე დასახლდნენ, ხოლო გამოხევებულმა დვალებმა თრუსოს ხეობიდან ხევის სოფლებში – ყანობში, ხურთისში და სიონში გადმოინაცვლეს. მათ ყოფილ სამოსახლოებს ოსები დაეუფლნენ, მაგრამ დავიწყებას არ მისცემია ცოდნა იმის შესახებ, რომ დვალების სამოსახლო სივრცეში ოსების დასახლება გვიანდელი მოვლენაა. ეს იციან თვით ოსებმაც. ოსი მთხრობელის ცნობით, მნაში შემორჩენილია კობიაშვილების საფლავები ქართული წარწერებით, მათ იქ წისქვილიც ჰქონიათ, რასაც შემდეგ იქ დასახლებული ოსები ხმარობდნენ და კობიაშვილებს კულუხს უხდიდნენ, მინდის სახით... ყოველივე ამის შედეგად ჩამოყალიბდა ურთიერთობის წესი, რაც მოხევეების წინაშე ოსების ვალდებულებას ითვალისწინებდა. ოსური დასახლებიდან მოხევეების წამოსვლის შემდეგ მათი მამულებით, ოსები სარგებლობდნენ. ყანობელებს მამული ჰქონდათ სოფელ კობშიც, ამ მამულით სარგებლობისთვის კობელი

ოსები ყანობელებსა და ხურთისელებს კურატითა და სუფრით ხვდებოდნენ[13].

აღნიშნულ რეგიონში, ისტორიული მონაცემებით, ოსური მოსახლეობის პერმანენტული მატება დასტურება. ერეკლე II-ის 1770 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ირკვევა, რომ არაგვის საერისთავოში (ზახა, თრუსო, ჭვრივი, ხადა და ღუდა) ცხოვრობდა 1200 კომლი ოსი[14]. 1776-1780 წლების მონაცემებით თუსოს 11 სოფელში 73 კომლი იყო აღრიცხული. ვახტანგ ერეკლეს ძის სამფლობელოს აღწერასთან დაკავშირებით ჩამოთვლილია თრუსოს ხეობის სოფლები კომლებისა და სქესის ჩვენებით, სულ თრუსოს ხეობაში 22 სოფელი (აბანო, ჩახოდგორი, სავათისი, დენცე, ქვემო-დენცე, კარათკავი, ბურმასიგი, ჩოჩოლი, გიმარა, უსი, ტეფი, კეტერისი, უხათი, კობი, თოლგოთი, ალმასი, ქუმლისციხე, ჩინო, ერატო, ხატი, მამულაანთკარი, საარაგ-სოფელშეტი), 263 კომლი, 1638 სული მოსახლით; საკუთრივ თრუსოს ტაფობში 12 სოფელი (აბანო, ჩახოდგორი, სავათისი, დენცე, ქვემო-დენცე, კარათკავი, ბურმასიგი, ჩოჩოლი, გიმარა, უსი, ტეფი, კეტერისი), 158 კომლი, 991 სულით, კომლზე მოდის დაახლოებით 6 სული[15]. მოგვიანო სტატისტიკური მონაცემებით, რომელსაც აქ აღარ მოვიტან, საკვლევ რეგიონში ოსური მოსახლეობის მატება ფიქსირდება. პროცენტულ ზრდას გვიჩვენებს 1926 წლის პირველი საკავშირო სახალხო აღწერა, სადაც კობის თემში 99,4% ოსი ეროვნების ადამიანია დაფიქსირებული, 1939 წლის სახალხო აღწერით ყაზბეგის რაიონში 34,7% ოსი მოსახლეა. გასული საუკუნის 40-50-იან წლებში ყაზბეგის

---

13 ითონიშვილი ვალ., მოხევეების ყოფა-ცხოვრება, თბილისი, 2015, გვ. 174-175

14 გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები შიდა ქართლი, 1983, გვ.170.

15 თოგოშვილი გ., ხაბალაშვილი ი., ოსეთის მოსახლეობა (მოკლე ისტორიულ-დემოგრაფიული მიმოხილვა) ირისთონი, ცხინვალი, 1983, გვ. 21.

რაიონულ გაზეთ „ახალ ხევში" (გამოდიოდა 1938 წლიდან), პერიოდულად იბეჭდებოდა რაიონში მცხოვრები გმირი დედების სიები, საიდანაც ვიგებთ რომ 8 და მეტშვილიანი დედების დიდი უმრავლესობა ეთნიკურად ოსია, თრუსოდან და კობიდან.

მთხრობელთა გადმოცემით, საბჭოთა პერიოდში ყაზბეგის ოსური მოსახლეობის გარკვეული ნაწილი (უმეტესად თრუსოს ხეობიდან) სეზონურად გადადიოდა ჩრდილოეთ ოსეთში, თუმცა ამას არ მიუღია მასობრივი ხასიათი. ჩემი საველე ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, ოსთა უფრო ინტენსიური მიგრაცია ჩრდილოეთისკენ 1970-იანი წლებიდან იწყება. აქაურმა ოსმა მოსახლეობამ, ყოფითი პირობების გაუმჯობესების მიზნით, ორჯონიკიძისკენ დაიწყო გადინება, რასაც, ამჯერადაც, სეზონური ხასიათი ჰქონდა. არშელი რესპონდენტის ცნობით:

> *„მოსახლეობა ძირითადად ადრევე მიდიოდა, თრუსო უკაცრიელილა იყო. ბოლო 3-4 წელი მანდ რო ვმუშაობდი (დაახლოებით 1980-იანი წლების ბოლოს ნ. ჯ.) ერთი კაცი იყო მარტო მთლიანად თრუსოს ხეობაში. ხალხი შემოდგომაზე წავიდოდნენ ორჯონიკიძეში და გაზაფხულზე მოვიდოდნენ. კობში კი იყო ხალხი, ცხოვრობდა გაღმაცა, გამოღმაცა. მანდ კიდე ნოგყაუა, მანდაც იყო ხალხი, მნაშიც" (ავტორის საველე მასალა, რშა 2017).*

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ 1990-იან წლებამდე ოსური მოსახლეობის სეზონური მისვლა-მოსვლა ზამთრის მძიმე პირობების გამო იყო გამოწვეული: ზამთარში მიდიოდნენ და ზაფხულში ამოდიოდნენ. თუმცა, ხალხი სოფლებში მაინც რჩებოდა. 1990-იანი წლებიდან, კერძოდ, საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ, ყოფითი ინფრასტრუქტურის ძირეულად მოშლისა და სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების ფონზე, კობელი და თრუსოელი ოსე-

ბი მასიურად გადავიდნენ საცხოვრებლად ყაზბეგიდან ჩრდილოეთ ოსეთში, უმეტესად ორჯონიკიძეში (დღევანდელი ვლადიკავკაზი):

> *„ბოლოს კი სულ წავიდა ეს ხალხი, მაგრამ უკეთესი პირობები ჰქონდათ იქა, კარგი ხელფასები და წავიდნენ. აქ რა პირობებია?! ... აქაური, კობის ოსები იმიტომ წავიდნენ, რომ აქ იყო გაუსაძლისი პირობები. ზამთარია მკაცრი, 8 თვე ზამთარია. თავიანთი სამშობლო იქ იყო, იქიდან იყვნენ მოსულები და წავიდნენ“ (ავტორის საველე მასალა, ყანობი 2017).*

ორჯონიკიძე არა მარტო მათთვის, არამედ ყაზბეგის ქართველებისთვისაც უკეთესი ცხოვრების აწყობის ერთ-ერთი გზა იყო. ის ახლოს იყო ყაზბეგის რაიონის სოფლებიდან, აქ ადვილი იყო სამსახურის შოვნა, სწრაფი სამედიცინო დახმარების მიღება და ხელსაყრელი სავაჭრო კავშირების დამყარება. უკეთესი ყოფითი პირობების გამო, ორჯონიკიძეში ძალიან ბევრი მოხევეც მიდიოდა, იქ სახლებს ყიდულობდნენ და საზღვრის ორივე მხარეს აგრძელებდნენ მათთვის ხელსაყრელ საქმიანობას. ბუნებრივია, რომ ყაზბეგის რაიონის ოსური მოსახლეობისთვის ორჯონიკიძეში ცხოვრება გაცილებით სახარბიელო იყო, ვიდრე ინფრასტრუქტურამოშლილი თრუსოსა და კობის პირობები. რესპონდენტი აღნიშნავს:

> *„ოსები ორჯონიკიძეში უკეთესი პირობების და უკეთესი ცხოვრების გამო წავიდნენ, პირობების გაუმჯობესების მიზნით; ძალიან ადვილი საცხოვრებელი ქალაქია, პრავას ყიდულობ, ინსპექტორს ქრთამს აძლევ. რვა წლის წინ ვიყავი და ლენინის ძეგლი კიდე იდგა. თუ ოდნავ ხელს გაანძრევ და იმუშავებ, მარტივად საცხოვრებელი ქალაქია“ (ავტორის საველე მასალა, სნო 2016).*

ამის თაობაზე ქართველ ჟურნალისტთან ინტერვიუში საუბრობს დღეს უკვე ვლადიკავკაზში მცხოვრები წარმოშობით თრუსოელი რესპონდენტი:

> *„აქ ცხოვრება ძალიან რთული იყო, განსაკუთრებით, ზამთარში. ცივილიზაციის ერთადერთი ნიშანი რადიო იყო, რომელიც მხოლოდ მაშინ მუშაობდა, როცა დენი იყო, ანუ დილით და საღამოს, ორ-ორი საათით. სათიბები, აი, იმ მთაზე გვქონდა, თერგს იქეთ რომ არის. მთიდან აქეთ გრძელ თოკებს ჭიმავდნენ და ბალახი ისე გადმოჰქონდათ. ხალხი აქ ძირითადად მესაქონლეობით ირჩენდა თავს. ნაკვეთებიც გვქონდა, სადაც კარტოფილი მოგვყავდა. ოჯახების დიდი ნაწილი გამოსაზამთრებლად ვლადიკავკაზში გადადიოდა... ახლა ჩვენი მშობლებიც და ჩვენც ვლადიკავკაზში ვცხოვრობთ.... მე ორი შვილი მყავს. მათთან ერთად აქ მუდმივად ვერასოდეს ვიცხოვრებ. ასეთ პირობებში მუდმივად ცხოვრება ძალიან ძნელია. სახლი ისე რომ იყოს მოწყობილი, რომ ბავშვების წამოყვანაც შეიძლებოდეს, აუცილებლად წამოვიყვანდი. ზაფხულში ხშირად ჩამოვიდოდით და რამდენიმე დღე დავრჩებოდით".*[16]

1991-1992 წლების ქართულ-ოსურ კონფლიქტს, რომელმაც სამხრეთელი ოსების ჩრდილოეთ ოსეთში მიგრაცია და ჩვენს ქვეყანაში ქართველთა ადგილმონაცვლეობა გამოიწვია, ყაზბეგის რაიონში ამ ხალხთა პირად ურთიერთობებზე რაიმე სერიოზული გავლენა არ მოუხდენია; თუმცა, ეს კონფლიქტი მაინც იქცა ყაზბეგის ოსი მოსახლეობის ჩრდილოეთ ოსეთში გადინების დამაჩქარებელ ფაქტორად. როგორც ჩემი რესპონდენტები აღ-

16 ვარდიაშვილი მ., რეპორტაჟი თრუსოს ხეობიდან, 2012.

ნიშნავენ, *„გამსახურდიას ამბები რომ იყო* (მათი ნაწილისთვის ქართულ-ოსური პირველი კონფლიქტი გამსახურდიას სახელთან ასოცირდება ნ. ჯ.) *მაშინ გაცვალეს ოსებმა და მოხევეებმა ბინები; ორჯონიკიძეში ოსები ქართველების სახლებში შევიდნენ, იქაური ქართველები კი საქართველოში ოსების ბინებში. მაშინ მოხევეები ბევრები წამოვიდნენ ორჯონიკიძიდან".* გამოკითხულ ქართველ რესპონდენტთაგან ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ამ პერიოდში ოსების მასიური გადინება ჩრდილოეთისკენ, ზვიად გამსახურდიას პოლიტიკის ბრალი იყო. ნაწილი კი ამ პროცესებს პოსტ-საბჭოთა დროის რთული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობით ხსნის და ქართულ-ოსურ კონფლიქტს არ უკავშირებს. ამ თემაზე დეტალურად საუბრისგან თავს იკავებს იმ მცირე რაოდენობის ოს ინფორმანტთა ნაწილი, რომელთა გამოკითხვაც მოხერხდა. ისინი მიგვანიშნებენ, რომ ოსებს ყაზბეგიდან წასვლა აიძულეს:

> *„ოსების წასვლა აქედან, ეს პოლიტიკაი არის. თავისი ნებით რო არ წავიდნენ, თქვენც იცით და მეც ვიცი! მაგაზე ორი აზრი არ არის, იქაა პოლიტიკა! იმათ დაბრუნებაზე თუ მეკითხები, მე რო მაქ ურთიერთობა, ვიცი. ახალგაზრდებს მაინცდამაინც, მოსვლა არ უნდათ, იმიტო რო აქ ნაკლებად ყოფილან, არ იცნობენ აქაობასა. მოხუცები, ვინც აქ დაიბადნენ, გაიზარდნენ, მისტირიან, ისინი ვინც აქ პერიოდულად მოდიოდნენ და უხაროდა იმ ხალხსა, და რო გამასცდებოდნენ და, დარიალის იმამდე ამოვდივართო, უჟე შინ ვართო! ვიცი, რო მისტირიან აქაობასა. უნდათ!, მაგრამა....! იმათ დაბრუნებას, ჩათვალე რო მე არ ველოდები, უჟე მოხუცები არიან, გაპარტახებული სახლ-კარია; მე რო ეგეთი სახლ-კარი მქონდეს, მირჩევნია, რო არ ვნახო!" (ავტორის საველე მასალები, არშა 2016).*

მიგრაციის შემდეგ თრუსოს ხეობისა და კობის ქვაბულის ოსურ სოფლებში, მუდმივად თითო-ოროლა ასაკოვანი ადამიანი-ღა რჩებოდა. ჩრდილოეთ ოსეთში საცხოვრებლად გადასულმა ოსებმა შეინარჩუნეს კავშირები მშობლიურ კუთხესთან, პერიოდულად ჩამოდიოდნენ თავიანთ სახლებში, დღესასწაულებზე, ან წინაპართა საფლავების მოსანახულებლად და აქ დარჩენილ ნათესავებს სტუმრობდნენ. როდესაც 2000 წელს რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი შემოიღო, რუსეთ-საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე ორმხრივი მიმოსვლა ისევ გაგრძელდა, ადგილნაცვალი მოსახლეობა კვლავ თავისუფლად კვეთდა საზღვარს და პერიოდულად ჩამოდიოდა ხოლმე მიტოვებულ სოფლებში; ყაზბეგის რაიონის მოსახლეობას საზღვრის გადაკვეთა სპეციალურად სასაზღვრო რეგიონის მოსახლეობისთვის გაცემული საშვების მეშვეობით შეეძლო. სიტუაცია გართულდა 2006 წლის შემდგომ, როდესაც რუსეთმა ქართულ პროდუქციაზე ემბარგო დააწესა და ჩაკეტა რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული ერთადერთი ლეგალური სასაზღვრო გამშვები პუნქტი (ლარსი); ასეთმა სიტუაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა ქართველთა და ჩრდილოეთელ ოსთა კომუნიკაციის ტრადიციული ფორმა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ ვითარება არ შეცვლილა, ვიდრე 2010 წლამდე, სანამ არ გაიხსნა რუსეთ-საქართველოს საზღვარი და არ მოიხსნა ემბარგო.

დღეს ყაზბეგში მცხოვრები ოსების რაოდენობა მინიმუმამდეა დასული. უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის (ECMI) სამუშაო მოხსენებაში ვკითხულობთ: „*ყაზბეგის რაიონში ოსური სოფლების უმეტესობა მთლიანად დაცარიელებულია, მაგალითად თრუსოს ხეობის სოფლების მონახულებისას ჩვენ აღმოვაჩინეთ მხოლოდ ერთადერთი მოხუცი ქალბატონი (სოფელ ოქროყანაში), მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი კი გადავიდა ჩრდილოეთ ოსეთში 1990-ებსა და 2005 წლის დასაწყ-*

ისში. შესაბამისად თრუსოს ხეობის ყველა სოფელი დღესდღეობით მთლიანად მიტოვებულია”.[17] ამავე ნაშრომის მონაცემებით, კობის საკრებულოს სამ სოფელში (სადაც მითითებულია, რომ აქ მცხოვრები ოსები გადმოსული არიან ახალგორის რაიონიდან მე-18 საუკუნეში, რაც სადავოა) 2002 წელს დაფიქსირებულია: თავად კობში – 25, უხათში – 9 და ალმასიანში – 13 მოსახლე. 2009 წლისთვის ეს რაოდენობა შემცირებულია და, შესაბამისად, კობში აღრიცხულია – 10, უხათში – 2 და ალმასიანში – 5 ადამიანი. აღნიშნული სოფლებიდან მოსახლეობის ჩრდილოეთ ოსეთში გადინება 2005 წლის შემდეგ არ დაფიქსირებულა[18].

2012 წლის ოფიციალური მონაცემებით, თრუსოს ხეობის 12 სოფლიდან 11 დაცლილია – ნოგყაუ, შევარდენი, მნა, დესი, კართაყაუ, წოწოლთა, სუათისი, ჯიმარა, ტეფი, რესი და აბანო. საქართველოს თანამედროვე რუკაზე ნასოფლარად არის მონიშნული სოფელი ოქროყანაც, თუმცა აქ მუდმივად სახლობს ერთი ადამიანი.[19]

ყველაზე ბოლო მონაცემებით (2014), კობში აღრიცხულია სამი კომლი, ალმასიანში – 8, უხათში მოსახლეობა აღარ არის და თრუსოს ხეობის არც ერთ სოფელში მუდმივი მოსახლეობა არ ფიქსირდება[20].

იგივე სურათი დამოწმდა ჩემი ველზე მუშაობის დროს – თრუსოს ხეობის ოსური სოფლები ფაქტობრივად დაცლილია. აქ ზაფხულობით იშვიათად ნახავთ სტუმრად ჩასულ ოსებს

---

17 სორდია გ. ოსები საქართველოში, მდგომარეობა 2008 წლის ომის შემდეგ 2009, გვ. 11.

18 სორდია გ. დასახ. ნაშრომი, 2009, გვ. 41.

19 ვარდიაშვილი, დასახ. ნაშრ.

20 ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განვითარების პოტენციალის მიმოხილვა, 2015, გვ. 31.

ან მესაქონლეებს, რომლებსაც პირუტყვი საზაფხულო საძოვარზე ამოჰყავთ. სტატისტიკური მონაცემები ემთხვევა ყაზბეგის რაიონში არსებული ოსური სოფლების მოსახლეობის რაოდენობას, თუმცა საარჩევნო სიებში ამ სოფლების მკვიდრთა რიცხვი მეტია. ბოლო პერიოდის საარჩევნო სიების თანახმად, ყაზბეგის რაიონის ოსურ სოფლებში აღრიცხულია კობში – 50 ამომრჩეველი, ხოლო თრუსოში – 99 (ავტორის საველე მასალა, ყაზბეგი 2017).

საქმე იმაშია, რომ ჩრდ. ოსეთში გადასახლებულ ოსთა გარკვეულ ნაწილს ქართული პასპორტი აქვს და, ამდენად, საქართველოს მოქალაქეებად ფიქსირდება, თუმცა აქ აღარ ცხოვრობს. ქართულ სოფლებში კი მუდმივად მაცხოვრებელი ოსები ძირითადად ქართული ოჯახების რძლების სახით არიან წარმოდგენილი. რაც შეეხება ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრებ ქართველებს, 2010 წლის სრულიად რუსეთის მოსახლეობის აღწერის სიების მიხედვით მათი რაოდენობა შეადგენს 9000-ს,[21] თუმცა, ჩემი საველე მასალების მიხედვით, ჩრდ. ოსეთში დაახლოებით 2-ჯერ მეტი ქართველი სახლობს. პრესის ინფორმაციით, ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე, ამჟამად 12-დან 14 ათასამდე ქართველი ცხოვრობს, აქედან, 10 ათასამდე, ვლადიკავკაზშია.[22] ჩრდილოეთ ოსეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლის ცნობით კი, ქართველთა რაოდენობა 18 ათასს აღწევს (ავტორის საველე მასალები სტეფანწმინდა 2017).

ამრიგად, დღეს ყაზბეგის რაიონის ოსური სოფლები ფაქტობრივად დაცლილია და იქ მუდმივად მხოლოდ ხანშიშესული მოსახლეობა ცხოვრობს. ინფორმანტთა გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ცალსახა პოზიცია, რაც ჩრდილოეთ ოსეთ-

21 http://www.gks.ru/free_doc/new_site/perepis2010

22 პაპასკირი ლ. ვლადიკავკაზში საუკუნე-ნახევრის წინ აშენებული ქართული სკოლა დღესაც ფუნქციონირებს, 2016

ში მიგრირებულ თრუსოელ და კობელ ოსთა საცხოვრებლად უკან დაბრუნებას გამორიცხავს. ამის არგუმენტად ინფორმანტებს მოჰყავთ შემდეგი ფაქტორები: ვლადიკავკაზის კარგი ინფტასტრუქტურა, უკეთესი საოციალური და ეკონომიკური პირობები, განათლების მიღების და სამსახურის შოვნის იოლი და წინსვლის საუკეთესო შესაძლებლობები და ქალაქური ცხოვრების უპირატესობები. ისინი ვლადიკავკაზის აღმშენებლობაზე საუბრობენ და იმასაც კი ამბობენ, რომ თურმე, *„რუსებიც კი, იქ სხვანაირები არიან და ჩვეულებრივ რუსებს არ გვანან, გაკავკასიელებულები არიან.”*

არშელი რესპონდენტის ინფორმაციით:

> *„ვლადიკავკაზში რო ჩახვიდე, ველარც იცნობ! ისე განვითარებულია, რო!.. ხალხი ცხოვრობს ეხლა იქა, უმაღლეს დონე ზე, სუ კარგა! კარგი ბინები აქვთ, აქვ ხელფასები კარგი, აქვ სამსახურები, აქვ პენსიები, ორჯონოკიძელები აქ აღარ მოდიან -ათასში ვიღაცა! ორჯონკიძეში წინათ საცხოვრებლად ქართველებიც ხო მიდიოდნენ, იმიტო რო იქ უფრო კარგა იყვნენ და ეხლაც კი ეძებენ გ ზებსა, რო იქ წავიდნენ. ახალგაზრდები საერთოდ არც კი იფიქრებენ აქეთ წამოსვლასა, ისინი უფრო, ვინც აქ არ გაზრდილა. ამ ადგილებს მოხუცები მისტირიან, ვისაც ახალგაზრდობა აქვ აქ გატარებული. საცხოვრებლად აქ ოსები არ დაბრუნდებიან” (ავტორის საველე დღიურები, არშა 2017).*

ეს ვითარება კი, თრუსოსა და კობის მიტაცების რუსული გეგმისთვის, არც თუ ისე სახარბიელოა; თუმცა, არსებობს ალტერნატიული ვარიანტებიც, რომელზედაც მომდევნო თავებში ვისაუბრებ.

როგორც შესავალში ითქვა, ქართულ-ოსური ურთიერთობები საქართველოს ოსებით დასახლებულ სხვადასხვა რე-

გიონში განსხვავებული იყო. ყაზბეგის რაიონში კი მას განსაკუთრებული ფორმა ჰქონდა. ქართველთა და ოსთა თანაცხოვრების ხანგრძლივი პერიოდი თავისთავად განაპირობებდა მათ ინტეგრაციას, რასაც დიდწილად შეუწყო ხელი საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიამ, სოციალურ-ეკონომიკურმა ინფრასტრუქტურამ და კულტურულმა გარემომ. იმიტომ, რომ ყაზბეგის რაიონის ორივე ეთნოსის წარმომადგენლებს, თავიანთი ცხოვრების სტილის გამო, საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთს შორის უხდებოდათ მიმოსვლა (უმეტესად, სეზონური ხასიათის), ინტერეთნიკური კავშირები ვითარდებოდა, როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით (ყაზბეგის რაიონში), ისე მის გარეთ (მოსაზღვრე ჩრდილოეთ ოსეთში). ხშირ შემთხვევაში, ეთნოკულტურულ ურთიერთობას იქეთაც და აქეთაც ერთიდაიგივე მონაწილეები აყალიბებდნენ, ვინაიდან, ყაზბეგის რაიონის ქართველებისა და ოსების უმრავლესობას სახლები საზღვრის ორივე მხარეს ჰქონდა – მოხევეები ვლადიკავკაზის საშუალო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებელებში სწავლობდნენ, ვისაც საკუთარი სახლი არ ჰქონდა, ნათესავებთან რჩებოდა, ყაზბეგელთა ერთი ნაწილი იქ მუშაობდა კიდეც; ხშირად, ვლადიკავკაზში სამუშაოდ ყაზბეგის რაიონიდანაც დადიოდნენ, შესაბამისად, არსებობაც და საქმიანობაც ორივე მხარეს უწევდათ; ინფორმანტის სიტყვები რომ მოვიშველიო: *„არ იყო ისეთი ოჯახი ვისაც იქ სახლი არ ჰქონდა, ნათესაობა იქ გვყავდა. ჩემი მეუღლის სანათესაო იქ იყო ძირითადად" (სოფ. არშა).* ამასგარდა, იყო ძალიან ბევრი ქართულ-ოსური შერეული ოჯახი, რომლის წევრებიც ერთგვარი კულტურტრეგერები იყვნენ ორივე მიმართულებით. ეთნიკურად შერეული დიდი სანათესაოს წარმომადგენლები საზღვრის ორივე მხარეს იყვნენ, როგორც ქართულ-ოსური ინტერკულტურული ურთიერთობის უწყვეტი ჯაჭვის შემადგენელი ნაწილები.

ცნობილია, რომ ინტერკულტურული ურთიერთობის ხასიათს მნიშვნელოვნად განაპირობებს ინტერპერსონალური ურთიერთობები, ანუ ურთიერთობა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების თუ ეთნოსების წარმომადგენელ ინდივიდებს შორის. ასეთი ურთიერთობის დროს, რაც გულისხმობს არა მარტო ენის, არამედ მეორე ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის, რელიგიის, ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების, მსოფლმხედველობითი წარმოდგენების და ა. შ. ცოდნას, ხდება ინფორმაციისა და კულტურულ ღირებულებათა გაცვლა. ეს მთლიანობაში განსაზღვრავს კომუნიკაციის მონაწილეთა ქცევის მოდელებს, და უზრუნველყოფს ურთიერთობის ეფექტიანობას.[23]

კულტურათაშორისი კავშირების ეფექტიანობა, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება მოქმედი მხარეების მიერ ერთმანეთის ენის ცოდნით, რაც ყაზბეგის რაიონში პრობლემას არ წამოადგენდა. ოსურ სკოლებში ისწავლებოდა ქართული, ამიტომ ოსებმა ქართული იცოდნენ, ზოგმა მოხევემ, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც დედა ოსი ჰყავდა, ოსური იცოდა. ორჯონიკიძელი ოსები და ქართველები რუსულადაც საუბრობდნენ. ასე, რომ კომუნიკაციის პრობლემა მათ არ ჰქონიათ, მით უფრო საბჭოთა პერიოდში.

ქართველთა და ოსთა ინტერპერსონალური ურთიერთობები ყალიბდებოდა სხვადასხვა გარემოში – ოჯახში, სამსახურში, სანათესაოში და სამეზობლოში.

სამეზობლო ურთიერთობანი. როგორც უკვე ითქვა, ყაზბეგის რაიონში ოსების დასახლებები მონოეთნიკური და კომპაქტური იყო, მაგრამ, საბჭოთა პერიოდში სოციალური და

23 ჯალაბაძე, ნ., აკულტურაციის თავისებურებანი პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, წიგნში: სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბილისი, 2011, გვ. 222.

ეკონომიკური კავშირები რეგიონის ქართულ და ოსურ მოსახლეობას ძალზე მჭიდროდ აკავშირებდა ერთმანეთთან. ჩემი ყაზბეგელი რესპონდენტების ინფორმაციით, ქართველებიც მუშაობდნენ ოსურ დასახლებებში და ოსებიც, ქართულ სოფლებში ქართველების გვერდით: ზოგი მასწავლებლად, ზოგი გამყიდველად, ბუღალტრად და სხვ. საერთოდ, ჯერ კოლმეურნეობები და მერე საბჭოთა მეურნეობები თავისთავად აკავშირებდა და აახლოვებდა ამ ეთნოსის წარმომადგენლებს. ყაზბეგელი მთხრობლის მონაყოლით:

> *„ოსებთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. ჩემი და მუშაობდა ადრე კობში, მაღაზიაში. ისინი დიდ პატივს სცემდნენ, მოდიოდნენ ჩვენთან სტუმრად, ჩვენც მივდიოდით. ახლა აღარანაირი ურთიერთობა არ გვაქვს, აბა, საიდან?! ჩვენც ძალიან პატივს გვცემდენ. ისეთი კარგი მეგობარი მყავდა ოსი, აი, როგორც დები ისე ვიყავით! ახლა ის ვლადიკავკაზში ცხოვრობს, გაწყდა ჩვენი ურთიერთობა“ (ავტორის საველე მასალები, არშა 2016).*

სამეზობლო ურთიერთობები გამოიხატებოდა ერთმანეთის მხარში დგომით ჭირისა და ლხინის დროს, იქნებოდა ეს ქორწილი თუ ნათლობა, წვეულება თუ რაიმე დღესასწაული, დაკრძალვა, ჭირის სუფრა და სხვ. ეს ურთიერთობა გაგრძელდა ოსთა ჩრდ. ოსეთში გადასახლების შემდგომაც:

> *„არაფერი ცუდი ოსებისგან არ მახსენდება, სანამ ომი მოხდებოდა, პატივისცემის გარდა, არაფერი არ მახსოვს, სახლშიც გვეპატიჟებოდნენ. ეხლაც ძველ მეზობლებთან კონტაქტი გვაქვს, რომლებიც წავიდნენ ვლადიკავკაზში, გვირეკავენ; იმდღეს დაგვირეკეს, თუ რამე გინდათ, გვითხარით და ამოგიტანთო” (ავტორის საველე მასალები, აჩხოტი 2016).*

„ცხინვალისკე ხო იყო ჩხუბები და ეგენი. აქ კი არაფერი იყო. თავისუფლად ვმოძრაობდით-კე, რა. კარგი ურთიერთობა და კარგი ამბავი იყო.ეხლაც რო ჩავიდე, არც ეხლა იქნება ნაკლები.... სანათესაო არის იქა, ჩემი ნათესავებიც არიან, ცოლისაც, დედის მხრივაც, არიან რა... (ავტორის საველე მასალები, აჩხოტი 2015).

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ყაზბეგელთა ჩრდილოეთ ოსეთში ცხოვრების პერიოდის სამეზობლო ურთიერთობები:

„იქ რომ ჩავდიოდი დედის მხრიდან ბებიასთან, კარგად იყო ყველა განწყობილი, მე ზობლებთან კარგი ურთიერთობა იყო, მიპატიჟება-მოპატიჟება. ყველა პატივს გვცემდა, მოდიოდნენ გვეხმარებოდნენ, ეკონომიურადაც და ყველანაირად. დღემდე ეგრეა" (ავტორის საველე მასალები, გარბანი 2016).

ეს ურთიერთობები მოხევეთა ვლადიკავკაზიდან წამოსვლის მერეც, კვლავ აქტიურად შენარჩუნდა. ჩრდილოელ ოსთა ქართველების მიმართ გულისხმიერ დამოკიდებულებაზე მოგვითხრობს რესპონდენტი არშიდან, რომელიც 1991 წელს ყიზლარიდან მომავალი ინგუშებისა და ოსების დაპირისპირების დროს საზღვარზე ფეხში დაჭრეს:

„წამამიყვანეს ეგრევე სავადმყოფოში. აქედან ჩამაუდის ცხინვალიდან ზოგი დაჭრილი, ზოგი კვდების, აბა, ეხლა მე იქა! სიძე იყო ჩენი, ოსი, განყოფილების გამგე იქა, ხირურგი. ხულელიძე ხყვანდა იმას ცოლათა. და რაღა ვქნა? ეს არ დამხვდა იქა. ვიძახი, წავიდა ჩემი სქმე, აღარა გამოვალის-რა ეხლა. მერე ბიჭი მოვიდა ერთი და მითხრა, ნუ გეშინიან, მე ვიქნებ ატვეჩაი ყველეფერზეო. მე როგორც შვილი, ისე გამზარდა ამ თქვენმა სიძემო, დახელოვნებაც

იმის ხელში გავიარეო, ნუ გეჯავრებაო. ვითომ ცოტა მომეშვა გულზე. მამრე, მე ხო ტელეფონის ნომრები ვიცოდი ჩემი ყოფილი თანამშრომლებისა, ხოდა აქეთ გადავარეკინე, იქეთ გადავარეკინე და მერე უჟე ოპერაცია რო გააკეთა, კალიასკაით მივყავარ და ხელი უჭირავს ვიღაცას ჩემი და გავახილე თვალები და ვხედავ, ერთი კარგი ბიჭი იყო ოსი, და ის მოსულა და „ნე ბოისაო, ვსიო ბლაგოპოლუჩნაო“. ისე გააკეთეს ოპერაცია, არც გაგვიგია, ოსები დამტრიალებდნენ თავზე. ესეთი გვქონდა ურთიერთობა. მამრე, მეორე დღეს მოვიდა ის ჩემი სიძე, გაიკითხა, ვინაა? უჰ, თავში შამაიკრა ხელი, მე სად ვიყაო! ზავედუიუში ყავდა ერთი და იმას უთხრა, ეხლავე დატრიალდიო და ცალკე პალატაჩი დამაწვინეს. პატივი მცეს“ (ავტორის საველე მასალა, არშა 20127).

არ შეიძლება არ აღინიშნოს ჩრდილოეთ ოსეთში 1991-1992 წლის ქართულ-ოსური კონფლიქტის შემდგომ შექმნილი ვითარება, როდესაც იქაური ქართველი მოსახლეობა ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან ორჯონიკიძეში გადასული ოსების, კუდარცეების[24] აგრესიის ობიექტად იქცა. როგორც ჩემი ინფორმანტები ყვებიან, თუ ქუჩაში ქართულ ლაპარაკს გაიგონებდნენ, „ძაღლების ენაზე, ნუ ლაპარაკობთო“ ემუქრებოდნენ, ისეთ პირობებს უქმნდნენ, რომ ქართველებს ვლადიკავკაზი დაეტოვებინათ.

„ოსები რომ განდევნა გამსახურდიამ მაშინ გვემტერებოდნენ კუდარცები. ორჯონიკიძეში რომ გაიგებდნენ ქართველი იყავი, დაგვიწყებდნენ ჩხუბს, მანქანა წაართვეს ჩვენებს, მოხევეებს და თრუსოელი ოსები გვიცავდნენ, გვერდში გვედგნენ, ცხინ-

24 ასე იხსენიებენ სამხრეთელ ოსებს მოხევეები.

ვალელები იყვნენ ძალიან აგრესიულები." (ავტორის საველე მასალა, სტეფანწმინდა 2017)

როცა შექმნილი ვითარების გამო, ბევრმა ვლადიკავკაზში მცხოვრებმა ქართველმა საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა, ადგილობრივი ოსები პირად შეურაცხყოფად იღებდნენ იმას, რომ მათი მეზობელი ქართველები, მათივე თანამოძმეების გამო, იძულებული იყვნენ წასულიყვნენ. რეალურადაც, ბევრმა დატოვა მაშინ ჩრდილოეთ ოსეთი და სახლები ვლადიკავკაზელმა ქართველებმა და საქართველოს ოსებმა ერთმანეთს გაუცვალეს.

„არავის არ უნდოდა ეგ ომი, არავის აწყობდა. იმდენი მსხვერპლი, იმდენი უბედურება! აქ კი, ყაზბეგში, ეგეთი რამე არ ყოფილა. კიდევაც ეუბნებოდნენ ჩემ ძმებსა, ორჯონიკიძეში, რო ნუ სცვლით, აბა, რას გიშავებთო! ოსებს არ უნდოდათ რო წასულიყვნენ ქართველები ორჯონიკიძიდან. ეხლაც რო მიდიან იქ, ისევ ისეთი ურთიერთობა აქვთ, დარჩენაც რო მოუნდესთ, ისევ იმ მეზობელთან შეიძლება გაათენონ ღამე" (ავტორის საველე მასალა, არშა 2017).

ამ დაპირისპირებაში ადგილობრივი ოსები ქართველ მეზობლებს კუდარცების აგრესიისგან იცავდნენ. ასეთი ძალიან ბევრი მაგალითი არსებობს. ჩემი მთხრობელი ყვება ისტორიას, თუ როგორ გააჩერა ყაჩაღთა ჯგუფმა ყაზბეგიდან ორჯონიკიძეში მიმავალი ავტობუსი (ისენი ცხინვალელი ოსები იყვნენ) იმ პერიოდში, გადმოიყვანეს ქართველები და დახვრეტა დაუპირეს. ამ დროს შემთხვევით გამოიარა ერთ-ერთის თანამშრომელმა ვლადიკავკაზელმა ოსმა და ქართველები დახვრეტას გადაარჩინა. ინფორმანტები იმასაც ყვებიან, რომ მაშინ, ცხინვალელ და ვლადიკავკაზელ ოსებს შორის ისეთი დაპირისპირება იყო, რომ სამოქალაქო ომის დაწყებას არაფერი უკლდა, მხოლოდ რუსეთის ჩარევით მოხდა ვითარების განტვირთვა.

ჩრდილოეთ ოსეთში ადგილობრივი ოსების განწყობა ყოველთვის განსხვავებული იყო სამხრეთელი ოსების ქართველებისადმი დამოკიდებულებისაგან და ეს კონფლიქტისშემდგომ პერიოდში კარგად გამოჩნდა. რესპონდენტები იმასაც ამბობენ, რომ „კუდარცებმა მოინდომეს ვლადიკავკაზელების დაჩაგვრა, ყოყოჩობდნენ და ზემოდან უყურებდნენ...” დღესაც კი, ცხინვალი ცდილობს უკარნახოს ვლადიკავკაზს ქართველებთან ურთიერთობის პოლიტიკა. შესაძლოა, ქართველთა და ყაზბეგის ოსთა ტრადიციული სამეზობლო კავშირების სიმტკიცემ და მათი ურთიერთთანადგომის პრაქტიკულმა მაგალითებმა წარმოშვა სამხრეთელი ოსების ის სტერეოტიპი, რომელიც ასე პოპულარულია მოხევეებში – „ჩრდილოელ ოსებს სამხრეთელი ოსები ეჯავრებათ”, „კუდარცებს ვერ იტანენ მოხევე ოსები“, *„ძალიან ნაგლი ხალხია ეს კუდარცები”, „შიდა ქართლის ოსები უვარგისები* არიან”.სამაგიეროდ, აქაური ოსები (ამ ჯგუფში ავტომატურად ვლადიკავკაზელი ოსებიც შედიან) ადგილობრივების მიერ „მოხევე ოსებად“ ასევე, „ჩვენ ოსებად“ იწოდებიან, რაც ერთი მხრივ, მათი ინტეგრაციის მანიშნებელია, მეორე მხრივ, კი ე. წ. მოხევეთა „ჩვენ“ ჯგუფში მათ ჩართულობაზე მიუთითებს. თრუსოელ ოსებს მოხევეები „კარგ ოსებს“ ეძახიან.

ქართველებისთვისაც და ოსებისთვისაც საკმაოდ მძიმე იყო ლარსის საბაჟოს ჩაკეტვის პერიოდი 2006-2010 წლებში. საზღვრის საპირისპირო მხარეებზე ერთმანეთის ნათესავები, ახლობლები და მეგობრები აღმოჩნდნენ, რომელთაც ერთმანეთთან მიმოსვლის შესაძლებლობა მოესპოთ. მათ შორის გაწყდა უშუალო ურთიერთობა, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა ამ ურთიერთობის შემაკავშირებელი ძაფები. დღეს ეს კავშირები მეტ-ნაკლებად აღდგენილია; ოსები გადმოდიან ყაზბეგის რაიონში რუსული პასპორტებით, ქართველებიდან კი მხოლოდ ის ახერხებს გადასვლას საზღვარზე, ვისაც რუსული პასპორტი აქვს.

სამეზობლო ურთიერთობის პოზიტიური გამოცდილება ზოგადად, დადებითად მოქმედებს ჯგუფთაშორის შემდგომ ურთიერთობებზე. ქართულ-ოსური კონფლიქტისა და მისი თანმდევი სირთულეების მიუხედავად, „მოხევე ოსებისა" და ქართველების მეზობლობისა, თუ მეგობრობის ადრიდანვე ჩაყრილი საფუძველი დღემდე მოქმედია, ვისაც საშუალება აქვს, დღესაც მიდი-მოდის ერთმანეთთან, ვინც იქეთ ვერ გადის, ტელეფონით ეკონტაქტებიან ერთმანეთს, ის კავშირები გაწყვეტილი არაა და ხშირად, მშობლებისგან შვილებსაც გადაეცემათ. უნდა ითქვას, რომ ურთიერთობის და დახმარების ტრადიცია კვლავ მოქმედებს და მოხევეები ჩრდილოეთ ოსეთში გადასულ თავიანთ მეზობლებთან შეძლებისდაგვარად დღემდე კარგ ურთიერთობას ინარჩუნებენ.

ოჯახი. ქართველების და ოსების პოზიტიურ ურთიერთდამოკიდებულებას არა მარტო ერთმანეთის მეზობლობა, არამედ ეთნიკურად შერეული ოჯახების არსებობაც განაპირობებდა. არ იყო ოჯახი, სადაც ოსი რძალი ან სიძე არ ჰყავდათ და, პირიქით. როგორც რესპონდენტები ამბობენ:

> *„შერეული ოჯახები იყო, ჩვენებიც იყვნენ იქ და ისინიც მოდიოდნენ აქ რძლები. დედა ოსი მყავდა და ქართულად ვლაპარაკობდით ოჯახში. ჩემს ორ ძმას ოსი ცოლები ყავთ, ერთი აქეთ არის ერთი იქით".*
>
> *„მოხევეები ოსებზე თხოვდებოდნენ და ოსებიც თხოვდებოდნენ ხევში. ...ჩვენ 4 ძმანი ვართ და ორ ძმას ოსი მეუღლე ყავს და ორს ქართველი, მოხევე. ძმის ოჯახებში ქართულად ლაპარაკობენ, მოხევე ოსებმა ყველამ იცის ქართული" (ავტორის საველე მასალა, ყაზბეგი 2016).*

ჩვეულებრივ, ეთნიკურად შერეული ოჯახების შემთხვევაში, როდესაც გარდაუვალია კულტურულ ელემენტთა დიფუზია, ორივე მხარე კარგად ეცნობა ერთმანეთის ტრადიციებს,

ღირებულებებს, ქცევის ნორმებსა და ენას სწავლობს. ასეთი ოჯახის შვილები, როგორც წესი, ბილინგვები და ორივე კულტურის მატარებელი ხდებიან. ამგვარი კავშირები ქმნის ორივე მხრიდან ნათესავების ურთიერთობის პრეცედენტს. ისინი ერთმანეთს ხვდებიან ნათესაური და ოჯახური თავყრილობების (ნიშნობა, ქორწილი, ნათლობა, დაბადების დღე, რელიგიური დღესასწაულები, დაკრძალვა, მიცვალებულის ხსოვნის დღეები და სხვ.) დროს, სადაც ამ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა წარმომადგენლები ურთიერთობენ უკვე, როგორც ნათესავები და ახლობლები.[25]

შერეული ოჯახები, პირველ რიგში ხელს უწყობდა ქართველთა და ოსთა ინტეგრაციას, შესაბამისად, ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, ჩემი არშელი რესპონდენტის მონათხრობი:

> *„მე თვითონ ნახევარი ოსი ვარ, ნახევარი ქართველი, დედაჩემი ოსი იყო სისხლით და ქართველებმა გაზარდეს. ეგ ისტორია ეგრე იყო... იმდვენად პატივს სცემდენ ოსები და ქართველები ერთმანეთსა, რო... დედაჩემის ნამდვილი მშობლები ცხოვრობდნენ ბესლანში, კაჩუბეიში თუ სადღაცა, ოსები იყვნენ. ეს მოხევეებიც ხო ბევრები მიდიოდნენ იქ. იქ იყვნენ თურმე ეს მოხევეები — აბრამაი და ოლაი, და ის ოსები მეზობლები და იმდენად თურმე პატივს სცემდნენ ერთმანეთსა, რო ეს დედაჩემი მოუნათლია თურმე იმ მოხევესა. ეს ჩემი დედის გამზრდელი, უშვილო იყო თურმე, ოლაი, და ცხოვრობდნენ იქ ...და მემრე როცა უთხრა, უჟე, ოლამა, რო ვფიქობ რო ვიშვილოო, მისცეს დედაჩემი. მემრე რო გავიზარდე, ვეკითხებოდი იმ ოს ბაბოს, როგორ, მეთქი, მიაშ-*

25 Jalabadze N. Religions in the Caucasus Teas, 2016, გვ. 219-228.

ვილე? Она такая уважаемая была! ის ოლაიო, რო ვერ უთხარ უარიო, აბა როგორ უნდა მეთქვა უარიო! 5 წლისა იყო, რო მიაშვილა. ეგეთი კარგი ურთიეთობა ჰქონდათ. დედაჩემი შვიდი და-ძმები იყვნენ. შვიდი კი არა, 42 რო ჰყვანდეს, მაინც შვილს ვერ გაიმეტებ. იგეთი დამსახურება ჰქონდა, რო ცხრა უცხოს მისცა. გაზარდა ამ ქართველმა, მემრე რო გაიზარდა და 17-20 წლისა რო გახდა, მერე უთხრა, რომ იმათი შვილი ხარ და მიდიოდნენ-მოდიოდნენ. ქართული კი კარგა იცოდა, ოსურიც იცოდა, მაინც გენეტიკა! ყველა ჩასვლაზე ხო ოსურად ურთიერთობდა“ (ავტორის საველე მასალა, არშა 20126).

ჩემი მოხევე რესპონდენტის აზრით, სწორედ ეთნიკურად შერეული ოჯახების სიმრავლის გამო, არ შეიძლებოდა ამ ხალხებს შორის დაპირისპირება:

„ჩვენთან როგორ შეიძლებოდა ერთურთჩი ერთმანეთის სასიკვდილოდ გამეტება, რაი რძლები გვყანან, სიძეები ოსებისა, და იმათაც ჩვენები. ერთურთჩია შარეული სისხლი, არ შაიძლებოდა. სისხლით ნათესაობა გვეთქმის უჟე ერთმანეთთან“ (ავტორის საველე მასალა, არშა 2017).

მოხევეები ძალიან დადებითად აფასებენ ოს ქალებს: „*ოჯახისთვის კაი გოგოები ყავთ ოსებს, უფროსის პატივისმცემელები, ზრდილობიანები*“ (ავტორის საველე მასალა აჩხოტი 2016). გამოკითხულთაგან არც ერთი არ არის წინააღმდეგი, რომ მისმა შვილმა ოსი შეირთოს ცოლად.

განათლება. საბჭოთა პერიოდის 30-იან წლებში ყაზბეგის რაიონის ოსურ სოფლებში თითქმის ყველგან იყო სკოლები, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ზოგან დაწყებითი, ზოგან რვაწლიანი. ყაზბეგის რაიონულ გაზეთ „ახალ ხევში ვკითხულობთ, რომ რაიონში იყო სულ 34 სრული, არასრული

და დაწყებითი საშუალო სკოლა (სადაც სწავლობდა 2240 მოსწავლე), იყო 114 მასწავლებელი, აქედან 90 – ადგილობრივი კადრი: *„შავბნელ წარსულში თუ ოს მოსახლეობისთვის არ არსებობდა რაიონში არცერთი სკოლა, დღეისათვის არსებობს 18 ოსური სკოლა. დღეს ოსი მშრომელების შვილები მშობლიურ ენაზე სწავლობენ დიადი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების შედეგად (გაზ. „ახალი ხევი", 1941, №6*).

გამორჩეული იყო სოფ. კობის სკოლა, რომელიც თვით კობის მოსახლეობამ ააშენა. ამ საქმის ინციატორი იყო ცნობილი მეცნიერის, ლინგვისტ ვასო აბაევის ძმა სიმონი; აბაევები წარმოშობით სოფ.კობიდან იყვნენ. სკოლაში, რომელსაც კომუნისტური ახალგაზრდობის სკოლას უწოდებდნენ და რაიონში

ვლადიკავკაზის ქართული საშუალო სკოლა

განთქმუნლი იყო, სწავლობდნენ ახალგაზრდები მიმდებარე სოფლებიდან. სკოლას ჰქონდა დამოუკიდებელი მეურნეობა – საქონლის ფერმა და მიწის ნაკვეთი. მოსწავლეები თან სწავლობდნენ, თან სამეურნეო საქმიანობასაც ეწეოდნენ, ძროხებს წველიდნენ და მიწას ამუშავებდნენ. სკოლა თავდაპირველად რვაწლიანი იყო და პატარა შენობა ჰქონდა; 1933 წელს, კვლავ სიმონ აბაევის ინიციატივით, მიიღეს ნებართვა და 1935 წელს, ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით, ააგეს კაპიტალური შენობა.[26] შემდეგ ის სკოლა-ინტერნატად გადაკეთდა. ყაზბეგელი რესპონდენტების ინფორმაციით, როდესაც თრუსოს ხეობის სოფლებში მოსახლეობის რაოდენობამ იკლო, მოწაფეები თრუსოს ხეობიდან კობის სკოლა-ინტერნატში მოდიოდნენ სასწავლებლად. სკოლებში სწავლება რუსულად/ქართულად მიმდინარეობდა: *„კობის ოსებმა ქართულიც იცოდნენ და რუსულიც. რუსულად იყო სწავლა სკოლაში“*.

ჩემი რესპონდენტის ინფორმაცია არ ემთხვევა ზემომოტანილ ფაქტს, ოსურ სკოლებში ოსურ ენაზე სწავლების თაობაზე; სავარაუდოდ, რუსულ/ქართულ ენაზე სწავლება მოგვიანებით შემოიღეს. ერთი რამ კი ფაქტია, რომ ოსური სოფლების მცხოვრებლებმა ქართული კარგად იცოდნენ. ინფორმანტების ცნობით, არასრული საშუალო სკოლებიდან ოსი მოსწავლეები სწავლის გასაგრძელებლად, ზოგი ორჯონიკიძის, ზოგი კი ყაზბეგის საშუალო სკოლებში გადადიოდა. ქართული ენის ცოდნა კიდევ უფრო აახლოვებდა ქართველებს და ოსებს და მათ ინტეგრაციას უწყობდა ხელს.

> *„ოთხი შვილი მყავს და იქ დავამთავრებინე ორჯონიკიძეში სკოლა ოთხივეს. სკოლა გაგვიხსნეს იმიტომ რომ ჩვენი ბევრი ხალხი ცხოვრობდა ორჯონიკიძეში, ეხლაც არის ის ქართული სკოლა, ქართველე-*

26 Туаева А. დასახ. პუბლიკაცია.

ბი დღესაც სწავლობენ, პატრიარქმაც ის სკოლა დაამთავრა“ (ავტორის საველე მასალა, არშა 2015) .

ყაზბეგის რაიონში გამოკითხულ საშუალო ასაკის რესპონდენტთა დიდ ნაწილს სკოლა ვლადიკავკაზში აქვს დამთავრებული. ცნობილია, რომ ვლადიკავკაზში იყო და დღესაც ფუნქციონირებს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული პირველი ქართული მე-19 საშუალო სკოლა, რომელიც აკაკი წერეთლის სახელს ატარებს. ამ სკოლის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ლ. პაპასკირის საგაზეთო პუბლიკაციიდან ვიგებთ. 129 წლის წინ ქართველი საზოგადო მოღვაწის და მაშინ ვლადიკავკაზში მიწათმოწყობის სამსახურის უფროსის – მიხეილ ყიფიანის თაოსნობითა და ძალისხმევით, ასევე, ქართველთა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი ყაზბეგის, დავით სარაჯიშვილის, ძმები სამადაშვილების და სხვათა მხარში დგომით, საფუძველი ჩაეყარა სკოლის დაარსებას. ქართული სკოლის დაარსების აუცილებლობა განაპირობა 1860-1880-იან წლებში, ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველთა დიდი რაოდენობით მიგრაციამ (ძირითადად, მოხევეები, მთიულები და რაჭველები), რისი ერთ-ერთი მიზეზიც სამუშაოს შოვნის ინტერესი იყო. რაჭველები ალაგირის ხეობაში ჩასახლდნენ, სხვები კი, ვლადიკავკაზსა და მიმდებარე სოფლებში – ლარსში, ჩიმში და ბალთაში. ქართველების რაოდენობა თანდათან უფრო გაიზარდა და, რათა ქართველი ბავშვები არ გარუსებულიყვნენ, საგანმანათლებლო ცენტრის გახსნა გახდა საჭირო. 1888 წელს შენობა უკვე დასრულებული იყო. ამავდროულად, იქაური სათვისტომო აწყობდა თეატრალურ დადგმებს და ასე აგროვებდა სკოლის კეთილმოწყობისთვის საჭირო თანხას. თანხა შეგროვდა და თეატრალურ დასსაც ჩაეყარა საფუძველი. ჩრდილოეთ კავკასიაში პირველმა ქართულმა თეატრმა სეზონი გახსნა. მოგვიანებით, თეატრალურმა დასმა პრობლემების გამო ფუნქციონირება შეწყვიტა.

ჩრდილოეთ ოსეთში ქართული დიასპორის ერთ-ერთი წარმომადგენელი ამ თემაზე საუბრობს:

> *„როდესაც ვლადიკავკაზში ეს სკოლა დაფუძნდა, იმას ეხმარებოდნენ ყიფიანი, ყაზბეგი, ჭავჭავაძე, ქართველი მოღვაწეები. აგერ, იაკობ გოგებაშვილი დახეული ფეხსაცმელებით დამარხეს და 19-ე სკოლას ეხმარებოდა. ეს საქმე დაიწყეს იქაურმა ქართველებმა, ჯერ ერთი ოთახი გახსნეს, სკოლის, მერე თეატრი გახსნეს, და აი, ამ შემოწირულობით მეორე ოთახი გააკეთეს, ჯერ იყო შაბათ-კვირას ასწავლიდნენ ამ ბავშვებს, რომ ცუდ წრეში არ მოხვედრილიყვნენ, ცუდ საზოგადოებაში. მერე ეკლესია გახსნეს, ადრეც იდგა ეკლესია და ეხლაც ააღორძინეს და შაბათ-კვირას მიმდინარეობს ქართულ და რუსულ ენებზე წირვა-ლოცვა. (ავტორის საველე მასალა, სტეფანწმინდა 2016).*

1898 წელს, ქართველი მეცენატებისავე დახმარებით, სკოლის ეზოშივე ააშენეს წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია. ეკლესიის შენობის გვერდით, რუსული სამხედრო ნაწილი და პოსტი იყო; სამხედრო ნაწილის მეთაურობამ ეკლესიის შენობის ხელში ჩაგდება მოინდომა. სკოლის მაშინდელმა დირექტორმა გიორგი ცხაკაიამ (დაინიშნა 1935 წელს) ძალიან ბევრი იბრძოლა მის გადასარჩენად; ბოლოს ეკლესიას გუმბათი მოხსნა და შენობა სკოლას შეუერთა, რითაც ის განადგურებას გადაარჩინა. ეკლესია 1990-იან წლებში აღადგინეს, თუმცა მაშინ წირვა-ლოცვა არ მიმდინარეობდა. სკოლის ახლანდელი დირექტორის და ადგილობრივი ქართველების დამსახურებით, ეკლესია დღეს მოქმედია.

შაბათ-კვირას აღევლინება წირვა, ეკლესიას ჰყავს წინამძღვარი თბილისიდან, რომელიც არის ეთნიკურად ოსი; იგი საეკლესიო ღვთისმსახურებას ხანდახან ქართულადაც აღავლენს.

საკვირაო წირვას ადგილობრივი მართლმადიდებელი ოსებიც ესწრებიან. პრობლემებს ქმნის ის, რომ ეკლესია საქართველოს ეპარქიის იურისდიქციაში არ არის და ადგილობრივ ეპარქიას ეკუთვნის.[27]

დღეს ვლადიკავკაზის ქართული სკოლა მერიის ბალანსზეა; მას მნიშვნელოვან შეღავათებს უწევენ, რომ თავისი ფუნქცია შეინარჩუნოს. სკოლაში სწავლა რუსეთის განათლების სახელმწიფო პროგრამით მიმდინარეობს, მაგრამ ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიისა და კიდევ რამდენიმე საგნის სახელმძღვანელოები საქართველოდან ჩადის საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ფონდის დაფინანსებით. მანამდე მშობლები თავად ჩამოდიოდნენ საქართველოში და ყიდულობდნენ სახელმძღვანელოებს. იგეგმება პრეზიდენტის ფონდიდან სკოლისთვის მიკროავტობუსის შეძენა, რათა გარშემო სოფლებსა (ლარსი, ჩიმი და ბალთა) და ქალაქის გარეუბნებში მცხოვრებ ბავშვებს ტრანსპორტის პრობლემა მოეხსნათ. დღეს სკოლის, როგორც პედაგოგიური კოლექტივი, ისე მოსწავლეთა რაოდენობა შემცირებულია. სულ 60-მდე მოსწავლე და 14-15 პედაგოგია[28]. ვლადიკავკაზის ქართულმა სკოლამ, ზოგადად, დიდი როლი ითამაშა ჩრდილოეთ ოსეთის ქართველთა ცხოვრებაში, მათი ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების კუთხით. ამ სკოლის კურსდამთავრებულის ინფორმაციით:

„90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ქართულ-ოსური კონფლიქტი დაიწყო, სკოლა დახურვის საფრთხის წინაშე დადგა, – ვიღაცები გამუდმებით კითხულობდნენ, რატომ უნდა იყოს ვლადიკავკაზში ქართული სკოლაო? თუმცა, სკოლა თავად ოსებმა დაიცვეს. კარგად მახსოვს, როგორ დარაჯობდნენ ყოველღამე, შეიარაღებული ადამიანები, რომ სკო-

27 პაპასკირი ვ. დასახ. პუბლიკაცია.

28 პაპასკირი ვ. დასახ. პუბლიკაცია.

ლასა და ტაძარში ვინმე არ შევარდნილიყო და არ დაეზიანებინა... ასე გადააგორეს რთული წლები. ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 90-იანებში, იქ ქართველზე მეტი ოსი სწავლობდა.შემდეგ, თანდათან ახალი თაობა წამოვიდა და მშობლებმა შვილები რუსულ სკოლებში მიიყვანეს. სამწუხაროდ, ეს ეხება ქართველებსაც...".[29]

სკოლის თაობაზე სხვაგან ვკითხულობთ: *„ადრე რამდენჯერმე იყო შემთხვევა, როდესაც ვლადიკავკაზში ქართულ სკოლასთან მივიდნენ ცხინვალელი ოსები და რაღაცები ესროლეს, კედლები შეღებეს"*.[30]

როგორც ცნობილია, საბჭოთა პერიოდში უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება საკმაოდ რთული იყო. მაშინ არ იყო იმდენი უმაღლესი სასწავლებელი, რამდენიც დღესაა და აქტიურად მოქმედებდა კომპლექსური კორუფციული სქემა, რომლის საშუალებითაც უმაღლესში ხვდებოდა ე.წ. „პატრონიანი" აბიტურიენტი, ხოლო ნიჭიერი ხშირად რამოდენიმეწლიანი მცდელობის შედეგად ახერხებდა სტუდენტად გახდომას. ასეთ სისტემაში არსებობდა ე. წ. ლიმიტების პრაქტიკა. ლიმიტი ეძლეოდა გარკვეული კატეგორიის აბითურიენტებს (სპორტსმენებს, რაიონის მოწინავე მუშა-ახალგაზრდებს, ეთნიკურ უმცირესობებს, და ა. შ.), რისი საშუალებითაც ის შედარებით დაბალი ქულების მიღების შემთხვევაშიც (სამიანებით) ეწყობოდა უმაღლეს სასწავლებელში. ორჯონიკიძის ქართულ სკოლადამთავრებულებსაც საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად ლიმიტები ეძლეოდათ. ყაზბეგის რაიონიდან ბოლო კლასებში მოსწავლეები იქ გადადიოდნენ და ხევის ახალგაზრდათა უმეტესობა ჩრდილოეთ ოსეთის ქართულ

29 პაპასკირი, იქვე.

30 ბასილაია ე., დაპირისპირება ვლადიკავკაზელ და ცხინვალელ ოსებს შორის ქართველების კონცერტის გამო, 2016.

სკოლას ამთავრებდა; ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისაც, რომ ორჯონიკიძეში ბევრი ქართველი სწავლობდა. ეს ფაქტი კიდევ უფრო აახლოებდა ამ ხალხებს ერთმანეთთან; ასე ახდენდა ჩრდილოეთ ოსეთის სოციუმთან ზიარებას ქართველების დიდი ნაწილი. ამგვარი ინტერპერსონალური კავშირები შემდგომ ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე დიდ გავლენას ახდენდა. ლიმიტების თაობაზე ჩემი რესპონდენტებიც საუბრობენ, და აღნიშნავენ იმას, რომ ქართული სკოლის არსებობამ, გარდა იმისა, რომ ხელი შეუწყო მოსწავლეთა კონტინგენტის გაზრდას, ქართველთა ჩრდილოეთისკენ გადინებასაც მისცა სტიმული.

საინტერესოა, რომ ჩრდილოეთ ოსეთის ქართული სათვისტომოს წარმომადგენლების ინიციატივა, გარკვეული შეღავათები მისცემოდათ ვლადიკავკაზის ქართული სკოლის მოსწალეებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების შემთხვევაში, წინა მთავრობის დროს, უგულვებელყოფილი იქნა (ავტორის საველე მასალა, ყაზბეგი 2016). მაგრამ, სამი წლის წინ, საქართველოს განათლების სამინისტრომ მიიღო დადგენილება, რომ ამ სკოლის კურსდამთავრებული, მინიმალური ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, 100%-იან გრანტს მიიღებს.[31]

კულტურული ტრადიციები. შერეული ოჯახების, მჭიდრო სამეზობლო და მეგობრული ურთიერთობების არსებობა ყაზბეგის რაიონის ქართველებისა და ოსების ინტენსიურ კომუნიკაციას უწყობდა ხელს, რისი შედეგიც ყოფითი და სოციო-კულტურული ტრადიციების მსგავსებაში, საზიარო რელიგიური კულტების, საერთო სალოცავების და კულტმსახურების ნორმების ქონაში იჩენდა თავს. ოსები დღემდე ჩადიან ხევში თავიანთ სალოცავებში რელიგიურ დღესასწაულებზე.

31 პაპასკირი, დასახ. პუბლიკაცია.

მაგალითად ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. თოთში, მათი ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლებამდე ვაჩილობას, რომელიც ოსების დღეობად ითვლება, ტრადიციულად ქართველებიც მათთან ერთად აღნიშნავდნენ; დღეს კი, როდესაც ოსები თოთში აღარ არიან, ვაჩილას სალოცავში რიტუალს მოხევეები მაინც ატარებენ.

ერთად აღნიშნავდნენ ხევის საერთო უდიდეს რელიგიურ დღესასწაულს – მარიამობას გერგეტის სამებაში საზღვრის ორივე მხრიდან მოსული სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები.

> *„სამების ტაძარში 28 აგვისტოს მარიამობას მოდიოდნენ ოსები, რუსები, ქისტები... 27 ში მოდიოდნენ ფეხით, სტავროპოლიდან და კრასნოდარიდან, ღამისთევით. უჩერებდნენ მანქანები, მარა ნათქვამი ჰქონდათ, რომ ფეხით უნდა ჩამოსულიყვნენ, ქალები ბავშვები კაცები, მოხუცები, ისეთი ბებრები რო ძლივს მოჩუქჩუქებდნენ . ივსებოდა ყველაფერი ამ ხალხით.მერე ეს ტამოჟნიები რო დაიკეტა ველარ მოდიან, არ უშვებენ“ (ავტორის საველე მასალა, არშა 2015).*

ასევე იყო ოსების სოფელ კობში, სადაც ორივე ეთნოსის წარმომადგენლები ათენგენობაზე იყრიდნენ თავს წმ. გიორგის სალოცავში, და ეს პრაქტიკა დღემდე გრძელდება. ჩრდილოეთ კავკასიიდან კობელი ოსები, რუსეთის მიერ საზღვრის ჩაკეტვის პერიოდის გარდა, ყოველ წელიწადს მოდიოდნენ თავიანთი ტრადიციული დღესასწაულის, ათენგენობის აღსანიშნავად. მაგრამ 2010 წლის შემდეგ, როდესაც საზღვარი გაიხსნა, ყველა ყაზბეგელი ოსი ვერ ახერხებს საქართველოს საზღვრის გადმოკვეთას. რუსეთთან გართულებული ურთიერთობის და იმ მოსალოდნელი საფრთხეების გამო, რაც ყაზბეგის ტერიტორიების ხელში ჩაგდების ინტერესებს თან ახლავს, ქართული მხარე საზღვარზე არ ატარებს იმ პირებს, ვინც შესაძლოა

პროვოკაციის ინიცირება მოახდინოს. ასეთი ვითარება იყო წელსაც, როდესაც ქართველმა მესაზღვრეებმა არ შემოუშვეს ოსების ერთი ჯგუფი და უარი ჩაურტყეს პასპორტებში. ამის შესახებ დაწვრილებით მომდევნო თავში ვისაუბრებ.

საზიარო სალოცავები აქვთ დღემდე ჩრდილოეთ ოსეთშიც, სადაც ქართველები და ოსები საერთო დღესასწაულებს მართავდნენ: *„საერთო სალოცავები იყო. ოსების მხარეს იყო და მოხევეები მიდიოდნენ ოსებისკენ სალოცავზე"* (სტეფანწმინდა 2016). მაგალითად, სოფ. ბალთაში აღნიშნავენ ლომისობას. სოფელი ბალთა გამორჩეულია იმით, რომ აქ შერეულად სახლობენ ქართველები, ოსები და ინგუშები, და ეს მოსახლეობა კარგად არის ინტეგრირებული ერთმანეთში. ამ დღეს აქ თავს იყრიან, არა მარტო სამივე ეთნოსის წარმომადგენლები, არამედ სომხებიც და რუსებიც. ქართულმა ტრადიციულმა დღესასაულმა ჩრდ. ოსეთში საერთაშორისო დღესასწაულის ფორმა მიიღო. კულტმსახურების ტრადიცია საქართველოს მთაში არსებულის ანალოგიურია: უხუცესი ლოცავს ლომისობაზე მისულთ, იკვლება საკლავი, მიაქვთ ქადები, სანთელი და სწირავენ ფულს. ბოლოს იშლება სუფრა და იმართება ქეიფი. ამ დღეობას ყაზბეგის რაიონიდან ჩასულებიც ესწრებიან.

ქართველთა და ოსთა ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად ორივე ჯგუფში აღინიშნება სოციალური და მატერიალური კულტურის ელემენტთა მსგავსება ან იგივეობა. მსგავსება უფრო მეტად შეინიშნება კულტურის იმ სფეროებში, სადაც ამ ორი ეთნოსის წარმომადგენლებს მეტი შეხების წერტილები ჰქონდათ.

> *„გვქონდა ოსებთან რაღაცა საერთო, ადათ-წესებში, კულინარიაში, ოსები უფროს-უმცროსობას ძალიან იცავდნენ, უფრო მეტად, ვიდრე ჩვენ" (ავტორის საველე მასალები, გარბანი 2015).*

> *„მაგათ (ჩრდ. ოსებმა) იცოდიენ-კე სამარხზე, ოლიბახებს გააკეთებიენ-კე, შიგ ცოტა ყველი. ჩაი-*

ნიკით ლუდი და არაყი. მამრე ქართველები (სამხრ. ოსები) რო ჩამოიდეს, მამრე ისწავლეს, ეხლა ჩვეულებრივი ქართული სუფრაა" (ავტორის საველე მასალები, არშა 2017).

აღსანისნავია, რომ ინტერკულტურული ურთიერთობის შედეგად, ვლადიკავკაზში ბოლო დროს აშკარად შეინიშნება ქართული კულტურის ელემენტთა შეღწევა ოსურ კულტურაში, რასაც ინფორმანტებისიგან ვიგებთ: „ბაზარში რომ გაივლი, სულ ქართული მუსიკები ისმის, საქართველოში გეგონება თავი"; სუფრაზე ქართული საჭმელები მკვიდრდება, იცვლება ოსური ქორწინების წესები და მას ქართული საქორწინო ელემენტები ერწყმის და ა. შ.

ეკონომიკური, სამეურნეო კავშირები. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის 1930-იანი წლების დასაწყისში ყაზბეგის რაიონის ოსურ დასახლებაში 6 კოლმეურნეობა იყო (მაშინ რაიონის შემადგენლობაში შედიოდა ღუდას ხეობის ოსური სოფლებიც). კოლმეურნეობების ძირითადი საქმიანობა მსხვილფეხა და წვრილფეხა მესაქონლეობა იყო, განსაკუთრებით მეცხვარეობა და შესაბამისად, ყველის წარმოება. კოლმეურნეობები ჩართული იყვნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. II სამამულო ომის დროს ისინი გააერთიანეს და დარჩა 3 – თრუსოს, ღუდას და კობის კოლმეურნეობები. მარტო თრუსოს კოლმეურნეობას ჰყავდა 30 000 სული ცხვარი კობისას – 24 000, ღუდისას – 11 000. 1953 წელს საქონლის ნამატმა შეადგინა 80 000-მდე ცხვარი და 300 მსხვილფეხა საქონელი, იყო ცხენების ფერმაც. მოგვიანებით, ღუდას კოლმეურნეობა შეუერთეს კობისას. ცხვარს ამთაბარებდნენ და ზამთარში ყიზლარში გადაჰყავდათ. არშელი რესპონდენტის ცნობით:

„ყიზლარში გადავდიოდით. ზაფხულში, როცა მოვიდოდა ყიზლარიდან საქონელი, ცოლ-შვილი ამოვიდოდნენ ორჯონიკიძიდან. ზაფხულში ცხვარს წველიდნენ, ძროხას უვლიდნენ. შემოდგომაზე ისევ

კაცები ცხორში მიდიოდნენ ყიზლარში და ქალები და ბავშვები ორჯონიკიძეში გადადიოდნენ“ (ავტორის საველე მასალა, არშა 2017).

განთქმული იყო კობის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობა, აქ წარმოებულმა კობის ყველმა 1940 წელს სსრ. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე უმაღლესი ჯილდო მიიღო.

ჩემი რესპონდენტი, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს კობის კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტერი იყო, კოლმეურნეობის პერიოდზე საუბრობს:

„მე ვიყავი კობის კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტერი. 12 წელი ვიყავი, 1976-1977 წლებში გადამიყვანეს იქა. მაშინ მოსახლეობა ბევრი იყო. ჩვენთან ერთი საბჭო იყო. ერთ შემოდგომას საბჭოდან მე წავიღე სტასტისტიკის მონაცემები რაიონჩი და 236 კომლი იყო მთლიანად; მანამდე, 2 სასოფლო საბჭო იყო, 5 კოლმეურნეობა; თრუსოს ხეობაში 1 კოლმეურნეობა იყო – გიმარის კოლმეურნეობა, გიმარაში შედიოდა კასარას იქით რო გავდივართ, ეგ სოფლები, ეგენი სუ მანდ შედიოდა. ერთი, კობში (შევარდენი, ოქროყანა, მნა) ოქროყანიდან აქათ ჯვრის უღელტეხილამდე კობისა იყო და, დაბლა მლეთიდან არის შემოსასვლელი, განისის ხეობა ჰქვია, იქაც ერთი, სადაც ოსები ცხოვრობდნენ. მარტო ცხვარი ჰყვანდა. მსხვილფეხა 1968 წელში მოსპეს. მაშინ რაღაც ციმბირის წყლული გამოჩნდა. და გასცეს ბრძანება და 24 საათში ვაგონებში მოხვდა მთელი რაიონის მსხვილფეხა საქონელი. რაიც ძროხა იყო სულა, კერძოც და კოლმეურნეობისაც. დუშეთის საქონელიც იქ იყო. თიანეთსაც ჰყვანდა. ჩააბარეს და იმის ბაზაზე ცხორი გაშენდა. როცა შემოდგომაზე გადავიდოდა

250 ათასი რაიონიდან გამოსაზამთრებლად, გადმოვიდოდა 380-400-მდე ნამატიანად ცხორი. ბევრ ცხორი იყო მაშინ, ადგილები არ ჰკმარობდა; ყველს აკეთებდნენ. ყველის გეგმა ჰქონდათ კოლმეურნეობის დროს, ერბოს გეგმა ჰქონდათ. მერე დამხმარე მეურნეობები შამოვიღეთ, ქვის სამხერხაო ცეხი გავაკეთეთ. ის სამხერხაო ცეხი იმდენს მოგებას გაძლევდა, რო რასაც სამი წელი კოლმეურნეობასა ცხვრით არ ექნებოდა მოგება“ (ავტორის საველე მასალები, არშა 2017).

ოსი მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია ყაზბეგის რაიონიდან საბჭოთა კავშირის დაშლას დაემთხვა, ამიტომ არსებული მეურნეობები სრულიად განადგურდა, მთხრობლები ყვებიან, თუ როგორ გადარეკეს ჩრდილოეთ ოსეთის მთებში კობის მეურნეობის ათიათასობით ცხვარი , როდესაც დაიშალა სსრ კავშირი, და ის იქედან აღარც დაბრუნებულა. მოსახლეობის ჩრდილოეთ ოსეთში გადინებამ კი თითქმის მთლიანად მოსპო სამეურნეო ყოფის ნაშთებიც. თუმცა, ერთი პერიოდის განმავლობაში ჩრდილოეთში გადასულ თრუსოელებს მაინც გადმოჰყავდათ საქონელი ზაფხულში თავიანთ ადგილებში.

საბჭოთა კავშირის დროს და მას შემდეგაც, სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობების თვალსაზრისით, საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობა ერთმანეთზე იყო დამოკიდებული. საბჭოთა პერიოდში მათ ინტენსიურ სოციო-ეკონომიკურ კომუნიკაციას განსაკუთრებით უწყობდა ხელს საზღვარზე თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა. საქართველოდან ოსეთი ძირითადად სოფლის მეურნეობის (მეცხოველეობა, სასათბურე მეურნეობა) პროდუქციით მარაგდებოდა, იქედან კი უამრავი სხვა საქონელი შემოდიოდა. ეს ერთიანი სივრცე იყო, რომელსაც, გარდა ტერიტორიული ფაქტორისა, სოციო-კულტურული და

ეკონომიკური სიახლოვეც ძალზე მჭიდროდ კრავდა. ეკონომიკური ვექტორი ორჯონიკიძეზე გადიოდა. საბჭოთა პერიოდის მომსწრე მოხევეებს მაშინდელი ყოფა იდეალურად ესახებათ. ქართველთა მიჯაჭვულობა ჩრდილოეთ ოსეთთან, ეკონომიკურის გარდა, სამედიცინო ინტერესებითაც იყო გამოწვეული:

> *„მოხევეები სავაჭროდ ორჯონიკიძეში დავდიოდით. ყაზბეგიდან ორჯონიკიძე ახლოა, 40 წუთი უნდა იქამდე. რუსული საქონელი უფრო იაფი იყო და ჩვენსას სჯობდა. დილას წავიდოდით, პროდუქტებს ვიყიდიდით და საღამოს ჩამოვიდოდით. ზამთარში დიდი ხნით იკეტებოდა პერევალი და ავად რომ გახდებოდნენ და ოპერაცია რომ დასჭირდებოდა, ყაზბეგში არ იყო თანამედროვე საავადმყოფო და, გადაყავდათ ვლადიკავკაზში " (ავტორის საველე მასალა, არშა 2016).*

ან:

> *„ჩვენ ცხოვრება ვლადიკავკაზის გარეშე არ შეგვეძლა. ეს იყო ჩვენი მაცოცხლებელი...და ჩაგვიკეტეს! ჩვენთვის თბილისი და საქართველო იმდენად არაფერი არ არის; ავად ვინმე გახდებოდა, ეს გზა დაკეტილი იყო, ვლადიკავკაზში მივდიოდით. პროდუქტი გვინდოდა, ვლადიკავკაზიდან მოგვქონდა, ვლადიკავკაზი გვაარსებებდა ჩვენ!. ეხლა? ეხლა, რა?! ძალიან ცუდად ვგრძნობთ თავს ვლადიკავკაზის გარეშე!" (ავტორის საველე მასალა, აჩხოტი 2016)*

ჩემი ყაზბეგელი რესპონდენტები განსაკუთრებით აღნიშნავენ ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქის მნიშვნელობას ხევის მოსახლეობისათვის და დღესაც ასეთი ურთიერთობის მოსურნენი არიან:

„მე ვარ დაბადებული ორჯონიკიძეში. ეხლა საბუთი კი არა მაქვს და ვერ მივდივარ! ვერც როგორ ვერ ვიტყვი, რო იქ ცუდი რაიღაცა იყო, ვერც როგორ, ვერა! ბინები რო გაცვალეს, მერე აირია, თორე სად იყო მანამდე. აქაური მოხევეები სუ ცხოვრობდეს ორჯონიკიძეში. ორჯონიკიძე ყაზბეგის ხალხისთვის იყო როგორც სენე, აი, საკუჭნაო. მანეთი ღირდა ავტობუსი, ხო? ერთ საათში იქ იყავ. ყველიც მიჰქონდა იქ ხალხსა, გასასყიდლადა, აქედანა. იქითაც იაფი იყო და იქითაც მაჰქონდა სუყველაფერი. აქ პარნიკები რო ჰქონდათ, სუ მადიოდეს აქ თავიანთი მანქანებით და ადგილზე იღებდეს და მიჰქონდა. მაგრამ ზოგს კიდე იქ მიჰქონდა, იქ უფრო მეტ ფასში იბარებდეს" (ავტორის საველე მასალა, არშა 2016).

2006 წელს საზღვრის ჩაკეტვამ და ქართულ პროდუქციაზე დაწყებულმა ემბარგომ, ოსეთთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის პრაქტიკა საერთოდ მოსპო. ქართველმა გლეხმა დაკარგა გასაღების რუსული ბაზარი. *„ზუსტად რუსეთის ბაზრის დაკარგვით დაკარგა მთავარი შემოსავალი გლეხმა კაცმა, რომელიც ადრე უვიზოდ გადიოდა რუსეთში, გაჰქონდა თავისი ოფლით მოყვანილი მოსავალი და ზამთარში ამ ფულით ირჩენდა თავს.*[32] რესპონდენტების ერთი ნაწილი ახლაც კი აღიარებს ვლადიკავკაზის უპირატეს მნიშვნელობას ხევის მოსახლეობისთვის. ეს სტერეოტიპი დღემდე სიცოცხლისუნარიანია არა იმიტომ, რომ მას ტრადიციულ-ისტორიული ფესვები გააჩნია, არამედ იმიტომაც, რომ ასეთია რეალობა; ამას განაპირობებს არა მარტო ტერიტორიული სიახლოვე, არამედ ხელსაყრელი პირობებიც. ამდენად, ყაზბეგის რაიონის ოსი და ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ორიენტირად კვლავ ვლა-

32 https://forum.ge/?f=29&showtopic=34565218&st=30

დიკავკაზი რჩება. მოხევეები ხაზს უსვამენ იმას, რომ სამუშაოს პრობლემა ოჯონიკიძეში არასდროს არ ყოფილა, *„ყოველთვის რაღაცას იშოვნიდი“* და „ვლადიკავკაზში ცხოვრება იოლია”. მაგრამ პრობლემას ქმნის ის, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის ჩრდილოეთ ოსეთში გადასვლა, რუსეთთან სავიზო რეჟიმის გამო, შეზღუდულია; ვინაიდან, ყაზბეგის რაიონის მოსახლეობისთვის ვლადიკავკაზი კვლავ რჩება სწრაფი სამედიცინო დახმარების მიღების, ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობის წარმოების და სამუშაოს იოლად შოვნის შესაძლებლობად, მოხევეთა ერთი ნაწილი, რუსეთის საზღვრის თავისუფლად გადაკვეთის შესაძლებლობისთვის, არჩევს, რომ ორმაგი პასპორტი ჰონდეს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენოს. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ნაშრომის II თავში ვისაუბრებ.

ზემოთ წარმოდგენილ მონაკვთში ნამდვილად არ ყოფილა ჩემი მიზანი, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტები მხოლოდ პოზიტიურ ჭრილში მეჩვენებინა. რასაკვირველია, ეს ურთიერთობა არ ყოფილა ყოველთვის უხინჯო, მაგრამ ამ ხალხთა ნარატივებში დადებითი განწყობა პრივალირებს. ჩემი მთხრობელები ალექსანდრე ყაზბეგისეულ ოსების შეფასებას იხსენებენ, ამბობენ, რომ „ოსებს ბოლომდე ვერ ენდობი”, „ქართველი უფრო გაგიტანს, ვიდრე ოსი”, „ненадежный как осетин”, ”ჩვენ კი გვიცავდნენ ცხინვალელებისგან, მაგრამ ოსი მაინც ოსების მხარეზე იქნება”, მაგრამ ეს შეფასებები მაინც უფრო ზოგადია. რაიმე კონკრეტული გამორჩეული უარყოფითი დატვირთვის მქონე ისტორია ქართველ და ყაზბეგელ ოსთა ურთიერთობაში არ დაფიქსირებულა, გარდა იმისა, რომ ძველად ოსებთან მიწაზე დავა ჰქონდათ და ერთმანეთს საქონელს პარავდნენ.

ამრიგად, შეიძლება მოკლედ ჩამოვაყალიბოთ: ყაზბეგის რაიონში ოსების განსახლების არეალი – თრუსოს ხეობა და

კობის ქვაბული, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთის გეო-სტრატეგიულ ინტერესებში მოექცა. ამ ტერიტორიაზე ოსები XVII-XVIII საუკუნეებში ჩამოსახლდნენ, მათ დაიკავეს ქართველური მოდგმის დვალთა ტერიტორია და თანდათან ქვემოთაც ჩამოინაცვლეს. რუსეთი მანიპულირებს ოსების ყაზბეგის რაიონის ამ ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტორით და გაყალბებული ისტორიის მოშველიებით ცდილობს ეს ტერიტორია ოსების ისტორიულ სამშობლოდ წარმოადგინოს, მიუერთოს სამხრეთ ოსეთს და ამგვარად, კონტროლი მოიპოვოს გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან არეალზე. ამ მიზნის მისაღწევად, რუსეთი ცდილობს იმანიპულიროს ქართულ-ოსური ურთიერთობის გარკვეული ასპექტებით და აქციოს ის თავის ბერკეტად. რუსეთისთვის პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ დღეს ოსების სოფლები ფაქტობრივად დაცლილია და მათი უმრავლესობა ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლდა.

საბჭოთა პერიოდში პერმანენტულად ხდებოდა ოსთა ჩრდილოეთისკენ გადინება, რასაც თავდაპირველად სეზონური ხასიათი ჰქონდა. მიგრაცია უფრო გააქტიურდა 1970-იან წლებში, ხოლო პიკს 1990-იან წლებში მიაღწია; ამას ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის დაშლამ, ხოლო უფრო მეტად დააჩქარა 1991-1992 წლების ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა. ფაქტობრივად, პერმანენტული მიგრაციის ფონზე თრუსოს ხეობა სულ დაიცალა ოსი მოსახლეობისაგან და ოსები დღეს კობის საკრებულოს მხოლოდ სამ სოფელში ცხოვრობენ.

ყაზბეგის რაიონის ოსები და მოხევეები კარგად ინტეგრირებული ჯგუფებია, რასაც ხელი შეუწყო მათმა ხანგრძლივმა თანაცხოვრებამ; ამის შედეგი მათი პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება, მეგობრობა, სამეზობლო კავშირები და შერეული ოჯახები იყო. მათი ურთიერთობა ტრადიციულად გაგრძელდა ყაზბეგელი ოსების ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლების მერეც. ტერიტორიული სიახლოვის გამო, ყაზბეგის რაიონის და

ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობას შორის მჭიდრო სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობა ჩამოყალიბდა, ქართული მოსახლეობის ორიენტირი ორჯონიკიძე//ვლადიკავკაზი იყო და არის დღესაც.

რუსეთის ვიზების საჭიროების გამო, ყაზბეგის მოხევეები ვეღარ გადიან ჩრდილოეთით, რითაც დაირღვა მათი ტრადიციული ყოფის რიტმი. ამ რიტმის აღსადგენად ისინი რუსეთის მოქალაქეობას იღებენ; ხევის მოსახლეობის რუსეთის მოქალაქეებად ქცევის პოლიტიკა ერთგვარ ნიადაგს უმზადებს მოწინააღმდეგეს ქართული ტერიტორიების ხელში ჩაგდების გეგმის განსახორციელებლად. ქართველებისა და ოსების მიერ რელიგიური დღესასწაულების ერთობლივად აღნიშვნის ტრადიცია და მასთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი პრობლემები ასევე შესაძლოა, რუსეთმა ბერკეტად გამოიყენოს.

II თავი

ქართულ-ოსური ურთიერთობა ჰიბრიდული ომის კონტექსტში

ბოლო წლების განმავლობაში პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ აქტიურად იკავებს ადგილს. რა არის იგი და რა როლი შეიძლება ჰქონდეს ჰიბრიდული ომს ქართულ რეალობაში? მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ამ ფენომენის უნივერსალური განმარტება, მისი ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს: ეს არის ომის თანამედროვე ფორმა, რომელიც უმთავრესად ფიზიკური დაპირისპირების გარეშე სტრატეგიული ამოცანების მიღწევაზეა ფოკუსირებული.[33]

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ექსპერტებმა XX საუკუნის მიწურულს სამხედრო დაგეგმარების პრაქტიკაში შემოიღეს ჰიბრიდული საფრთხეების და მასთან დაკავშირებული ჰიბრიდული ომების ახალი ცნება – საომარი მოქმედების ფორმა, რომელშიც სხვადასხვა შემადგენლობის, საშუალებების, მომზადების დონისა და ხასიათის ძალებია ჩართული. ჰიბრიდულ ომს უწოდებენ ტაქტიკას, რომლის დროსაც არ გამოიყენება ჩვეულებრივი სამხედრო საშუალებები. ომი შეიცავს პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ელემენტებს და ასევე გულისხმობს ეკონომიკური ზეწოლისა და სპეცდანიშნულების ძალების ფარულ, ფინანსური არხების, რესურსებისა და ფარული ხასიათის სამხედრო საშუალებების ინტეგრირებულ გამოყენებას.[34]

---

33 აბულაძე, ა. „კონფლიქტის ახალი ფორმა დ ჰიბრიდული ომი“, 2016.

34 აბულაძე, დასახ. პუბლიკაცია, იქვე.

სხვა განმარტებით, ჰიბრიდულ ომში იგულისხმება სამხედრო თუ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად დიპლომატიური, სამხედრო, ეკონომიკური, საინფორმაციო საშუალებებისა და კონვენციური, არარეგულარული (პარტიზანული და ასიმეტრიული), ტერორიზმის, კრიმინალური და კიბერ ბრძოლის მეთოდების ერთობლივი, კოორდინირებული, ღია და ფარული გამოყენება.[35]

ქართულ-ოსური კონფლიქტის კონტექსტში ჰიბრიდული ომი რუსეთთან ასოცირდება. ეს არის ბრძოლის მეთოდი, რომელსაც რუსეთი საქართველოში თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მიმართავს. ჰიბრიდული ომის რუსულ თეორიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მოსამზადებელი ფაზა, რომელიც ითვალისწინებს: სამიზნე ქვეყნის მოწყვლადი ადგილების გამოვლენას, თავდამსხმელი ქვეყნისადმი ლოიალურად განწყობილი პირების და ორგანიზაციების ქსელის ფორმირებას და სამიზნე ქვეყნის მოსახლეობის აქტიურ საინფორმაციო დამუშავებას, რათა მას გაუღვივდეს უკმაყოფილება საკუთარი ხელისუფლების მიმართ და გახდეს თავდამსხმელი ქვეყნის მხარდამჭერი ან/და არ შეეწინააღმდეგოს მის მოქმედებებს. ჰიბრიდული ომის წარმოებისას სამიზნე ქვეყნის გრავიტაციის ცენტრს ქმნის ადგილობრივი მოსახლეობის პოზიცია. შესაბამისად, თავდამსხმელმა ქვეყანამ აუცილებლად უნდა მოიპოვოს ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა. პროპაგანდისა და საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციების გამოყენებით ხდება სამიზნე ქვეყნის ეთნიკურ ჯგუფებში, პოლიტიკურ ელიტასა და სამოქალაქო საზოგადოებაში დაპირისპირების გაღვივება.[36]

---

35 Hoffman, F. Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars. Potomac institute for policy studies, (8-28), 2007, გვ. 7.

36 http://eugeorgia.info/

როგორც ამ საკითხისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ პუბლიკაციაში ვკითხულობთ, ჰიბრიდული ომის რუსულ თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საინფორმაციო სივრცეში აქტივობას, როგორც „ახალი თაობის ომის" ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს.[37]

საინფორმაციო ომი, რაშიც ხშირად ინფორმაციულ-პროპაგანდისტულ, ფსიქოლოგიურ და კიბერსაშუალებებს აერთიანებენ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში შეღწევის გზით მასაზე ზეგავლენის მოხდენას, ამა თუ იმ იდეის მხარდაჭერის მოპოვებასა და დამკვეთის პოლიტიკის გატარებას გულისხმობს.[38] გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად კრემლი, მის ხელთ არსებული ჰიბრიდული ომის ბერკეტებს შორის სულ უფრო ეფექტიანად იყენებს საინფორმაციო ომსა და პროპაგანდას.[39] განურჩევლად სამიზნე ქვეყნისა, კრემლის პროპაგანდას შემდეგი უნივერსალური მახასიათებლები გააჩნია:

1. **მოცულობა და გავრცელების მრავალარხიანი ქსელი** – პროპაგანდა იქმნება სხვადასხვა ფორმატში (ტექსტი, აუდიო, ვიდეო, ფოტო მასალა). მისი გავრცელება ხდება განსხვავებული არხებით – ინტერნეტი, სოციალური მედია, რადიო, ტელევიზია, ბეჭდური მედია, საზოგადოების წარმომადგენლებთან პირდაპირი შეხვედრებით და კომუნიკაციით;
2. **ობიექტური რეალობის უგულებელყოფა** – პროპაგანდა დაფუძნებულია შეთხზულ ამბებზე, რეალური ფაქტების დამახინჯებაზე ან კრემლისეულ ინტერ-

37 http://eugeorgia.info/ka/article/637/hibriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi

38 აბულაძე ა. დასახ. პუბლიკაცია.

39 ავალიშვილი ლ., ლომთაძე გ. და ქევხიშვილი ს., კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ. პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა, 2016, გვ. 5.

პრეტაციაზე, რაც გულისხმობს ამბის ან სიახლის კონ-ტექსტიდან ამოღებას და კრემლისთვის სასურველი კუთხით გაშუქებას;

3. **სიხშირე, უწყვეტობა და განმეორებადობა** – პროპაგან-და იქმნება სწრაფად და უწყვეტად. ხშირ შემთხვევაში, ხდება ძველი დეზინფორმაციის ხელახლა გავრცელება და ტირაჟირება, რათა სასურველი გზავნილის აქტუა-ლობამ არ იკლოს;
4. **პროპაგანდის ობიექტის დაბნევა** – მთავარი გათვლა არა ტყუილის სიმართლედ წარმოჩენაა, არამედ ფაქტების და-მახინჯებით მაყურებლის/მკითხველის დაბნევაა, რათა მან ურთიერთსაპირისპირო ინფორმაციის მიღებით ვეღ-არ შეძლოს რეალური სურათის დანახვა;
5. **კრიტიკის უარყოფა** – უგულებელყოფილია რუსეთის ფედერაციის ქმედებების ყველანაირ კრიტიკა და ისინი წარმოჩენილია, როგორც შეთხზული ტყუილი.

უნივერსალური მახასიათებლების გარდა, კრემლის პრო-პაგანდისტები თემატური მიმართულებების განსაზღვრისას სამიზნე ქვეყნის სპეციფიკას ითვალისწინებენ.[40]

მიზნის მისაღწევად რუსეთი წარმატებით იყენებს სტრატე-გიულ კომუნიკაციებს – ტელეკომპანიებს, სატელევიზიო გა-დაცემებს, ევროპულ think tank-ებს, ინტერნეტ-ტროლებს, ბოტებსა და ე.წ. fake news-ებს. მათი მთავარი ამოცანა პოლი-ტიკური დისკუსიის კრემლის ინტერესების სასარგებლოდ წარმართვაა.[41]

საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდულ ომში რუსეთი საინ-ფორმაციო, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ საშუალებებს თავისთვის სასურველი პოლიტიკური, ეკონომი-

---

40 ავალიშვილი და სხვ. დასახ. ნაშრომი.

41 http://eugeorgia.info/ka

კური და სამხედრო გარემოს შესაქმნელად იყენებს. ამდენად, ჩვენი ქვეყნისთვის შემდგომი საფრთხეების ასაცილებლად ჰიბრიდული ომის რუსული თეორიის გაგება უცილობლად მნიშვნელოვანია. დღესდღეობით სახელმწიფო უსაფრთხოების მთავარი ამოცანაა, დაადგინოს, სად უნდა ვეძიოთ ნოყიერი ნიადაგი რუსეთის პროვოკაციებისთვის.[42]

საინფორმაციო ომი. უკანასკნელი პერიოდის ქართულ რეალობაში აშკარად გამოჩნდა, რომ რუსეთი თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის ბრძოლაში ერთ-ერთი სერიოზულ გათვლას ოსურ ფაქტორზე აკეთებს, რასაც ბოლო დროის ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგები მოწმობს: ოკუპირებული ისტორიული ქართული მიწები – სამაჩაბლო და ახალგორის რაიონი, სამშობლოდან გამოდევნილი ქართული მოსახლეობა, რუსეთის მზარდი მცოცავი ანექსია, ამ ვითარების თანმდევი უმძიმესი პროცესები და ა. შ. რუსეთმა ფაქტობრივად ხელში ჩაიგდო ჩრდილოეთ ოსეთის მოსაზღვრე საქართველოს ტერიტორიის ნაწილი, ხოლო ახალ სამიზნედ საქართველოს ყაზბეგის რაიონი დაისახა[43].

---

42 https://www.kvirispalitra.ge

43 თრუსო და კობი სტრატეგიულსდ ძალზე მნიშვნელოვანია, ისინი საქართველოს სამხედრო გზაზთან მდებარეობენ და სტრატეგიული როკის გვირაბიდან მხოლოდ 15 კმ.-ით არიან დაშორებული. სამხედრო თვალსაზრისით, თეორიულად, ქართულ მხარეს შეუძლია სამხედრო ამოცანის შესრულება და თრუსოს ხეობიდან სპეციალური საარტილერიო დანადგარების საშუალებით იერიშის მიტანა როკის გვირაბის სამხრეთი პორტალიდან გამომავალ გზაზე და უღელტეხილის ფერდობებზე. მათი ჩამოშლის შემდეგ ჯავისა და ცხინვალისკენ მომავალი გზა დროებით მაინც ჩაიკეტება. მეორე მხრივ, რუსეთისათვის თრუსოს ხეობის კონტროლი საქართველოს სამხედრო გზის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მონაკვეთის გაკონტროლების საშუალებას იძლევა რომელიც რუსეთიდან სომხეთში ყველაზე მოკლე გზას წარმოადგენს" (ლუკიანოვიჩი ქ., საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის სტრატეგიული გადასასვლელები და მათი როლი ქვეყნის უსაფრთხოებაში გეოპოლიტიკური და ისტორიული ანალიზი, თბილისი 2015).

როგორც ისტორიამ დაგვანახა, რუსეთს ეთნოსებს შორის დაძაბულობის შექმნისა და კონფლიქტების პროვოცირების საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს; ამის ერთ-ერთ ნათელ მაგალითად პოსტსაბჭოთა ე. წ. გაყინული კონფლიქტების დროგამოშვებით გააქტიურება შეიძლება მოვიტანოთ (მაგ. 2008 წლის სამხრეთ ოსეთის, 2016 წლის ყარაბახის განახლებული კონფლიქტები). 2010 წელს ჟურნალ „ინტელექტუალში" დაიბეჭდა სტატია, სადაც ავტორი აკეთებდა პროგნოზს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების და ყარაბახის პრობლემის ხარჯზე რუსეთი მომავალშიც ყველანაირად შეეცდებოდა მაღალი პოლიტიკური ტემპერატურის შენარჩუნებას კავკასიაში. ეს სცენარი რუსეთისთვის მომგებიანი იყო, რამდენადაც, ასეთ შემთხვევაში, რუსეთის მონოპოლიას ენერგომატარებლებზე ხელი აღარ შეეშლებოდა და ეს იქნებოდა *პროექტ ნაბუკოს* დასასრული; ხოლო კავკასიის, როგორც ენერგოგამტარი ხაზის ჩაკეტვის შემთხვევაში, ევროპის ერთადერთი ენერგოდონორი რუსეთი გახდებოდა.[44]

როგორც დავინახეთ, ეს პროგნოზი გამართლდა ყარაბახის კონფლიქტთან მიმართებაში 2016 წელს, ხოლო ჯერ-ჯერობით გაურკვეველია, შემდგომში რა დატვირთვა ექნება ოსეთის ფაქტორს ამ თვალსაზრისით. მას მერე, რაც 2008 წლის აგვისტოს ომის და რუსეთის მიერ ახალგორის ოკუპაციის შემდეგ, ოსების/რუსების პრეტენზიები ქართულ მიწაზე გაიზარდა, 2009 წლიდან იგი პერმანენტულად ცდილობს შექმნას შესაფერისი ნიადაგი თავისი გეგმების განსახორციელებლად და, ამჯერად, ყაზბეგის რაიონის ოსური მოსახლეობის და მათი ტერიტორიების თემატიკით მანიპულირებს. ისმის კითხვა, რა ადგილი უჭირავს ქართულ-ოსურ ურთიერთობას დღეს ჰიბრიდული ომის რუსულ თეორიაში და როგორ აქცევს იგი მას თავის ერთ-

44 მადუაშვილი გ. ეთნოკონფლიქტებიდან ოკუპაციასა და ანექსიამდე, 2010.

ერთ სამიზნედ ყაზბეგის რაიონში; დღეს სპეციალისტებს თრუ-სოს ხეობა ჰიბრიდული ომის რუსულ სცენარში პროვოკაციების უამრავ წერტილთაგან ერთ-ერთად მიაჩნიათ.

ცნობილია, რომ მედიას ძალუძს შეასრულოს უმთავრესი როლი, როგორც საზოგადოების მტკიცე, ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბებაში, ასევე მის დანაწევრებასა თუ განეიტრა-ლებაში. მას შეუძლია შექმნას ახალი საზოგადოებრივი აზრი, სრულიად ახალი მიზნებისაკენ წარმართოს საზოგადოების ძალა და განსხვავებული, ტრანსფორმირებული სოციუმი ჩა-მოაყალიბოს. მედიის მნიშვნელობა საზოგადოებისათვის განსა-კუთრებულად იზრდება, როდესაც კონკრეტულ სოციუმს მნიშ-ვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა უწევს.[45] დღეს ტრადიციული მედია სოციალურ მედიასთან ერთად მნიშვნელოვან ზეგავლე-ნას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

ამერიკელი ფსიქოლოგი ელიოტ არონსონი ნაშრომში – „საზოგადოებრივი ცხოველი", მასობრივი კომუნიკაციის სა-შუალებებით განხორციელებულ ზემოქმედების ფარულ ფორ-მაზე საუბრობს. იგი განსაკუთრებით საინფორმაციო გადაცე-მებს გამოჰყოფს და ხაზს უსვამს, რომ მათ შეუძლიათ იმოქმე-დონ ჩვენ განწყობაზე სხვა ერებისადმი და გამოიწვიონ ადამიან-თა აგრესიული ქმედებაც კი. ინფორმაციის მოწოდების გარდა, ამ ტიპის გადაცემებში მასალების შერჩევით აქცენტირებასაც ახდენენ, რამაც შესაძლებელია განაპირობოს მოვლენების შემ-დგომი მსვლელობა.[46]

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით წარმატებით ხორციელდება ე.წ „ფრაიმინგი", ანუ იგივე განწყობის, დამო-კიდებულების ფორმირება. „ფრაიმინგით" მანიპულირებას შეუ-

---

45 პაპასკირი ვ., საკომუნიკაციო საშუალებები და საზოგადოება, ინტელექ-ტუალი, 2010, №12.

46 Аронсон Элиот, Общественное животное, Москва, 1999, გვ. 80-85.

ძლია ძლიერი გავლენა მოახდინოს ადამიანის ან ჯგუფების განწყობასა და ქცევაზე. თუ ინდივიდს თავისთავად უყალიბდება, ან შეგნებულად უყალიბებენ უარყოფით განწყობას ამა თუ იმ პიროვნების, ჯგუფის ან პრობლემის მიმართ, მისი აზრიც უარყოფითია, და პირიქით. ფრაიმინგით მანიპულირებას თვით ძალზე გამოცდილი პროფესიონალებიც კი ექვემდებარებიან.[47]

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მჭიდრო კავშირშია ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებასთან. სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ პოსტსაბჭოთა პერიოდის კონფლიქტების დროს სწორედ მასმედიამ შეასრულა განსაკუთრებული როლი ეთნოსებს შორის დამოკიდებულების ფორმირებაში და იგი მასობრივი ცნობიერების მანიპულირების იარაღად იქნა გამოყენებული. მაგალითად, ვ. ტიშკოვი მონოგრაფიაში „საზოგადოება შეიარაღებულ კონფლიქტში“, რომელიც ჩეჩნეთ-რუსეთის ომის თემას ეხება, განიხილავს კონფლიქტზე თანამედროვე საინფორმაციო საშუალებათა გავლენის ფაქტორს. იგი აღნიშნავს, რომ თანამედროვე პირობებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოადგენს უდიდეს მამობილიზებელ ძალას და უბრალო გავლენას კი არ ახდენს კონფლიქტზე, არამედ ხშირად ეს გავლენა სამხედრო ბრძანებებზე უფრო ძლიერიც კი არის.[48]

სტატიაში „მასმედია და კონფლიქტები კავკასიაში” კ. ძებისაშვილი მასმედიის და კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტების ურთიერთმიმართებაზე წერს:

„პოტენციური კონფლიქტების ზონებში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს სიტუაციის გამწვავებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. მათი დამსახურებით, უარყოფითი, და,

---

47 Аронсон, დასახ, ნაშრომი, გვ. 143.

48 Тишков В. Общество в вооруженном конфликте (этнография чеченской войны). М.: Наука. 2001 2001, გვ. 49.

ხშირად, ცრუ ინფორმაცია საყოველთაოდ ვრცელდება. შედეგად, ადამიანებს უყალიბდებათ მტრული დამოკიდებულება იმ ობიექტების მიმართ, რომელსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოცემული საზოგადოებისთვის ნომერ პირველ მტრებად წარმოგვიდგენს".[49]

ამავე ავტორის შეხედულებით, კონფლიქტურ გარემოში თვითოეული მოვლენის გარშემო უამრავი მითი იქმნება, რომელსაც ბევრი იყენებს (ან იგონებს) რათა მოვლენათა მიმდინარეობას „საჭირო" მიმართულება მისცეს.[50]

დეზინფორმაციის ან სასურველი კონტექსტის შემცველი ინფორმაციის გავრცელება, რასაც შეუძლია შეცვალოს საზოგადოებრივი აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ინფორმაციული ომის წარმოების ძირითად მეთოდად გამოიყენება. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (II) დასკვნით, საქართველოში კრემლის პროპაგანდის ძირითად საყრდენი მედიასაშუალებებია, რასაც ეფექტიანად იყენებს თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.[51]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ოსურ/რუსულ მედიასაშუალებებში და სოციალურ ქსელებში 2008 წლის ომის შემდგომ ძალზე გააქტიურდა ოსეთისთვის „მისი კუთვნილი ტერიტორიების", კერძოდ, ყაზბეგის რაიონში მათი ყოფილი საცხოვრისის (კობის ქვაბულის, თრუსოს ხეობის) დაბრუნების საკითხი. ამ პრობლემის გააქტიურება უშულო კავშირშია ვლადიკავკაზში არსებულ რამოდენიმე ანტიქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციის, კერძოდ, „დარიალის", „გაერთიანებული ოსეთისთვის" და „ყაზბეგის", საქმიანობასთან.[52]

---

49 Дзебисашвили К. Масс-медия и конфликты на кавказе № 5(6) 1999.

50 Дзебисашвили, იქვე.

51 ავალიშვილი და სხვ. დასახ. ნაშრომი, 2016.

52 ლუკიანოვიჩი, დასახ. ნაშრომი, 2015, გვ. 123

ორგანიზაცია „დარიალი“ 2008 წლის 21 დეკემბერს ვლადიკავკაზში დაარსდა რუსეთის შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნის, წარმოშობით თრუსოელი გაირბეკ სალბიევის ხელმძღვანელობით. პირველ ეტაპზე მან გარშემო შემოიკრიბა 1990-იანი წლების კონფლიქტის დროს და შემდგომ, ყაზბეგის რაიონიდან ჩრდილოეთ ოსეთში საცხოვრებლად გადასული პირები. მოგვიანებით, მასში საკმაოდ ბევრი ადამიანი, მათ შორის ქართველიც, გაწევრიანდა. სალბიევი მთელი ყაზბეგის რაიონს, გარდა ოსების საცხოვრისისა (კობი და თრუსო), ოსურ მიწებად მიიჩნევს და, მისი აზრით, ეს ტერიტორიები საქართველოს მიერაა ოკუპირებული. მან პირველსავე შეკრებაზე ყაზბეგი, თრუსოს და დარიალის ხეობები „აღმოსავლეთ ოსეთად” გამოაცხადა. სალბიევთან თანამშრომლობდა სეპარატისტების ყოფილი ლიდერი ედუარდ კოკოითი. 2009 წელს კოკოითმა ახალი ტერიტორიული პრეტენზია სწორედ „დარიალის” ხელმძღვანელობასთან დეტალური კონსულტაციის შემდეგ წამოაყენა. ყველაზე აქტიურ ქმედებებს ეს ორგანიზაცია 2009-2011 წლებში ახორციელებდა. ამ პერიოდში ის დროდადრო ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტთან პიკეტებს აწყობდა; სალბიევი ხალხს ჰპირდებოდა, რომ ისინი სულ მალე ყაზბეგის რაიონში, 1990-იან წლებში მიტოვებულ საკუთარ სახლებში დაბრუნდებოდნენ, ხოლო ტერიტორია დამოუკიდებელი სამხრეთი ოსეთის ნაწილი გახდებოდა. ის აგრეთვე ამბობდა, რომ საჭირო იყო დაწყებულიყო ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის პასპორტიზაცია, რადგან იქ უმრავლესობას ოსები წარმოადგენენ.[53]

„დარიალის“ გარდა ვლადიკავკაზში 2004 წლიდან მოქმედებს აგრეთვე ორგანიზაცია ე „გაერთიანებული ოსეთისთვის“ რომლის პროგრამაშიც ე. წ. ცენტრალური ოსეთის ანუ

53 ლუკიანოვიჩი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123-124

ყაზბეგის რაიონის „დაბრუნება“ შედის. ორგანიზაცია ბოლო წლების განმავლობაში უფრო გააქტიურდა. თუმცა, არც „დარიალი“-ს და არც „გაერთიანებული ოსეთისთვის“ საკუთარ საქმიანობაში არასოდეს არ გადაუდგამთ პრაქტიკული ნაბიჯები. „გაერთიანებული ოსეთისთვის“ ლიდერია ალიხან ხუგაევი, რომელიც თავის თავს „ოსი ერის უფლებების დამცველად“ თვლის. ცნობილია მისი პოზიცია საქართველო-რუსეთის საზღვართან დაკავშირებით:

„ოსებს არასდროს მოუხსნიათ თავიანთი წინაპრების მიწების დაბრუნების საკითხი. ქართველ ისტორიკოსებს, ჟურნალისტებს ისტორიული ფაქტების აღიარება არ სურთ. ქართველების აზრით და რწმენით, მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორია მათ ეკუთვნოდათ და ყველა ჩრდილოეთ კავკასიელი ერი ქართულ მიწაზე სტუმრად იყო მოსული. ქართველ დიპლომატებს მთავარ არგუმენტად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის საზღვარი გადის ბუნებრივ გამყოფზე – კავკასიონის მთავარ ქედზე. ყაზბეგის რაიონი კი მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთებზე; ასეთ „არგუმენტებს“ რა უნდა მოვუხერხოთ? ქართველები ამ რეგიონში XIX საუკუნეში გამოჩნდნენ. ოსები ცხოვრობდნენ თრუსოს ხეობაში, კობის ქვაბულში, ღუდას ხეობაში. აქ ყველა ტოპონიმი ოსური წარმოშობისაა: მდინარეები, მთები, ხეობები. აქ არ არსებობს 120 წელზე უფრო ადრინდელი არცერთი ქართული არქეოლოგიური ძეგლი. საქართველოს ხელისუფლება მონდომებით ცდილობს აღმოფხვრას ოსური ტოპონიმიკა და ის ქართულად გადააკეთოს. ყაზბეგსაც კი სტეფანწმინდა გადაარქვეს, რადგან ცნობილ მწერალს, ალექსანდრე ყაზბეგს ინგუშური ფესვები ჰქონდა“.[54]

54 Тарханова, Ж., «Осетины никогда не смирятся с потерей своих земель» 2015.10.02

ნათელია, რომ მსგავსი ორგანიზაციების პროპაგანდისტული საფუძველი არის გაყალბებული ისტორია, ანტიქართული რიტორიკა და საზღვრების ახალი დემარკაციის სურვილი. აღნიშნული ორგანიზაციების პარალელურად, ამ პროპაგანდისტულ ბრძოლაში გამოჩნდა მესამე ძალა, ორგანიზაცია „ყაზბეგი", რომელსაც ლიდერობს სერგო თუათი. ბოლო დროს ზუსტად ეს ორგანიზაცია ატარებს ყველაზე აქტიურ საქმიანობას, რათა აიძულოს საქართველოს მთავრობა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ოსების ყაზბეგის რეგიონში შეშვებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით 2015 წლის იანვარში თუათიმ წერილი გაუგზავნა საქართველოს სახალხო დამცველს, სადაც იგი გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ქართველი მესაზღვრეები 2014 წლის ივნისიდან აღარ უშვებენ ოსებს თავიანთ ყოფილ სახლებში სოფელ კობში (სინამდვილეში, ეს პროცესი უფრო ადრე 2013 წელს დაიწყო. ნ. ჯ.). ის ამ ფაქტს ადამიანის გადაადგილების უფლების დარღვევად თვლიდა და ითხოვდა რეაგირებას. თუმცა მანამდე ოფიციალურმა თბილისმა გააფრთხილა ოსური მხარე, რომ ქვეყნის უსაფრთხოების მიზნით ზოგიერთი ორგანიზაციის ლიდერი გამოცხადებულ იქნება პერსონა ნონ გრატად. აღნიშნული ორგანიზაციების სამივე ლიდერი წელს ამ სიაში აღმოჩნდა, თუმცა, მანამდე ისინი საზღვარზე რამოდენიმეჯერ გადავიდნენ. თუათი, რუსეთის გარდა, არის ბელგიის მოქალაქეც. ამდენად, შესაძლებელია, რომ თუათის საქმიანობა გაგრძელდეს ევროპაში და იგი იქაური ოფიციალური ან არაოფიციალური მხარდაჭერით იბრძოლებს ეთნიკური ოსების ყაზბეგის რეგიონში დასაბრუნებლად. სავარაუდოდ, დღეს ორგანიზაცია „ყაზბეგი" არის ყველაზე საშიში და ყველაზე გავლენიანი სეპარატისტული სტრუქტურა, რომელიც მოქმედებს საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის დესტაბილიზაციის მიზნით.[55]

55 ლუკიანოვიჩი 2015, დასახ. ნაშრომი, გვ. 124-128.

როგორც საინფორმაციო საშუალებებიდან ვიგებთ, თვით ამ ორგანიზაციების ლიდერებს შორის ამჟამად არსებობს განხეთქილება, კერძოდ, სერგო თუათი გმობს სალბიევის და ხუგაევის გამოსვლებს და მას პროვოკაციულს უწოდებს. იგი აღნიშნავს, რომ სალბიევს არ აქვს უფლება ილაპარაკოს მთელი კობელი ოსების სახელით და, რომ მისი ანტიქართული განცხადებები პირველ რიგში კობელი ოსი მოსახლეობის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, რომელთაც საქართველოს ხელისუფლებამ მშობლიურ სოფელში შესვლის უფლება არ მისცა.[56] თუათის ეს პოზიცია ქართველთა სასაზღვრო პოლიტიკის მათ სასარგებლოდ გადაჭრისკენ არის მიმართული; აგრესიულად განწყობილი ლიდერებისგან განსხვავებით, ის ხაზგასმით ამბობს:

„ჩვენ ველოდებით საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას, რათა აღნიშნული საკითხი სამართლიანად გადაიჭრას. ჩვენი მთავარი მიზანი არის რომ ჩვენ ადეკვატურ, ნორმალურ ადამიანებად მიგვიღონ. არანაირი საფრთხეს და არანაირ ნეგატივს ჩვენ საქართველოსთვის არ წარმოვადგენთ, ისევე როგორც ათასობით საქართველოში მცხოვრები ოსი. ჩვენ ამაზე მეტს არაფერს მოვითხოვთ“.[57]

შესაძლოა, რომ ეს სვლა კრემლის პროპაგანდის ერთ-ერთი სტრატეგიათაგანი იყოს. ჩემი საველე მასალების თანახმად, ერთი შეხედვით, ყაზბეგის რაიონის რიგითი მოსახლეობის უმეტესობას „დარიალის” და, მით უფრო, სხვა ზემოხსენებული ორგანიზაციების მოღვაწეობის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს; თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ სიფრთხილის გამო, და ერთგვარი შიშითაც კი, რესპონდენტები თავს შეგნებულად არიდებენ ამ თემაზე საუბარს.

---

56 Тарханова, დასახ. ნაშრომი, 2015.10.02

57 Тарханова, იქვე.

როგორც ზემოთ ითქვა, თანამედროვე ომში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი საინფორმაციო ომს უკავია; მას ამავე დროს, ცენტრალური ადგილი უჭირავს რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინაშიც, რომლის მიხედვით, კრემლი საინფორმაციო ომის პრინციპებს რომელიმე სახელმწიფოს მიმართ საკუთარი ინტერესების გატარების მცდელობისას მიმართავს. კრემლის მიერ საინფორმაციო ომის წარმოება ახალი მოვლენა არაა და ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირში შემუშავებულ მეთოდებს და გამოცდილებას ემყარება. თუმცა, საბჭოთა პროპაგანდისგან განსხვავებით, კრემლის თანამედროვე საინფორმაციო ოპერაციებს აქამდე არნახული მასშტაბი და თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება ახასიათებს.[58]

ქართულ მიწებზე პრეტენზიის მქონე ოსური/რუსული გეგმის ერთგვარი ქარგაა რუსეთის ჟურნალისტთა კავშირის წევრის ალინა თუაევას წერილი „Трусовское ущелье. Почему оно за границей?“ (თრუსოს ხეობა. რატომ არის ის საზღვარგარეთ?), რომელიც ჯერ კიდევ 2007 წელს ერთ-ერთ ოსურ ინტერნეტსაიტზე დაიბეჭდა. ავტორი, რომელიც თავად წარმოშობით სოფ. კობიდანაა, შეშფოთებულია, რომ ისტორიული უსამართლობის, რუსი პოლიტიკოსების წინდაუხედაობის და ბედის მზაკვრული პერიპეტიების გამო, 65 ოსური გვარის სამშობლო – თრუსოს, ღუდას ხეობა და კობის ქვაბული დღეს 33 ოსური სოფლის წარმომადგენლისთვის მიუწვდომელ საზღვარგარეთად იქცა. იგი აღნიშნულ ტერიტორიებს ცენტრალურ ოსეთად მოიხსენიებს და დაასკვნის, რომ ეს მიწები, ყოველგვარი ლოგიკისა და სამართლიანობის გარეშე, ამჟამად საქართველოს შემადგენლობაშია; იგი ირწმუნება, რომ ეს ტერიტორია არასდროს არ ყოფილა ქართული, რადგან, თურმე, აქ ქართველებს საერთოდ არ უცხოვრიათ და არც

58 ავალიშვილი და სხვ. დასახ. ნაშრომი, 2016.

მათი ოდესღაც ამ მიწებზე ბინადრობის მტკიცებულება არ არსებობს. ავტორი ისტორიული, ნარატიული თუ სხვა წყაროების მოშველიებით, ცდილობს დაასაბუთოს აღნიშნული ტერიტორიის ოსებისადმი კუთვნილება და მათი წინაპარი სკვითების კავკასიაში ჩვ. წ. აღ-მდე VII საუკუნეში დარიალის ხეობით შემოსვლას, ოსების კავკასიაში დამკვიდრების პერიოდად განიხილავს. წერილში თრუსოს ხეობის შვიდჯერ გაუკაცრიელებაზეა საუბარი, ხოლო თანამედროვე ოსების წინაპრების ხეობაში საბოლოოდ დამკვიდრების დროდ XV საუკუნეა მიჩნეული. წერილის ავტორი ვახუშტის ცნობების მოშველიებით ასკვნის, რომ XVII საუკუნეში თრუსოში რვა ოსური დასახლება არსებობდა, ხოლო დღეს აქ შემორჩენილ ნაგებობათა უმრავლესობას იმ პერიოდის ძეგლებად ასახელებს. ჟურნალისტი ხაზს უსვამს, რომ „პერესტროიკის“ შემდგომ, ერთ დროს უმდიდრესი კოლმეურნეობების მქონე ოსური სოფლები წამებში გაღარიბდა და, რომ დღეს აქ ცივილიზაციის ნასახსაც ვერ ნახავთ – არ არის მედპუნქტი, არც მაღაზია, არც ფოსტა და ა. შ., ხოლო საქართველოს ხელისუფლებას სულაც არ ანაღვლებს ოსების ბედი. ამ საკმაოდ ვრცელ წერილს ლაიტმოტივად გასდევს „დებულება“ – „Кроме осетин в 33-х осетинских селах указанных ущелий никогда никто не жил“ (აღნიშნულ ხეობებში 33 ოსურ სოფელში ოსების გარდა არასოდეს არავის არ უცხოვრია). ავტორი გაოცებულია, რომ ოსების კუთვნილი მიწების საკითხი ოსეთში მანამდე არავის არ დაუსვამს და არასოდეს განუხილავს; ამ რაიონში სსრკ დაშლის შემდეგ ჩრდილო ოსეთიდან ერთი სამთავრობო კომისიაც კი არ გაუგზავნიათ და თანამოძმეების ყოფით არავინ არ დაინტერესებულა. თუაევა ბოლოს ერთხელ კიდევ შეახსენებს მკითხველს, რომ, ყაზბეგის ოსურ მოსახლეობას აქვს რუსეთის მოქალაქეობა და მათი მთელი ცხოვრება დღემდე დაკავშირებულია მხოლოდ ვლადიკავკაზთან და არა თბილისთან;

იგი იმედს გამოთქვამს, რომ ამ ხეობების შესახებ უფრო დეტალურ ანალიზს ისტორიკოსები და პოლიტიკოსები მოახდენენ.[59]

საერთოდ, თრუსოს თემატიკის წამოწევა მედიაში 2009 წლიდან იწყება, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ვლადიკავკაზში იქმნება ორგანიზაცია „დარიალი“, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრე, და რომლის მიზანსაც „ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და მათი კუთვნილი მიწების, ისტორიულად ოსური ტერიტორიების“, მათ შორის, თრუსოს ხეობის და მთლიანად ყაზბეგის რაიონის დაბრუნება წარმოადგენს“.[60]

ამ საკითხთან დაკავშირებით 2009 წლის აგვისტოში პრესაში და სოციალურ ქსელებში გავრცელდა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ე. კოკოითის განაცხადი, რომ ცხინვალი აუცილებლად აპირებს მიზანმიმართულად მოსთხოვოს საქართველოს „დაუბრუნოს ოსეთს ის თრუსოს ხეობა, რომელიც ბოლშევიკებმა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ მმართველობას 1920-იან წლებში გადასცეს”. როგორც იუწყება ჟურნალისტი ე. აბესაძე, „რია ნოვოსტისთვის” მიცემულ ინტერვიუში ედუარდ კოკოითიმ „ისტორიული წიაღსვლებით” „დაადასტურა”, რომ თრუსოს ხეობა ოდითგანვე ოსური მიწა იყო და საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს გაურკვეველი მიზეზით გადაეცა. ჟურნალისტი საუბრობს იმავე პერიოდში რუსულენოვან ინტერნეტგამოცემა „აირონ თაიმსში“ გამოქვეყნებულ ვადიმ თოხსიროვის სტატიაზე, სადაც „დასაბუთებულია“ რომ, თრუსოს ხეობა ისევე, როგორც თეთრი არაგვის სათავეების ხეობა, ძირძველი ოსური ტერიტორიაა და ისტორიულად ახალგორს ეკუთვნოდა, ხოლო ახალგორი, თავისთავად, ოსეთი იყო. ვად-

59 http://iratta.com/2007/01/08/trusovskoe_ushhele_pochemu_ono_za_granicejj.html

60 http://kardu-order

იმ თოხსიროვის პუბლიკაცია ოსი „ისტორიკოსების“ მიერ მოყვანილ „წყაროებს“ ეფუძნება, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თრუსოს ხეობა, კობის ტაფობი და ხევი-ყაზბეგი თავიდანვე ოსეთის კუთვნილება იყო.[61]

2009 წლის 23 დეკემბერს დამოუკიდებელმა ინტერნეტ-საინფორმაციო პორტალმა „კავკაზსკი უზელმა“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „ჩრდილოეთ ოსეთის ორგანიზაცია „დარიალი“ საქართველოს ყაზბეგის რაიონის სამხრეთ ოსეთთან მიერთებას გვთავაზობს“. წერილიდან ირკვევა, რომ ორგანიზაციის შეკრებაზე მიმდინარეობდა მსჯელობა ყაზბეგის რაიონის სამხრეთ ოსეთის შემადგენლობაში შესვლის შესაძლო გზებზე და „ზემო ლარსისა“ და „ყაზბეგის“ საკონტროლო გამშვები პუნქტების გახსნასთან დაკავშირებულ სიტუაციაზე. ორგანიზაციის ხელმძღვანელის, გ. სალბიევის პოზიციით, ვინაიდან საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრებთ გააჩნიათ მჭიდრო ნათესაური კავშირები ერთმანეთთან, ოსი და ქართველი მოსახლეობისთვის არ უნდა არსებობდეს სავიზო რეჟიმი და ისინი საკონტროლო გამშვებ პუნქტზე თავისუფალი მიმოსვლით, ანუ საზღვრის ჩაკეტვამდე არსებული პირობებით უნდა სარგებლობდნენ. სალბიევი, რომელმაც მანამდე არაერთხელ დასვა ყაზბეგის რაიონის ოსებისთვის „დაბრუნების“ საკითხი, ამის მიღწევის ერთ-ერთ გზად საზღვრის ლიკვიდაციას და ყაზბეგის რაიონის პაპორტიზაციას მიიჩნევს.[62]

ამავე პერიოდში ცხინვალის ხელისუფლების მესვეურთა ტერიტორიულ პრეტენზიებს განიხილავს ქართული მედია. 2009 წლის დეკემბერში დაბეჭდილ წერილში – „თრუსოს ხეობისა და ყაზბეგის რაიონის დაკარგვის საფრთხე რეალურია“,

---

61 აბესაძე ე. ვისი მიწაა თრუსოს ხეობა და რა სურთ სეპარატისტებს, 2014

62 http://www.kavkaz-uzel.ru/articles/163460

საუბარია იმაზე, რომ რუსეთს ხელს აძლევს ლარსის გამშვები პუნქტის გახსნა, ვინაიდან ოსური მოსახლეობა, რომელიც დროებით მის ტერიტორიაზეა გადაადგილებული და ცხოვრობს ჩრდილოეთ ოსეთში, დაბრუნდეს უკან. ამ იდეის შესახებ საუბრობს ჩრდილოეთ ოსეთის პრესაც. ყაზბეგელები შიშობენ, რომ ამ ადამიანებს მოჰყვებიან პროვოკატორები, რომლებმაც შეიძლება რაიონში არსებული მდგომარეობა დაძაბონ, და შემდეგ რუსეთს უკვე მიეცემა საბაბი მოქმედებისთვის... იმ წელს, ლომისობის დღესასწაულზე გადმოსულმა ოსებმა მართლაც განაცხადეს, რომ დაგეგმილი ჰქონდათ თრუსოს ხეობისა და მთლიანად რაიონის მათი კონტროლირებადი ტერიტორიებისთვის შეერთება.[63]

ქართულ პრესაში ორგანიზაცია „დარიალის" შესახებ ინფორმაცია საყოველთაოდ გავრცელდა მას შემდეგ, რაც ამ ორგანიზაციის ყოფილმა ეთნიკურად ქართველმა წევრმა გამოაგზავნა წერილი კვირის პალიტრის რედაქციაში. მიმართვიდან, რომელსაც საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი" აშუქებს, ირკვევა, რომ წერილის ინკოგნიტო ავტორი შეაშფოთა „დარიალის" 2010 წლის იანვრის სხდომაზე მოსმენილმა ამბავმა და თავის მოვალეობად ჩათვალა, გაეფრთხილებინა ქართული საზოგადოება. იგი წერს:

„ორგანიზაციას დაგეგმილი აქვს, წაგლიჯოს საქართველოს ყაზბეგის რაიონი თრუსოს ხეობითურთ და გუდაური. აქვთ რუკები და პროექტები, სადაც ჩამოყალიბებულია, თუ როგორ უნდა შეუერთდეს თრუსოს ხეობის გავლით ცხინვალის მხარე კობსა და გუდაურს. მე ეს ამბავი საგანგაშოდ მეჩვენა. სომხეთის წარმომადგენლები შეხვედრაზე ოსებს შეჰპირდნენ, რომ შეადგენენ დოკუმენტებს, თითქოს სომხეთის ისტორიულ წყაროებში აღმოაჩინეს, რომ ყაზბეგის რაიონი ალანთა ძირძველი

63 http://kardu-order

მიწაა, საიდანაც ოსები ქართველმა მეფეებმა განდევნეს. აი, ამ დოკუმენტით აპირებენ „თავიანთი მიწის" დაბრუნებას. როგორც სომხეთის წარმომადგენლებმა განუმარტეს დამსწრეებს, საქართველოს ისტორია სომხური წყაროების მონაცემებზეა შექმნილი..."[64]

წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ორგანიზაციის წევრებს ყაზბეგში ბინებს და გუდაურში ვილებს სთავაზობენ. მათ განიხილეს ამ გეგმის განხორციელების სავარაუდო ვადები და გზები და თავიანთ ძირითად მოლოდინებს ლარსის გახსნას უკავშირებენ. „ქართველის" ვარაუდით, როდესაც ლარსი გაიხსნება, ოსები შევლენ კობსა და თრუსოს ხეობის სოფლებში, სადაც ოსთა საცხოვრებელი სახლები გაძარცულია; დაიწყება შეჯახება ოსებსა და ყაზბეგის მოსახლეობას შორის, რაც კონფლიქტის საუკეთესო პირობა იქნება. ამ გეგმით ოსები რუსეთის დახმარებით დაიკავებენ ყაზბეგის რაიონს, თრუსოს ხეობასა და გუდაურს. წერილის ავტორი მოუწოდებს ქართველ ხალხს, არ დაუშვან ლარსის გზის გახსნა და მაქსიმალურად შეუშალონ ხელი ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას, რადგან მიაჩნია, რომ ეს საქართველოსთვის დამღუპველი იქნება.[65]

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ცხინვალისა და ახალგორის რეგიონების საბოლოო ოკუპაციის შემდეგ, ოსური მედია, „ორი ოსეთის" გაერთიანების იდეის პარალელურად, უკვე ღიად აცხადებს პრეტენზიებს თრუსოს ხეობაზე. 2010 წელს ე. წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები პერმანენტულად „აანონსებდნენ", რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოსგან ძალიან მალე კურორტ გუდაურთან ახლომდებარე ტერიტორიას – ღუდას ხეობას მოითხოვდა, ჩრდილოეთი კი თრუსოს ხეობას. ასევე დროდადრო

64 http://expertclub.ge

65 http://expertclub.ge

უბრუნდება ამ თემას კოკოითი და 2010 წელს პრესაში კვლავ გაისმის მისი მოწოდება:

„სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან, თანამოქალაქეთა ინტერესები დაიცვან; დაიცვან მოქალაქეები, რომლებიც იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ ისტორიული სამშობლო – საქართველოში არსებული თრუსოს ხეობა. ეს ძირეული ოსური მიწაა, სადაც დღეს ჩვენს მოქალაქეებს პოლიტიკური მიზეზის გამო საკუთარ კერასთან დაბრუნება და წინაპართა საფლავების მონახულება არ შეუძლიათ“.[66]

არ შეიძლება არ ითქვას, რომ ქართულ პრესაში 2011-2012 წლებში აღნიშნული თემა, წინა წლებთან შედარებით, ნაკლებად ინტენსიურად შუქდება, რაც, სავარაუდოდ, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებს უნდა უკავშირდებოდეს. თუმცა, ეს საკითხი ოსურ მედიაში კვლავ აქტიური განხილვის საგნად რჩება.

2013 წელს ზემოხსენებულ თემას ეხება „ახალი თაობის“ ჟურნალისტი „რეპორტაჟში თრუსოს ხეობიდან“; იგი საუბრობს დე-ფაქტო ოსეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის არაერთგზის განცხადებაზე თრუსოს ხეობის ცხინვალის კონტროლის ქვეშ გადასვლის შესახებ. ჟურნალისტი ვარაუდობს, რომ, თუკი ცხინვალი მოახერხებს დაეპატრონოს თრუსოს ხეობას, როგორც თბილისისთვის სტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვან ობიექტს, ტერიტორიას, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთსა და თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ჯავის რაიონს ესაზღვრება, მაშინ თბილისი მთელი ყაზბეგის რაიონზე დაკარგავს კონტროლს.[67]

---

66 ოთარაშვილი მ.[1] თრუსოს ხეობა არასოდეს ეკუთვნოდა საქართველოს, 2010.

67 http://www.ekhokavkaza.com/a/25094380.html

2014 წელს საინფორმაციო ანალიტიკურ პორტალ for.ge-ზე გამოქვეყნდა წერილი „ვისი მიწაა თრუსოს ხეობა და რა სურთ სეპარატისტებს,[68] სადაც საუბარია ცხინვალის რეგიონის ყოფილ „ხელისუფალთა“, კერძოდ კი ოკუპირებული „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი პრეზიდენტის ტერიტორიულ პრეტენზიებზე – „თრუსოს ხეობა ჩვენი მიწაა და ჩვენ მისთვის ვიბრძოლებთ“. ედუარდ კოკოითიმ ვლადიკავკაზში გამართულ ოსი ხალხის ყრილობაზე (2014 წ.) რუსეთთან ურთიერობის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ოს ხალხს რუსეთი ისე უყვარს, რომ ამ სიყვარულს გადამოწმება არ სჭირდება; მისივე თქმით, კავკასიიდან რუსეთის განდევნის და მისი ნატოსა და შეერთებული შტატების ძალებით ჩანაცვლების გეგმა მცირერიცხოვანი ოსი ერისთვის სახიფათოა.

ამავე სტატიაში ავტორს მოჰყავს „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარის ნოდარ ნათაძის კონტრარგუმენტები; ნათაძის აზრით, რუსეთის გაცხადებული მიზანია, არ დაუშვას ნატოს წევრი ქვეყანა თავის მეზობლად, სინამდვილეში კი სურს, დასავლეთს გადაუკეტოს ამიერკავკასიის დერეფანი და შეუზღუდოს შუა აზიაში მოძრაობა. იგი ხაზს უსვამს, რომ თრუსოს ხეობაში ოსური მოსახლეობა ნარის ხეობიდან გადმოვიდა და აქ XVII საუკუნეში დასახლდა; თავად ნარის ხეობა კი, სადაც როკის გვირაბიდან უნდა გახვიდე, მუდამ საქართველოს ტერიტორია იყო და თბილისის გუბერნიაში შედიოდა; რუსეთმა XIX საუკუნეში, თითქოსდა ადმინისტრაციული კონტროლის გაადვილების მიზნით, იგი საქართველოს წაართვა და ჩრდილოეთ კავკასიას გადასცა. ხოლო, თვით ნარის ხეობაში ოსური დასახლებები მონღოლების დროს გაჩნდა. ნოდარ ნათაძის განცხადებით, თრუსოს ხეობის მიმართ ოსებს ვერანაირი კანონიერი პრეტენზია

68 ე. აბესაძე, დასახ. ნაშრომი 2014

ვერ ექნებათ და კოკოითის მოთხოვნებს არანაირი ისტორიული საფუძველი არ გააჩნია. მისივე განმარტებით, თრუსოს ხეობას რუსეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და, ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა დარიალის ხეობაში მშენებარე გვირაბის საკითხი:

„თრუსოში თუ რუსეთის ჯარი ჩადგა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯვრის უღელტეხილი აღებული ექნებათ. რუსეთიდან საქართველოს სამხედრო გზით რომ მოდიხარ, დაახლოებით 6 კილომეტრის შემდეგ იწყება დარიალის ხეობა, ამ ხეობაში რუსეთთან დაკავშირებული კონკრეტული კომპანია უზარმაზარ გვირაბს აშენებს, რომლის გაცხადებული მიზანი გვირაბის მეშვეობით დარიალჰესის წყლით მომარაგებაა; სინამდვილეში, ეს არის გვირაბი, რომელშიც, შესაძლოა, გამოიაროს ჯავშანტექნიკამ და არმიამ და ამ გზით პირდაპირ შემოვიდეს ყაზბეგში. რაც იმას ნიშნავს, რომ დარიალის ხეობა, როგორც დაცვის ზონა, ხელიდან გვეცლება. არადა, სწორედ, დარიალის ხეობა ინახავდა საქართველოს საუკუნეების განმავლობაში ჩრდილოეთიდან თავდასხმებისგან. ყაზბეგიდან 3-4 კილომეტრში, თერგის მარცხენა შენაკადთან მდებარეობს თრუსოს ხეობა და მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მტრისთვის. პრეტენზიები თრუსოზე არის რუსების მიერ „შახის“ თქმა საქართველოსთვის და საერთოდ, დასავლეთისთის“.[69]

საინფორმაციო სააგენტო „Frontnews“-მა 2015 წლს 6 თებერვალს გამოაქვეყნა ქართველი ჟურნალისტის ვრცელი ინტერვიუ ორგანიზაცია „დარიალის“ ხელმძღვანელ გაირბეკ სალბიევთან. როგორც გ. სალბიევი აცხადებს, ყაზბეგის რაიონის ოსი ეროვნების მოსახლეობა ათწლეულების განმავლობაში მომთაბარე მეურნეობით იყო დაკავებული და საქონელს ძირითადად ჩრდილოეთ ოსეთში ერეკებოდა, თუმცა მოსახლეო-

69 ე. აბესაძე, დასახ. ნაშრომი 2014.

ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტი.

ბის ნაწილი ყაზბეგის სოფლებში მაინც რჩებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც ყაზბეგის რაიონსა და ოსეთს შორის ოფიციალური საზღვარი გაჩნდა, გადაადგილების პრობლემა წარმოექმნათ არა მხოლოდ ოსებს, არამედ იმ ქართველებსაც, რომლებსაც უძრავი ქონება როგორც ჩრდილოეთ ოსეთში, ისე ყაზბეგის რაიონში ჰქონდათ. თუმცა 1990-იან წლებში დაწყებული გაურკვევლობის გადალახვას ხალხი მაინც ახერხებდა. პრობლემები 2006 წელს დაიწყო, როცა რუსულმა და ქართულმა მხარეებმა საბაჟო ობიექტების გარემონტების მიზნით ლარსის გზა გადაკეტეს. „დარიალის“ შექმნის მიზეზად სალბიევი 2008 წლის კონფლიქტს ასახელებს. მისი თქმით, ამ კონფლიქტის შემდეგ, ოსებს მშობლიურ სოფლებსა და სახლებში დარჩენა გაუჭირდათ. ყველა ფიქრობდა: თუ ცხინვალი დაბომბეს, მაშინ ქართული რეჟიმის რომელიმე ხელმძღვანელის ახირებით შეიძლება ნებისმიერი ოსური სოფელი განადგურებულიყო. „დარიალს” კი შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი უნდა ეპოვნა. ორ-

განიზაციის მიზანი იყო (და დღესაც არის ნ. ჯ.) ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ყაზბეგის რაიონის ოს მკვიდრთა ისტორიულ მიწებზე შეუფერხებლად დაბრუნება. სალბიევი ხაზს უსვამს, რომ მათი უმრავლესობა საქართველოს ხელისუფლებამ შავ სიაში შეიყვანა. იგი აღნიშნავს, რომ ოსებისთვის საზღვარს მუდამ პირობითი დატვირთვა ჰქონდა და მათ ყოველთვის მიაჩნდათ, რომ ყაზბეგის რაიონი ოსეთის ნაწილი იყო.[70]

მთელი ინტერვიუს განმავლობაში სალბიევი ცდილობს ყაზბეგის რაიონიდან ჩრდილოეთ ოსეთში გადასული ოსები, ისინი, ვინც რუსეთის მოქალაქეობა მიიღო, დაზარალებულის როლში წარმოაჩინოს. თითქოს მათ საქართველოს მთავრობა არ აძლევს უფლებას, თავიანთ სოფლებში დაბრუნდნენ. კითხვაზე, იტყვიან თუ არა ისინი უარს რუსეთის მოქალაქეობაზე, იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს მთავრობა მათ ყაზბეგის რაიონში დაბრუნების უფლებას მისცემს, სალბიევი ასეთ პასუხს იძლევა:

„რატომ უნდა ვთქვათ უარი რუსეთის მოქალაქეობაზე, როცა სწორედ რუსეთმა შექმნა საქართველო დღევანდელი საზღვრების ფარგლებში? 1801 წელს რუსეთმა ლარსის საზღვარი დააწესა, თუმცა ამისთვის არანაირი საბაბი არ არსებობდა. თქვენ რა, გგონიათ, რომ ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ქართველები რუსეთის მოქალაქეობაზე უარს იტყვიან? „

სალბიევს მიაჩნია, რომ საქართველომ ყაზბეგის რაიონი „სამხრეთ ოსეთს“ უნდა გადასცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სამხრეთ ოსეთის მთავრობა ამ საკითხს საერთაშორისო დონეზე განსახილველად და მოსაგვარებლად გაიტანს. ამ საკითხის მოგვარების შემდეგ კი დაიწყება აქტიური მუშაობა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების თაობაზე.[71]

---

70 http://www.frontnews.ge/ge

71 http://www.frontnews.ge/ge). 2016

წელს ერთ-ერთ რუსულ ინტერნეტ პორტალზე დაიდო კიდევაც ე. წ. სამხრეთ ოსეთის რუკა, კომენტართან ერთად, რომელიც იუწყებოდა, რომ სამხრეთ ოსეთი ძალიან მალე რუსეთის კუთვნილება გახდებოდა.

ოსური მხარე რომ გაყალბებულ ისტორიას ეფუძნება, ეს ჩვეული ამბავია, რაც სალბიევთან ინტერვიუშიც კარგად ჩანს. ჟურნალისტთან საუბრისას იგი ცრუ ინფორმაციას ავრცელებს და საზღვრის ჩაკეტვაში ქართულ მხარესაც ადანაშაულებს, სინამდვილეში კი საზღვარი რუსეთმა ჩაკეტა გზის სამშენებლო სამუშაოების საბაბით; 2008 წლის ომისთვის თრუსოს ხეობაში უკვე აღარ ცხოვრობდნენ ოსები, შესაბამისად, საქართველო ოსურ სოფლებს ვერ დამობავდა. ლარსის საბაჟო 2010 წელს გაიხსნა და ოსებს თავიანთ სოფლებში დაბრუნებაში ხელს არავინ არ უშლიდა. მათ თავიანთი რუსული პასპორტებით შეეძლოთ (და შეუძლიათ) საზღვრის გადაკვეთა, მით უფრო, თუ ქართული პასპორტებიც აქვთ. ქართულმა მხარემ მართლაც გამოაცხადა რამოდენიმე პიროვნება პერსონა ნონ გრატად, მაგრამ ისინი პოლიტიკურად ანგაჟირებული ინდივიდები არიან, რომელთა მიზანიც ყაზბეგის რაიონში დესტაბილიზაციის ინსპირირებაა. საქონლის თავისუფლად შემოყვანა საზაფხულო იალაღებზე (რისი პრეტენზიაც აქვთ ოსებს) სხვა სახელმწიფოს (რუსეთის) მოქალაქეების მიერ იმის საფუძველზე, რომ ისინი ერთ დროს აქ ცხოვრობდნენ, კანონის ჩარჩოებში არ ჯდება. რეალურად, თრუსოს ხეობაში საცხოვრებლად ოსები არ დაბრუნდებიან იმ პირობების გამო, რაც დღეს იქ არსებობს. ყაზბეგელი ქართველების თქმით: „ის ხალხი, ვისაც ეს ხეობა უყვარდა, ცოცხალი აღარ არის, ახალი თაობა კი აქ საცხოვრებლად აღარ წამოვა“ (ავტორის საველე მასალა, აჩხოტი 2016).

მოხევეთა სათემო კავშირის ყოფილი წევრი ზ. წიკლაური აღნიშნავს, რომ ბევრი მოხევე დღეს ვლადიკავკაზში ცხოვრობს და იქაური პასპორტი აქვს. ასეთები კი უფრო მეტი არი-

ან, ვიდრე ოსები. მას ოსების ყაზბეგიდან წასვლისთვის პოლიტიკური სარჩულის მიკერება არასწორად მიაჩნია. ყაზბეგიდან წასული ოსები ისედაც ბრუნდებიან, თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი აქვთ:

„ისინი ბრუნდებიან ლარსიდან. ლარსის გამშვები პუნქტი, მოგეხსნებათ, ღიაა და მათ აქვთ უვიზოდ მიმოსვლის საშუალება საქართველოში. პირველ რიგში კი – სწორედ მათ, ანუ ოსებს. ამიტომაც ვამბობ, რომ ეს ყველაფერი, რომ მათ თითქოს გადმოსვლა უნდათ, მაგრამ ვერ ახერხებენ, ტყუილია - შეგნებული აჟიოტაჟის ატეხვა უნდათ. ეს არის პოლიტიკური დაკვეთა რუსული ინტერვენციისთვის, რასაც კარგა ხანია რუსები ამზადებენ... ეს არის რუსული პოლიტიკის ნაწილი და სხვა არაფერი “.[72]

საქართველო-ოსეთის ურთიერთობის განხილვასა და ანალიზს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საზოგადოებრივ გაერთიანება “აბჯართან“ არსებული „ექსპერტთა კლუბის“ საინფორმაციო პორტალზე.[73]

აღსანიშნავია, რომ ეს პორტალი სამენოვანია და აქ წარმოდგენილია მასალები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. თრუსოს პრობლემასთან დაკავშირებული ინფორმაციის საყოველთაოდ გავრცელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „რადიო თავისუფალი ევროპის, რადიო თავისუფლების“ და „ეხო კავკაზას“ საქმიანობა.

როგორც დავინახეთ, პოლიტიკურ თამაშებში რუსეთისთვის თრუსოს თემა კვლავ კოზირად რჩება. 2007 წლიდან მოყოლებული დღემდე ეს საკითხი პერიოდულად აქტიურდება მასმედიაში. რეალურად ამ საკითხებზე მსჯელობა ქართულ მხარეს დიდწილად ქართულ ენაზე უხდება, ოსური მხარე კი,

---

72 ოთარაშვილი მ.[2] რატომ ვერ ბრუნდებიან ყაზბეგელი ოსები თრუსოს ხეობაში? 2012.

73 http://expertclub.ge

რასაკვირველია, ძირითადად რუსულად ახდენს ინფორმაციის გავრცელებას. ამიტომ, იმის გამო, რომ ბევრად დიდი აუდიტორია ჰყავთ რუსულენოვანი მომხმარებლის სახით, საინფორმაციო ომში მას თავიდანვე მოგებულის პერსპექტივა აქვთ. გიორგი წიკლაური წერილში „მოსკოვი და თრიალეთის ოსეთი" მომავალი კონფლიქტის ახალი კერები" ქართული მიწების[74] დასაკუთრების რუსულ გეგმებში ხაზს უსვამს მასმედიის როლს:

„სამწუხაროდ, ჩრდილოეთ ოსებს შორის, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, საქართველოს შუა გულში ახალ „ძირძველ ოსურ მიწებზე" იდეა ძალიანაც შეიძლება მისაღები აღმოჩნდეს. თავისი ისტორიის „განახლების" მიმართ რაღაც სისუსტეს ყველა კავკასიელი განიცდის. ოსები კი ამ თვალსაზრისით კონკურენციის გარეშე არიან იმ როლის გამო, რომელსაც მათ მოსკოვი კავკასიაში თავისი მიმდინარე პოლიტიკითა და გრძელვადიანი გეგმებით ანიჭებს. ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიაში ეს იდეები ასე თუ ისე საკმარის „საზოგადოებრივ მხარდაჭერას" მიიღებს, რათა მასმედიაში თემის ჰიპერბოლიზაციის მეშვეობით თანდათანობით დაინერგოს თეზისი ახალი „სადავო ტერიტორიების" შესახებ და ხელი შეუწყოს ვირტუალური კონფლიქტის ფორმირებას. სხვა სიტყვებით – ამ კონფლიქტის რეალურ ჭრილში გადაყვანისათვის შეიქმნას საიმედო ინფორმაციული ფონი, რათა ვითარების თავის ინტერესებში აქტიურად მართვის შესაძლებლობისას, რუსეთმა ახალი "მშვიდობის იძულებით დამყარების" ოპერაცია განახორციელოს".[75]

---

74 ყაზბეგის რაიონის გარდა მოიაზრებენ ტერიტორიას, რომელიც უფრო სამხრეთით, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ქარელიდან იწყება მტკვრის გაყოლებაზე, მოიცავს გორს და თბილისამდე ჩადის.

75 წიკლაური გ. მოსკოვი და „თრიალეთის ოსეთი" მომავალი კონფლიქტის ახალი კერები, 2012

მედიის მონაცემების საველე მასალებთან შედარება, ნათლად წარმოაჩენს პოლიტიკურად ანგაჟირებული მედიის ტენდენციურობას. ოსური/რუსული მედია გაყალბებული ისტორიის და გამოგონილი ფაქტების მოშველიებით ქართულ მხარეს ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებს და ამით ნიადაგს ამზადებს რუსეთის მომავალი გეგმებისათვის. ქართული მედიის წარმომადგენლებს არც თუ ისე ხშირად მოჰყავთ მეცნიერულად გამყარებული კონტრარგუმენტები. ისინი ძირითადად ფაქტების კონსტატაციით იფარგლებიან. ქართულ მედიაში ქართულად გაჟღერებული ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი რუსულენოვანი აუდიტორიისთვის. ის იშვიათად ითარგმნება რუსულ ან ინგლისურ ენებზე და არც სამეცნიერო ხასიათის წერილები არ არის რუსულ ენაზე სათანადოდ წარმოდგენილი. ეს კი ხელს აძლევს მოწინააღმდეგე მხარეს თავიანთი პოზიციის პოპულარიზაციაში.

ფაქტობრივად, განხილული საინფორმაციო გზავნილები რუსეთის პროპაგანდის პროდუქტია, რაც ობიექტური რეალობის უგულებელყოფას, შეთხზულ ამბებს და რეალური ფაქტების დამახინჯებას ემყარება.

ორმაგი პასპორტის საკითხი. როგორც ზემოთაც ითქვა, მიუხედავად პოსტსაბჭოთა პერიოდში რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაძაბულობისა და რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის 2000 წ. შემოღებული სავიზო რეჟიმისა, საქართველო-ჩრდილო ოსეთის საზღვარზე მიმოსვლა საზღვრისპირა მოსახლეობისთვის 2006 წლამდე მეტ-ნაკლებად უპრობლემო იყო. ყაზბეგის რაიონის მოსახლეობისთვის დაწესებული იყო სპეციალური საშვები, რისი საშუალებითაც ისინი საზღვარზე თავისუფლად გადაადგილდებოდნენ. ორივე მხარეს მყოფი, როგორც ქართველი, ისე ოსი მოსახლეობისთვის თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების არსებობა მათი სათანადოდ წარმატებული საქმიანობის და ნორმალური ცხოვრების პირობებს ქმნიდა.

სიტუაცია გართულდა 2006 წლის შემდგომ, როდესაც რუსეთმა ქართულ პროდუქციაზე ემბარგო დააწესა და ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტი ჩაკეტა. გარდა იმისა, რომ ახლო ნათესავებს, მეგობრებს და ახლობლებს ურთიერთმიმოსვლის შესაძლებლობა მოესპოთ, ბევრმა ქართველმა დაკარგა სახლი ჩრდილო ოსეთში, ბევრმა სამსახური, ხოლო ქართველმა გლეხმა გასაღების რუსული ბაზარი.

თუმცა 2010 წელს ლარსის სასაზღვრო პუნქტი გაიხსნა, ქართველი მოსახლეობისათვის საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული აკრძალვები კვლავ ძალაში დარჩა. მეზობელ ქვეყანაში შესვლის წესები განსხვავებულია ქართველებისა და ჩრდილო ოსეთის/რუსეთის მოქალაქეებისთვის: მათ აქვთ საზღვარზე თავისუფლად გადაადგილების უფლება, მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქე ოსეთში ვიზის გარეშე ვერ შედის და ყაზბეგ-ორჯონიკიძის ერთ დროს არსებული კავშირები გაცილებით შეზღუდულია. მოხევეები წუხან შექმნილი სიტუაციის გამო:

„ყაზბეგის რაიონი რომ ავიღოთ, მახევეები გაგიჟებულნი არიან დღევანდელი სიტუაციით. მაშინ როცა ჩვენთვის ჩაკეტილია რუსეთის საზღვარი, რუსეთის მოქალაქე ოსები გადმოდიან და ჩვენს ტერიტორიაზე აკეთებენ ფულს. ტაქსაობენ, საქონელი გადააქვთ და იქ ყიდიან და უამრავი რამ!".[76]

როგორც წინა თავშიც ითქვა, ყაზბეგის რაიონის მოსახლეობისთვის ვლადიკავკაზი, პირველ რიგში, ტერიტორიული სიახლოვის გამო, ტრადიციულად კვლავ მიიჩნევა სამუშაოს იოლად შოვნის, ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობის წარმოების და სწრაფი სამედიცინო დახმარების მიღების შესაძლებლობად:

„აი, ახლა გზა რო ჩაიკეტება და, გახდა ავადმყოფი ცუდადა, სად მიგვყავს? არადა, გზა რო ხსნი-

76 https://forum.ge

ლი იყო, მაშივე წავიდოდით. სავადმყოფოში იქ მი-ვდიოდით, სისხლიც იქედან მაგვქონდა, აი, გადასხმა რო ვისმე სჭირდებოდა, ან ოპერაცია თუ სჭირდებო-და, ან რაღაც გართულება თუ იყო. ეხლა თუ რაღაცა გართულებაა უნდა გამაიძახა რეანმობილი თბილი-სიდან! იმას რამდენი დრო სჭირდება ჩამოსვლაზე! (ავტორის საველე მასალა, არშა 2017)

ყაზბეგის რაიონის მოსახლეობა გამოსავალს ორმაგ მო-ქალაქეობაში ხედავს. მოხევეთა ერთი ნაწილი, რუსეთის საზღვრის თავისუფლად გადაკვეთის შესაძლებლობისთვის არჩევს, რომ ორივე ქვეყნის პასპორტი ჰქონდეს და საჭიროე-ბის შემთხვევაში, შესაბამისად გამოიყენოს. ჩემი საველე მა-სალების თანახმად, ყაზბეგის რაიონის მაცხოვრებელთა დაახ-ლოებით 80%-ს რუსეთის პასპორტი აქვს, აქედან 30% საშუა-ლო ასაკის მოსახლეობაა. ეს ციფრები ოფიციალურად არ არის გადამოწმებული, და ვერც იქნება, რადგანაც მოსახლეობის ნაწილს საბუთი არალეგალურად აქვს აღებული; თუმცა, მი-ახლოებით მაინც გვიქმნის წარმოდგენას ყაზბეგის მუნიცი-პალიტეტში რუსეთის მოქალაქეობის მქონე და არმქონე პირ-თა რაოდენობრივ შეფარდებაზე. ჩვეულებრივ, ორმაგი მოქა-ლაქეობის გაცემა ყაზბეგის მოსახლეობისთვის საქართველოს პრეზიდენტ მ. სააკაშვილის პერიოდში შემოიღეს. საქართვე-ლოს მოქალაქეობა პრეზიდენტის თანხმობით ეძლეოდა ორ-ჯონიკიძეში მცხოვრებ ყაზბეგელებს, რათა მათ შეძლებოდათ საზღვარზე მარტივად გადასვლა და თავიანთ კუთხეში დაბ-რუნება.

გადმოცემით, იმთავითვე ყაზბეგის მოსახლეობა ძალიან იყო მონდომებული და ყველანაირად ცდილობდა ამ საქმის მოგვარებას. საზღვარზე მიმოსვლის გარდა, ორივე ქვეყნის პასპორტის ქონას მათთვის კიდევ ერთი უპირატესობა აქვს, რაც რუსული პენსიის მიღებაში მდგომარეობს. პენსიონერს

ურჩევნია აიღოს რუსეთის პენსია, რაც გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოსი. ლეგალური ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევაში, პიროვნებას ოფიციალურად, მხოლოდ ერთ-ერთ ქვეყანაში აქვს პენსიის აღების უფლება; ასეთი კი, რასაკვირველია, რუსეთი იქნება. მაგრამ ამავე დროს, რუსული პენსიის გულისთვის, საპენსიო ასაკის საქართველოს მოქალაქეები მიდიან და ეწერებიან ვლადიკავკაზში. რუსეთი ასეთ ინდივიდებს ძალიან მარტივად აძლევს პასპორტებს, ვინაიდან მას საკუთარი შორსმიმავალი გეგმები გააჩნია. ასეთ შემთხვევაში, ეს ადამიანები პენსიას იღებენ რუსეთშიც და არალეგალურად საქართველოშიც. ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, ეს არც ერთი ქვეყნის შესაბამისი სამსახურებისათვის საიდუმლოს არწარმოადგენს, მაგრამ ორივე მხარე თვალს ხუჭავს: ქართული მხარე იმიტომ, რომ ვერ უზრუნველყოფს თავის მოქალაქეებს ეკონომიკურად, რუსეთი კი იმიტომ, რომ მას ამ სიტუაციის თავის სასარგებლოდ გამოყენება უნდა. ამის თაობაზე საუბრობს ჩემი რეპონდენტი სტეფანწმინდიდან:

> *„მოხევეებს ძალიან ბევრს აქვს ორმაგი მოქალაქეობა, ორი პასპორტი კანონით არის დაშვებული, კანონიერია; ძალიან ადვილად იძლევიან მოქალაქეობას რუსები. ორმაგი მოქალაქეობა საქართველოს მოქალაქეებსაც აქვთ და იმათაც. არჩევნებში იქაც იღებენ მონაწილეობას და აქაც, ოფიციალურად. ჩემ ნათესავებს აქვთ ორმაგი მოქალაქეობა, ორი პასპორტი აქვთ. არჩევნებზე ჩამოდიან და აქ აძლევენ ხმას ჩვეულებრივად.*
>
> *რუსეთს აწყობს ეს სიტუაცია; მიდის აქედან ჩვენი მოხევე, იქ ჩაწერენ, აძლევენ პენსიას, იქ მაღალია პენსიაა, ეს პიროვნება აქაც იღებს პენსიას და იქაც იღებს; მაგრამ პენსიონერი თუ რუსეთმა ჩაიწერა, როგორც რუსეთის მოქალაქე, ის აძლევს პენსიას,*

როგორც თავის მოქალაქეს; საკმარისია ამან საქართველოს მოქალაქეობაზე გამოთქვას პრეტენზია, მაშინ შეუწყდება ის პენსია, ის არაოფიციალურად არის საქართველოს მოქალაქე და ოფიციალურად, რუსეთის; აქ არის დარღვევა, რომელზედაც რუსეთი ხელისუფლება თვალს ხუჭავს, იმიტომ რომ აწყობს, და საქართველო იმიტომ რომ ეკონომიკურ მდგომარეობას ვერ აუმჯობესებს (ავტორის საველე მასალა, სტეფანწმინდა 2016).

რუსეთს ხელს აძლევს, თავისი მოქალაქეები ჰყავდეს დასაყრდენად იმ ტერიტორიაზე, რომელიც მისი პოლიტიკური ინტერესების ობიექტივშია; ამდენად, იგი რეგიონში შექმნილი სიტუაციითა და ადამიანებით მანიპულირებს. ჩემი ერთ-ერთი რესპონდენტი ძალიან აღშფოთებულია იმის გამო, რომ აქვს ორმაგი მოქალაქეობა, იღებს რუსულ პენსიას და ქართულს კი არ აძლევენ:

„მე მაქვ ორმაგი მოქალაქეობა, მე, რომელსაც არ მიცხოვრია და არ მიმუშავია იქ, რუსებმა მამცეს იქაური პენსია და შენ, საქართველო, რომ აქ ვცხოვრობდი მთელი სიცოცხლე და სხვაგან არ მიცხოვრია, რატომ არ უნდა მამცე პენსია? არ მაძლევენ! დავაწერინებ, რატომ არ მაძლევენ და მერე უნდა გავასაჩივრო!“(ავტორის საველე მასალები, აჩხოტი 2016)

ფაქტობრივად, ამ ინტერვიუდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ იოლად აძლევს რუსეთი პასპორტს საქართველოს მოქალაქეს, ყაზბეგში თავისი მოქალაქეების ყოლის მიზნით. ისმის კითხვა, რა საფრთხეებს შეიძლება შეიცავდეს ორმაგი პასპორტის ქონა ქვეყნისათვის? ამ პრობლემის ხსნის ჩემი წარმოშობით გერგეტელი რესპონდენტი:

„რუსეთისგან ყველაფერი არის მოსალოდნელი და ეს გამოწვეულია ეკონომიკური მდგომარეობით;

ეხლა არა, და მაგ საფრთხეს ვერც ვხედავთ, მაგრამ მაგრამ დადგება დრო, რო რუსეთი იტყვის, მე ყაზბეგში, მყავს, სიტყვაზე, 5000 მოქალაქე (და საქართველოს მოქალაქე ყაზბეგში ცხოვრობს მაგალითად – 1000), და მე ვიცავ ჩემს მოქალაქეებსო, აი, რა უნდა ვქნათ მაშინ? ეს ისეთი საფრთხეა! ანუ, ეკონომიკურმა ფაქტორმა განაპირობა ის, რომ შეიქმნება 50 წლის შემდეგ, თუ 10 წლის შემდეგ, ისეთი პირობა, რომ რუსეთი უკვე ამას იტყვის! როდესაც რუსეთი იწყებს ომს, ის იწყებს თავისი მოქალაქეების დაცვის საბაბით. მას შეეძლება ნებისმიერი სახის პროვოკაციის მოწყობა საქართველოში; შემოვა და შემოიყვანს ჯარს. იტყვის, მე ვიცავ ჩემს მოქალაქეებსო, შენ ტერიტორიებზე კი ცხოვრობენ, მაგრამ ჩაწერილები არიან ჩემთანო. ეს ჩემი ტერიტორიაა (ავტორის საველე მასალა სტეფანწმინდა 2016).

რამოდენიმე ხნის წინ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბირო უკვე ამზადებს მზაკვრულ კანონპროექტს პასპორტების მასობრივ დარიგებასთან დაკავშირებით ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომლებიც რუსულ ენას მეტ-ნაკლებად ფლობენ. რუსეთში არც მალავენ, რომ ეს იქნება ანექსიის შესაძლებლობა და ეს მეთოდი უკვე აპრობირებულია აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში. პასპორტიზაცია მოსკოვისთვის ანექსიის კარგი შესაძლებლობა იქნება, „რუსული სამყაროს“ გაფართოების ერთ-ერთი გზა.[77]

როგორც ჟურნალისტთან ინტერვიუში ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი კ. გოგოლაშვილი აცხადებს:

77 ნოზაძე მ., რუსეთი, ამჟამად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ანექსიას ტოტალური პასპორტიზაციით შეეცდება.

„რუსული პასპორტები ნამდვილად საშიში ინსტრუმენტია ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ხელში. სანამ, საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური ვითარება დაძაბულია, დიდი უმუშევრობა და სამუშაო ადგილების დეფიციტია, რუსეთი კვლავაც მიმზიდველი იქნება. შესაბამისად, რუსული პასპორტი ბევრისთვის შეიძლება აღმოჩნდეს ამ პრობლემიდან გამოსავალი“.[78]

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვიდან აშკარაა, რომ რუსული პასპორტისა და რუსეთის მოქალაქეობის საკითხის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს თაობებს შორის. უფროს და შუახნის ადამიანთა უმრავლესობა, ტრადიციულად რუსეთისკენ არის ორიენტირებული. ისინი მისტირიან იმ დროს, როდესაც ორჯონიკიძეში ცხოვრობდნენ, თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ,

78 ნოზაძე მ. იქვე.

იქ მუშაობდნენ ან სწავლობდნენ. შესაბამისად, მათ ან აქვთ რუსეთის პასპორტი ან უნდათ, რომ ჰქონდეთ. რაც შეეხება ახალგაზრდებს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთთან კავშირის მოსურნე არაა, უფრო ისინი, ვინც განათლებას საქართველოში იღებს და არა ვლადიკავკაზში; თუმცა ახალგაზრდებს შორის არიან გამონაკლისებიც.

ფაქტია, რომ ყაზბეგის მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, რუსული ანექსიის მიზანმიმართული ფორმაა, რომელიც „ჰიბრიდული ომის“ ერთ-ერთ ტაქტიკად გვევლინება.

ყაზბეგის რაიონში თავისი ინტერესების გასატარებლად რუსეთი ასევე იყენებს **პროვოკატორებს**. მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ კარგად იცის რამოდენიმე ოსი ეროვნების ადამიანის პროვოკატორული საქმიანობის შესახებ. კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, აქ მათ შეგნებულად არ ვასახელებ. ამ თემაზე საუბარს შეძლებისდაგვარად ერიდებიან ოფიციალური პირები; ეს პროვოკატორები წარმოშობით კობიდან და თრუსოს ხეობიდან არიან, რომლებიც თავის დროზე ვლადიკავკაზში წავიდნენ, მერე კი პერიოდულად მიდი-მოდიოდნენ საზღვრის ორივე მხარეს. მათი ძირითადი მოღვაწეობა ქართული და ოსი მოსახლეობის დაპირისპირების ინსპირირებაში მდგომარეობს. მოხდა კიდეც რამოდენიმე წლის წინ კობის წმინდა გიორგის დღეობაზე ერთ-ერთი სერიოზული ინციდენტი:

> *„ჩვენ ორჯონიკიძეში ვცხოვრობდით, 1991-ში გამოვედით. პირადადაც მქონია ოსებთან ძალიან ცუდი გამოცდილება; იყო ეგეთი შემთხვევა: კობში, ეკლესიაში მივდიოდი, წავიღე პურმარილი, ნუ, ახლა, ეკლესიას თავისი ეზო აქვს, სადაც შეიძლება დაჯდომა, და, თუნდაც სიმღერის მოსმენა, გავშალეთ სუფრა, ვუსმენთ სიმღერებს... მოვიდა ეს ფ. და,*

ბოდიშით, ამ სიტყვაზე, და „დავაი ვალიაიტე ატსუ-დაო“, თქვენს ეკლესიებში გამართეთ დისკოტეკაო! „ იმ ფ.-მ გვითხრა! შენს მიწაზე რო ოსი ამას გე-ტყვის, ამის მერე როგორ უნდა გიყვარდეს, ან ოსი, ან სხვა ვინმე. და, აქედან წადითო. ატყდა ჩხუბი. გა-მოვიძახეთ პატრული. პატრული რო მოვიდა, ხმა არ ამოიღეს, არაფერი არ უთხრეს, პირიქით, ჩვენ გვეხ-ვეწებოდნენ, თავი დაანებეთ, წადითო! ეგ ქალი და-დის, აგიტატორია და გინდა თუ არა კობი უნდა დაი-ბრუნონ, თურმე რუსებმა! ეგ ფ. საერთოდ არ უნდა შემოუშვა! ეგ კობელია და აქაც ცხოვრობს, იქაც ცხ-ოვრობს. ყველაზე ცუდი ის არი, რო, ამბობენ, ქვეყ-ანა ადგილებს იფორმებსო! ადგილებს უფორმებენ და რო რამე იყოს, იმას აქვს თავისი საკუთრება და ვერავინ ვერაფერს ვერ უზამს. ჯერ როდიდან არის, რო მაგათ უნდათ რო ყაზბეგი შეუერთონ ორჯონი-კიძეს. „თქვენაო, ბილიკ-ბილიკ ივლით მთაზეო, და ეს ჩვენი ადგილიაო და გადავკეტავთო“ – ასე გვეუბ-ნებოდა პირდაპირ პირში. ფ... ესე დადის, და მარტო ჩვენთან არა, სხვებთანაც ასე იქცეოდა! „დარიალი“ როა ორგანიზაცია, ოსეთში, იმისი წევრია ეს ქალი, სპეციალურად იწვევს ხალხს. ეგ ფ... ოსების აზრს რომ გამოხატავს, ფაქტია! აქაური ხელისუფლება, აქაურები წესით არც უნდა უშვებდნენ მაგას. ეს იმი-ტომ, რომ პირველი შემთხვევა არ იყო და თვითონაც ძაან კარგად იციან! მაგრამ ვერაფერს ვერ ეუბნები-ან, ასეთ რამეზე რო დახუჭავ თვალს! მერე იმიტომ არი, რომ ამხელა ტერიტორიები აქვთ დაკარგული!. ერთზე დახუჭე, მეორეზე დახუჭე და მივედით, აქამ-დე!“ (ავტორის საველე მასალები, აჩხოტი 2016).

ან

„აი ფ. რომ არის ეგეთები ღრევენ საქმესა. არის სპეციალურად მანდა ეგ „დარიელი“, ორგანიზაცია და ქუჩდებიან, და ავრცელებენ ეგეთ ჭორებს, ამბობენ ჩვენი მიწა არ უნდა დავკარგათო...“ (ავტორის საველე მასალები, ალმასიანი 2016).

მოხევეები ყვებიან ასევე ვინმე ტ.-ზე, რომელიც 1990-იან წლებში ქართველების საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა, მოხევეებსა და ოსებს შორის გარკვეული დაპირისპირება მისი წყალობითაც მომხდარა და ა.შ.

პროვოკაციებთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს ლარსის საბაჟო გამშვებ პუნქტთან დაკავშირებული ინციდენტები. როგორც ვიცით, 2013 წლიდან რამოდენიმეჯერ ადგილი ჰქონდა ლარსის გამშვებ პუნქტთან კობელი და თრუსოელი ოსების გარკვეული ჯგუფების მიერ პიკეტის მოწყობას. სავარაუდოდ, ეს ჯგუფები ზემოხსენებული ორგანიზაციების (დარიალი, ყაზბეგი, თავისუფალი ოსეთისათვის) მესვეურთა მიერ იყო მობილიზებული; მათ გაცხადებულ მიზანს წარმოადგენდა თავიანთ ყოფილ სალოცავებში დღეობაზე წასვლა ან წინაპართა საფლავების მონახულება. ისინი რუსმა მესაზღვრეებმა გამოატარეს, ხოლო ქართველებმა არ შემოუშვეს. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, საქართველოს სასაზღვრო სამსახურს აქვს იმ პირთა სიები, ვინც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ერთგვარ საშიშროებას წარმოადგენს. ამ ე. წ. შავ სიებში, შეყვანილი არიან ანტიქართულად განწყობილი ინდივიდები, რომელთაც შესაძლებელია მოაწყონ პროვოკაცია და დაძაბონ ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის. ქართული მხარე ამგვარად თავს იზღვევს ქართველთა და ოსთა შორის მოსალოდნელი კონფრონტაციისგან. მსგავსი ვითარება დღემდე გრძელდება. ანალოგიური ინციდენტი იყო წელსაც, როდესაც კობში დღეობაზე მიმავალი ოსები უკან მოაბრუნეს და ამასთან, პასპორტებში ხუთწლიანი დეპორტაციის შტამპები ჩაურტყეს.

კობელი ოსების საქართველოს ტერიტორიაზე არშეშვების შესახებ ინფორმაცია რუსულენოვან მედიაში 2017 წლის აგვისტოში გავრცელდა. ცხინვალელი ჟურნალისტის – ალან პარასტაევის წერილში ნათქვამია:

„ჩრდილოეთ ოსეთიდან მიმავალი ადამიანები უკან მოაბრუნეს და ამასთან, პასპორტებში ხუთწლიანი დეპორტაციის შტამპები ჩაურტყეს. სამხრეთ ოსეთში საქართველოს ხელისუფლების მოქმედებები „ეთნიკურ წმენდად" შეაფასეს და 90-იანი წლებში ოსების მიმართ საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან პარალელები გაავლეს, რაც ვერ გააკეთეს ქართველმა ბოლშევიკებმა, კომუნისტებმა და შემდეგ მხედრიონელებმა, გააკეთა პოსტსაბჭოთა პერიოდში სოციალურ-ეკონომიკურმა სიტუაციამ და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკურმა კოლაფსმა. ოდესღაც კობის აყვავებული სოფლის მეურნეობა, რომელიც ყველითა და ცხვრის ხორცით ამარაგებდა თბილისსა და ვლადიკავკაზს, გაკოტრდა. კობი გაუცხოების ზონა გახდა დ აქ უკვე მეორე ათწლეულია ცივილური ინფრასტრუქტურის ნიშნები არ არის, არც სამედიცინო პუნქტია, არც მაღაზიაა, არც ფოსტა. ამგვარად, საქართველოს ყაზბეგის რაიონის ოსური მოსახლეობა, რომელიც ჯერ კიდევ საკუთარ სოფლებში, საკუთარ სახლებში რჩებოდა, რუსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური თამაშების ტყვეობაში აღმოჩნდა".[79]

ზუსტად იგივეს ამოვიკითხავთ 2007 წელს დაბეჭდილ ალინა თუაევას წერილში ყაზბეგის ოსურ სოფლებთან მიმართებაში (იხ. ამავე თავში). ჩანს ეს კრემლის პროპაგანდის ერთ-ერთი უნივერსალური მახასათებელთაგანია, რაც მდგომარეობს მის სიხშირეში, უწყვეტობასა და განმეორებადობაში. წარმოუდგენელია სოფლის, სადაც სულ 3 კომლი ცხოვრობს, სამედიცინო პუნქტით, მაღაზიით და ფოსტით უზრუნველყოფა.

79 http://netgazeti.ge/news/225479/

ჯერ კიდევ 2010 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში მამუკა არეშიძე ლარსის გამშვები პუნქტის გახსნასთან დაკავშირებით გამოთქვამდა ერთგვარ შიშს. ის აცხადებდა, რომ იმ ფონზე, როდესაც რუსეთი ყოველდღიურად იტაცებს საქართველოს მიწას, საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე მოსალოდნელია რუსეთისგან გარკვეული პროვოკაციების მოწყობა.

„იქიდან წასულ ოსებს ვერ აუკრძალავ შემოსვლას, მით უმეტეს, რომ მათ საქართველოს პასპორტები აქვთ... მე იმთავითვე ვთქვი, თრუსოსა და კობისხეობელი ოსები ჯერ მოვლენ საზღვართან, მათ არ გამოატარებენ რუსი მესაზღვრეები და ისინი მოაწყობენ მიტინგს-მეთქი; ასეც მოხდა, მოადგნენ ლარსს რუსეთის მხრიდან, ისინი არ შემოუშვეს რუსმა მესაზღვრეებმა, მათ მოაწყვეს გამაფრთხილებელი აქცია, ორი საათით გადაკეტეს გზა, თუმცა იქ არც ერთი ავტომანქანა არ იყო და დაიშალნენ. ისიც ვთქვი, რომ მეორედ მათ რუსი მესაზღვრეები გადმოუშვებენ-მეთქი, იმ მოტივით, რომ ვერ შეაკავეს ხალხის მასა. ასეც მოხდა: ოთხი მანქანა მოადგა ლარსს რუსეთის მხრიდან აღდგომა დღეს, ისინი ამჯერად გამოუშვეს რუსეთის მესაზღვრეებმა, მაგრამ ქართველმა მესაზღვრეებმა არ გამოატარეს, რამდენიმე მათგანს საქართველოს პასპორტი ჰქონდა და ამბობდნენ, დედ-მამის საფლავებზე უნდა გავიდეთო. თუმცა, როგორც კი ქართველმა მესაზღვრეებმა უარი უთხრეს, უკან გაბრუნდნენ. ეს ყველაფერი წინასწარაა დაგეგმილი. ივნისში ოსებს მორიგი დღესასწაული აქვთ და ისინი ისევ მოადგებიან საზღვარს, ამჯერად უკვე 20 მანქანით და ჟურნალისტების თანხლებით, რომლებიც გააშუქებენ, რომ ქართველები თავიანთ ტერიტორიაზე არ უშვებენ სტუმრებსა და საქართველოს მოქალაქეებს ეთნიკური ნიშნის გამო. ამის შემდეგ იძულებული ვიქნებით, შემოვუშვათ რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც ქართული პასპორტები ექნებათ. შემდეგ იმ რამდენიმე კაცმა შეიძლება, ექსცესი მოაწყოს ყაზბეგის ცენტრში,

უკვე ქართული პოლიცია იქნება იძულებული, ჩაერიოს და იმ ადამიანებმა შეიძლება, დახმარება რუსეთს სთხოვონ. ეს ხომ მთელი სცენარია?!“[80]

პროვოკაციის მაგალითად შეიძლება მოვიტანო, ვლადიკავკაზში 2016 წლის მარტში დაგეგმილი ქართული ანსამბლების, „რუსთავის" და „ბანის“ კონცერტის წინააღმდეგ მიმართული აქცია. ცხინვალმა ქართველი არტისტების მიღება ჩრდილოეთ ოსეთში ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯად ჩათვალა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების და ოპოზიციური პოლიტიკური ძალების მხრიდან ამ აქტს პროტესტი მოჰყვა. მიზეზები, რატომაც არ უნდა გამართულიყო ვლადიავკაზში ქართველების კონცერტი შემდეგი იყო:

1. 2008 წლის ომის დროს მაშინ, როცა ქართველები ოსებს ხოცავდნენ ანსამბლი „რუსთავი“, საქართველოს ხელისუფლების მხარდამჭერ კონცერტებს მართავდა;
2. ვინც ომის დროს ახლობლები დაკარგეს ჭრილობები ჯერაც არ შეხორცებიათ. ეს მკრეხელობაა დაღუპულების წინაშე;
3. ჩრდილო ოსეთში გლოვაა. 40 დღეც არ გასულა რესპუბლიკის მეთაურ ტამერლან აგუზაროვის გარდაცვალებიდან. ჯერ ადგილობრივი კულტურის მოღვაწეებიც არ მართავენ კონცერტს და რატომ ვაძლევთ საქართველოს ამის უფლებას? ჩვენ ყველანაირ ზომას მივიღებთ, რომ ეს კონცერტი არ შედგეს;
4. 21 მარტს თბილისში რუსეთის საელჩოს წინ შედგა მიტინგი, ნადეჟდა სავჩენკოს მხარდასაჭერად, რომელიც რუსეთის მოქალაქეების მკვლელობაშია ბრალდებული. ამ აქციაზე მონაწილეობას ერთ-ერთი ქართუ-

80 ხაჩიძე ნ. რა პროვოკაციების მოწყობას გეგმავენ ივნისში თრუსოსა და კობის ხეობის მკვიდრი ოსები, 2010.

ლი ანსამბლიც იღებდა. ეს ანსამბლები არა მარტო ოსების წინააღმეგ გამოდიან, არამედ მთელი რუსეთისაც;

5. ქართველებმა ოსურ ცეკვებს ეთნიკური ქორეოგრაფიული ნიშნები სულ დაუკარგეს და გააქართულეს, ხანდახან კი ურცხვად ქართულად ასაღებენ „სიმდს“ და „ხონგას“.[81]

25 მარტს ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქ ვლადიკავკაზში დაცვის განსაკუთრებული ზომების პირობებში გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი, რომელიც საპროტესტო აქციის ფონზე დაიწყო. აქციაზე დაახლოებით 50 კაცი გამოვიდა. ისინი კონცერტის გაუქმებას ითხოვდნენ.[82]

ეს იყო მორიგი პროვოკაციული აქტი, რომელიც ქართველებისა და ჩრდილოეთ ოსების დაპირისპირებაზე და უარყოფითი ურთიერთგანწყობის ჩამოყალიბებაზე იყო გათვლილი.

ჰიბრიდული ომში რუსეთის მთავრობა თავისი სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად, ბოლო დროს უპირატესობას სულ უფრო აქტიურად ანიჭებს ეკონომიკურ ბერკეტებს. რუსეთთან საქართველოს ყველაზე ძლიერი ეკონომიკური კავშირები ვაჭრობისა და ფულადი გზავნილების არხების მეშვეობით ხორციელდება. 2014 წელს რუსეთი საქართველოს სიდიდით მესამე სავაჭრო პარტნიორი იყო და მისი წილი მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 7,4%-ს შეადგენდა. ქართული პროდუქციისთვის რუსეთი სიდიდით მესამე საექსპორტო ბაზარი იყო, სადაც 274,5 მილიონი აშშ დოლარის პროდუქციის ექსპორტირება მოხდა. 2016 წლის იანვარში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში რუსეთის წილი 10,3 %-ია, აქედან ექსპორტში 8 და

81 http://www.newposts.ge/?l=G&id=103219

82 კახიშვილი ნ. ქართული ანსამბლის კონცერტი ვლადიკავკაზში აქციის ფონზე დაიწყო, 2016.

იმპორტში 11 %. რაც შეეხება ფულად გზავნილებს, 2016 წლის იანვარში ფულადი გზავნილების მოცულობის მხრივ, რუსეთი პირველ ადგილზეა, საერთო მოცულობიდან 34,3%-ით, თუმცა ეს მაჩვენებელი შარშანდელ 47,5 %-ს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება. აღნიშნული სტატისტიკის გაანალიზების დროს ექსპერტები ასკვნიან, რომ სავაჭრო კავშირების მეშვეობით საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება უგულებელყოფილი არ უნდა იყოს. რუსეთის ხელისუფლებას ამ ბერკეტის ორგვარად გამოყენება შეუძლია – კიდევ ერთი ემბარგოს დაწესებით ან სავაჭრო პირობების გაუარესებით, რასაც ევრაზიული საბაჟო კავშირის ჩარჩოში ახალი სავაჭრო შეზღუდვების დაწესებით განახორციელებს.[83]

ვლადიკავკაზზეა ორიენტირებული ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის არც თუ მცირე ნაწილი:

> *„მოხევეები ეკონომიკურად უფრო მეტს ჩრდილოეთიდან სარგებლობენ, ვიდრე აქედან. გარდა პენსიისა, ძალიან ბევრი ზის ახლა კამაზის ტიპის ავტომანქანაზე თავისუფლად გადაადგილდება და თავისუფლად შედის და გადის რუსეთში. ის იქ ხელფასს იღებს, რაღაც პატარა ბიზნესი აქვს, მაღაზიები მარაგდებიან იქედან, 1000 ლარის ფარგლებში განბაჟებას საქონელი არ ექვემდებარება, კანონი აქვთ მაგათ ოღონდ ეს არ უნდა იყოს კონტრაბანდული საქონელი. ხევი, ჩვენი მაღაზიების უმრავლესობა რუსული პროდუქციით არის სავსე. მარტივად გადმააქვს იქედან. აქედან თავისუფლად გადის, რაც გინდა გაიტანე. კიტრი, პამიდორი გადიოდა სათბურებიდან, 2005 წლიდან მოისპო. სათბურებს დადებითი შედეგი ჰქონდა, იმიტომ რომ მართლა სარგებლობდა მოსახ-*

83 http://eugeorgia.info/ka

ლეობა. მოსახლეობა კარგად იყო. თავად ამოდიოდნენ აქ ოსები და აქვე იძენდნენ, როგორც ერგნეთის ბაზრობა, ისე იყო, იმას რასაც ვერ აკეთებდა პოლიტიკოსი, ეს სახალხო დიპლომატია აკეთებდა" (ავტორის საველე მასალა, სტეფანწმინდა 2017).

რაც შეეხება ეკონომიკური ბერკეტებს ყაზბეგის მოსახლეობასთან მიმართებაში, პირველ რიგში, ეს გამოიხატება რუსული პასპორტის არმქონე ქართველებისთვის ჩრდილოეთისკენ თავისუფალი მიმოსვლის და, შესაბამისად, მათთვის სავაჭრო საქმიანობის შეზღუდვაში, რასაც ძირითადად საზღვრის ორივე მხარეს მოსახლე ოსები და ქართველები ეწეოდნენ; თუმცა, მაინც ახერხებენ ვლადიკავკაზში შესვლას და საქონლისა და პროდუქტების ყიდვას. ხანდახან 2-3-ჯერ კვეთენ საზღვარს და ყაზბეგის რაიონის მაღაზიებს ამარაგებენ.

ამრიგად, განხილული მაგალითების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ყაზბეგის რაიონში ქართველთა და ოსთა ურთიერთობა რუსეთის ჰიბრიდული ომის სამიზნედ 2008 წლის ომის შემდეგ იქცა. ქართული მიწების ხელში ჩაგდების მიზნით ის ყველა შესაძლო მეთოდს იყენებს – საინფორმაციო ომს, რომელიც შეთხზულ ამბებზე, ისტორიისა და რეალური ფაქტების დამახინჯებაზეა ორიენტირებული, პროვოკაციებს, პასპორტიზაციას, ეკონომიკურ ბერკეტებს.

III თავი

„ოსური სივრცეები“,[84] ყაზბეგის ბრენდინგი და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2016-20120 წწ. განვითარების სტრატეგიაში, ეკონომიკური წინსვლისთვის ძირითად პრიორიტეტებად ტურიზმი და სოფლის მეურნეობა სახელდება, ხოლო მათგან, განსაკუთრებული ადგილი ტურიზმს უჭირავს. დღეს ეს დარგი ამ მაღალმთიანი რეგიონისთვის, სადაც ეკონომიკური განვითარებისთვის საკმაოდ მწირი პირობებია, ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან მიმართულებად იქცა. ტურიზმის ბაზარზე კომერციული საქმიანობის წარმატება, პირველ რიგში, მიმზიდველი ტურისტული პროდუქტით განისაზღვრება, მაგრამ ის, ამავე დროს, წარმოადგენს რთულ, განსხვავებულ ელემენტთა ერთობლიობას: ბუნებრივი რესურსები (ჰაერი, წყალი, მზე, ლანდშაფტი და სხვ.), ისტორიული, კულტურული, არქიტექტორული ღირსშესანიშნაობები, რომლებსაც შეუძლიათ მიიზიდონ ტურისტი.[85]

დღეს ტურიზმის განვითარება ბრენდინგის გარეშე წარმოუდგენელია. დაახლოებით ბოლო ათი წლის განმავლობაში უამრავმა ქვეყანამ თუ ქალაქმა მასშტაბურად დაიწყო საკუთარი ქვეყნის ბრენდირება ტურიზმის გასაძლიერებლად ქვეყნის იმიჯის შექმნისა და განვითარებისთვის.[86] ცნობილია,

---

84 „ოსურ სივრცეებს“ პირობითად ვუწოდებ ოსების კომპაქტურ სამოსახლოებს ყაზბეგის რაიონში და მასთან დაკავშირებულ ბუნებრივ და კულტურულ რესურსებს.

85 მელაძე მ., ტურისტული პროდუქტის ფორმირების თავისებურებანი საქართველოში, 2008, გვ. 14.

86 გუმბერიძე ნ. ერები და ნაციონალური ბრენდინგი, 2016, გვ. 8.

რომ ბრენდი, სავაჭრო მარკა, სასაქონლო ნიშანი (სიმბოლო), ან საქონლის დიზაინი, ან ყველა ამ ელემენტის კომბინაციაა, რომელიც მომხმარებელთა გონებაში მოცემულ საქონელთან ასოცირდება და ანსხვავებს მას კონკურენტების საქონლისაგან. ბრენდინგი (Branding) კი ბრენდის შექმნის პროცესი და მისი მართვაა, რამაც უნდა შეუქმნას მომხმარებელს განსაკუთრებული შთაბეჭდილება საქონელზე (მომსახურებაზე) და საქონლის ხარისხზე; ბიზნესის ლექსიკონში ბრენდინგი//ბრენდირება განმარტებულია, როგორც ბრენდის შექმნა და მისი ცნობადობის ზრდა. ის ბიზნესის წინსვლის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.[87]

2017 წლის ივლისში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამით შემუშავდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბრენდინგის სტრატეგია, რომელიც წარმოადგენს სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტს. კონკრეტული მხარისათვის ბრენდის შექმნა რთული და მრავალკომპონენტიანი პროცესია. მან უნდა მოიცვას მთელ რეგიონში არსებული მომსახურებები და პროდუქტები, ასევე არამატერიალური ფასეულობებიც, როგორიცაა ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და ა. შ. შესაბამისად, ყაზბეგის ბრენდირება წარმოადგენს გამოწვევას, რომლის დაძლევაც ადგილობრივი თემის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით არის შესაძლებელი.[88]

ყაზბეგის ბრენდის შექმნის პროცესში შედგა ადგილობრივი მომსახურებების, პროდუქტების და ღირსშესანიშნაობების ჩამონათვალი, რომელიც გაანალიზდა და შეფასდა საკონსულტაციო კომპანია ბრენდსელენსის მიერ, რათა დადგენილიყო, თუ როგორ შეიძლებოდა ამ კონკრეტული მიმარ-

87 http://www.businessdictionary.com

88 http://pin.ge

თულებების კომერციალიზაცია და გაერთიანება ერთიანი ბრენდის ქვეშ, მათი ავთენტურობის შენარჩუნებით. გამოიკვეთა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბრენდირების სამი ძირითადი მიზანი:

1. მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარება (მუნიციპალიტეტისთვის უფრო მეტი ცნობადობის შექმნა და მხარეში მეტი ტურისტის მოზიდვა, რაც თავისთავად გამოიწვევს ადგილობრივი ბიზნესაქტივობის ზრდას, მეტ შემოსავალს მოსახლეობისთვის და შესაბამისად გაუმჯობესებულ ყოფას ადგილობრივებისთვის).
2. ყაზბეგის ბრენდის ხარისხის ნიშნად გამოყენება და ამ უფლების მიცემა მხოლოდ იმ კომპანიებისთვის თუ ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მიერ დადგენილ და დამტკიცებულ სტანდარტებს.
3. მესამე მიზანი ურთიერთკავშირშია მეორესთან და გულისხმობს ადგილობრივი მომსახურებებისა და პროდუქტების ხარისხის ზრდას კონკურენციის ხარჯზე.
4. აღნიშნულ სტრატეგიაში ჩართულია მთლიანი რეგიონის სპეციფიკა აქ მოსახლე ოს ეთნოსთან ასოცირებულ კულტურის ელემენტთა და ღირსშესანიშნაობათა, ასე ვთქვათ, „ოსური სივრცეების“ გათვალისწინებით. მაგალითად, ცნობილი კობის ყველი ყაზბეგის ბრენდის პროდუქტების სიაშია წარმოდგენილი. პროდუქტის სახელწოდება სოფ. კობთანაა დაკავშირებული. ივ. ჯავახიშვილის მონაცემებით, კობის ყველს ამზადებს ყაზბეგის რაიონის ხევის (თრუსოს ხეობა) სოფლის მოსახლეობა.

გაზეთ „ახალი ხევის“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ:

„1940 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა „III ინტერნაციო-

ნალის“ სახ. კობის კოლმეურნეობამ. კოლმეურნაობის თავმჯდომარე ამხ. ილია ძახოვი სათავეში ჩაუდგა კოლმეურნაეობის განმტკიცებას. კოლმეურნეობა სამი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ასრულებდა საწარმოო მაჩვენებლებს. კოლმეურნეობაში საუკეთესოდ არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია. კოლმეურნეობა ბოლშევიკურად იბრძვის სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებისთვის. მიმდინარე წელში „III ინტერნაციონალის“ სახ. კობის კოლმეურნეობის ყველი დამტკიცებულია სსრ. საკ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსპონატად. სრ. საკ. სას. სამ. გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვება არის უდიდესი ღირსებისა და პატივის მოპოვება კობის კოლმეურნეობის თვითოეული კოლწევრის მიერ...“.[89]

სწორედ ამ საკავშირო გამოფენაზე აიღო კობის ყველმა უმაღლესი ჯილდო. კობის ყველი საბჭოთა კავშირის დროს ნომენკლატურისთვის განკუთვნილ სპეციალურ მაღაზიებში იგზავნებოდა. მას ხალხში რაიკომის მდივნების ყველსაც კი ეძახდნენ. მისი წარმოება ყაზბეგის რაიონში მხოლოდ კობის კოლმეურნეობაში არ ხდებოდა; როგორც ამავე გაზეთის სტატიიდან ვიგებთ, სიონის ყველ-კარაქის ქარხანას 1941 წლის დამლევისათვის 111,8 %-ით შეუსრულებია ჰოლანდიური, კობური, თუშური ყველის და სხვა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა, რაშიც კარგი პრაქტიკული დახმარება გაუწევია კობის სას. საბჭოს, ასევე, კობის და ყაზბეგის კოლმეურნეობებს.[90] კობის ყველს საქართველოში ხევის ყველსაც უწოდებენ, მისი წარმოების ლოკალიზაციის მიხედვით. ოსები მას ოსურ ყველსაც ეძახიან.

დღეს, კობის ყველს ყაზბეგის რაიონში თრუსოს ხეობაში აწარმოებს ყველის ინდივიდუალური მწარმოებელი რ. გუჯა-

89 გაზ. „ახალი ხევი”, 1940, №3.

90 გაზ. „ახალი ხევი”, 1941, №6.

რაიძე. რამოდენიმე წელია კობის ყველი მონაწილეობას იღებს საქართველოში გამართულ ყველის ფესტივალში, სადაც მან 2015 წელს კავკასიური ყველის ფესტივალზე კატეგორიაში – „ფესტივალის აღმოჩენა“, ოქროს მედალი დაიმსახურა. პირველი ადგილი აიღო მან ნომინაციაში „ადგილწარმოშობის ყველი“ 2016 წელს მცხეთაში გამართულ პირველ ქართულ რეგიონალურ ყველის ფესტივალზე.[91]

ასევე, ყაზბეგის ღირსშესანიშნაობების ბრენდის სიაშია თრუსოს ხეობის რამდენიმე უნიკალური მარშრუტი, რომლებიც ნაკლებადაა განვითარებული, აბანოს ბუნებრივი ტბა, რომელიც „წითელ წიგნშია“ შეტანილი და თრუსოს ტრავერტინების ბუნების ძეგლი, და თრუსოს ხეობის სოფლები – ნასოფლარები. ეს ნასოფლარები, ოსების მიერ მიტოვებულ სახლებს მოიცავს, სადაც დღეს ძველი პატრონები თითქმის აღარ ჩამოდიან, ან თუ ჩადიან, ძალზე იშვიათად.

ყაზბეგის ბრენდინგის სტრატეგიაში თავისი ბუნებრივი მონაცემებით და მდებარეობით საუკეთესო აღმოჩნდა კობის ქვაბული. საქართველოს საკურორტო ადგილების ნუსხაში ის შეტანილია, როგორც IV მაღლივ სარტყელში განლაგებული პროფილაქტიკური, გასტროენტეროლოგიური და პულმონოლოგიური პროფილის კლიმატო-ბალნეოლოგიური საკურორტო ადგილი, სადაც მოიპოვება ნახშირმჟავა მინერალური წყლები. „საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია“ კობის შესახებ შემდეგ ინფორმაციას გვაწვდის:

„საკურორტო ადგილი კობი ადმინისტრაციული მდებარეობა – ყაზბეგის რაიონი.

გეოგრაფიული მდებარეობა – მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირი, სტეფანწმინდიდან 20 კმ-ის მანძილზე.

სიმაღლე ზღვის დონიდან – 1970 მ. რელიეფი დ მთაგორიანი.

91 http://www.info9.ge/ekonomika/130531-kavkasiuri-yveli-2015

კლიმატი – ზომიერად ნოტიო, საშუალომთის (ზედა სარტყელი). ზამთარი – შედარებით მშრალი, ცივი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -8 C. ნოემბრის შუა რიცხვებიდან აპრილის ბოლომდე აღინიშნება თოვლის საფარი. ზაფხული გრილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 13, 9 C.

ნალექების წლიური რაოდენობა – 1040 მმ.

ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 69%.

მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1750 საათი.

ფლორა – სუბალპური მდელოების მცენარეულობა.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავა და ნახშირმჟავა, ბორიანი, რკინიანი, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიანი (და ნატრიუმიან-კალციუმიანი) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1, 5-1, 9 გ/დმ^3. მკურნალობის სახეობები – მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია".[92]

ამავდროულად, კობს დიდი სამთო-სათხილამურო კურორტის პოტენციალი აქვს და სწორედ ამიტომ იქნა ის შეტანილი გუდაური-კობის კურორტის განვითარების გეგმაში, რომელიც ჯერ კიდევ 2015 წელს დაისახა. 2015 წლის 7 ივლისს გამოიცა მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ი. ღარიბაშვილის განკარგულება 2015-2016 წლებში შ.პ.ს. „მთის კურორტების განვითარების კომპანიის" მიერ სამთო-სათხილამურო კურორტების კეთილმოწყობასა და განვითარებასთან დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რისთვისაც გამოიყო 46 875 187 ლარი. დაიგეგმა, რომ შ.პ.ს. „მთის კურორტების განვითარების კომპანიას" ეს თანხა უნდა გამოეყენებინა სამთო-სათხილამურო კურორტების კეთილმოწყობის, მათი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და რეგიონების ტურისტული პოტენციალის

92 სააკაშვილი, ნ., თარხან-მოურავი ი., ტაბიძე მ., ქუთათელაძე ნ. საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია, 2011, გვ. 83-84.

ამაღლების მიზნით და ამ მიმართულებით განეხორციელებინა მთელი რიგი ქმედებები, მათ შორის:

ა) კობი-გუდაურის მიმართულებით ახალი საბაგირო-სა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საჭი-რო წინასაპროექტო (მათ შორის, გეოლოგიური, გეოდეზიუ-რი, ტოპოგრაფიული, არქეოლოგიური) სამუშაოების შესყიდ-ვა-ჩატარება;

ბ) კობი-გუდაურის მთიანი რეგიონის, როგორც კურორტის განვითარების გენერალური გეგმის დამზადების მომსახურების შესყიდვა.[93]

2016 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გ. კვირიკაშ-ვილმა გამართა მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის ყველაზე მასშტაბური კომპონენტის – ქვეყნის სივრცითი მოწყო-ბის პროექტის პრეზენტაცია. ერთ-ერთი პუნქტი, რომელიც ქვეყანას ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სარგებ-ლის მიღების შესაძლებლობას და ადგილობრივ მოსახლეობას განვითარების გარანტიას აძლევს, ასევე, ხელს უწყობს მიწისა და ბუნებრივი რესურსების გონივრულ, რაციონალურ გამოყ-ენებას, საკურორტო პოტენციალის სრულყოფილად ამუშავებაა. გუდაური-კობის კურორტის განვითარება ამ გეგმის ერთ-ერ-თი პუნქტია. გეგმის მიხედვით, 2017 წელს უნდა დაწყებულიყო გუდაური-კობის მიმართულებით საბაგირო ხაზების მშენებ-ლობა, რაც განავითარებს კობს, როგორც სერიოზულ ბაზას გუდაურის კურორტისთვის. გამომდინარე ლანდშაფტიდან, გან-საკუთრებულად მაღალი ხარისხის სათხილამურო ტრასებიდან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან და ულამაზესი ბუნებიდან, ეს იქნება ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ერთიანი ტურისტული კომპლექსი.[94]

---

93 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. http://matsne.gov.ge

94 http://gov.ge

„მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ ხელმძღვანელი 2016 წლის ოქტომბერში აცხადებდა რომ კანადურ კომპანია , , ეკოსაინის“ მიერ შეიქმნა გუდაურის განვითარების გეგმა და უკვე მომდევნო წელს დაიწყებოდა კობი-გუდაურის დამაკავშირებელი 7 კილომეტრნახევრიანი საბაგიროების ინფრასტრუქტურის შენება, რომელიც ყაზბეგი-კობი-გუდაურის ერთიან სათხილამურო სივრცეს შექმნის.[95]

მაგრამ, ჰიბრიდული ომის პირობებში, როდესაც ოსებს/რუსებს პრეტენზია აქვთ ყაზბეგის რაიონის იმ ტერიტორიებზე, სადაც ოსები ცხოვრობდნენ (და უფრო მეტზედაც), რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების და ყაზბეგის ბრენდინგის არსებულმა სტრატეგიამ შესაძლებელია გარკვეული პრობლემები წარმოშვას (ზოგი უკვე არსებობს კიდეც). ეს პრობლემები უშუალოდ უკავშირდება ყაზბეგის რაიონის ოსურ დასახლებებში მიწების საკუთრების საკითხს.

ბუნებრივია, რომ თანამედროვე ტიპის სამთო-სათხილამურო ტურისტული ქალაქის აშენება კობის ტერიტორიაზე ამ სოფლის მკვიდრთათვის ძალზე ხელსაყრელია.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დღეს საარჩევნო სიებში შეტანილი 50-მდე პირიდან კობში მუდმივად მხოლოდ 3 კომლია, გამოდის, რომ კობელთა დიდი ნაწილი ვლადიკავკაზში ცხოვრობს და სავარაუდოდ მიწა თავის საკუთრებაში არ აქვს გაფორმებული. ეს სწორედ ის მიწებია, რომლის ათვისებასაც ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში აპირებენ. სახელმწიფომ მოახდინა კობის მიწების აღრიცხვა. ამ მიწებზე არის სახლები, რომლებიც არ იყო საკადასრო რუკაზე დატანილი და ეკონომიკის სამინისტრომ ეს ტერიტორია სახელმწიფოს ბალანსზე აიყვანა. ამ მხრივ, კანონი სახელმწიფოს მხარეზეა, ვინაიდან, საქართველოს კანონმდებლობიდან

95 https://bpn.ge/ekonomika

გამომდინარე, სახელმწიფომ დაიკანონა მიწები, რომელსაც იურიდიულად არ ჰყავდა პატრონი. კობის საკითხი ჯერ ფართოდ არ გახმაურებულა, თუმცა მიწის საკუთრებაზე პრეტენზიები უკვე არსებობს. კობის ტურისტულ ქალაქად ქცევის პერსპექტივამ და აქედან სარგებლის (მიწის გაყიდვა ან საკუთარი სახლის მოწყობა) მიღების სურვილმა, შესაძლოა კობიდან ჩრდილოეთში მიგრირებულ ოსებს გარკვეული ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგოს. ამ ვითარებასთან დაკავშირებით ყაზბეგელი მთხრობელი შემდეგ ინფორმაციას გვაწვდის:

> *„მიწები რო დაარიგეს ჩვენ არ შაგვხვდა და ოსებს ვინ მისცემდათ. თუ არ არი ჩაწერილი, არ უკანონებენ. აქ ვინც დარჩა 5-6 კომლია იმათ – კი, დანარჩენს არა. ვინაც აქ არის და აქედან არ წავიდა, იმათ გაიფორმეს მიწები და სხვა, არ ვიცი. ბევრი ოსია ვინც წასულია, სახლები აქვთ აქა, სახლი იმისია, მაგრამ მიწას არ უკანონებენ, არაფერი საბუთი რო არა აქვთ. ძირითადად მოხუცები წავიდნენ და იქ დაიხოცნენ, აქ აღარ არიან. ეხლა ეს ხო რეკრეაციული ზონა გახდა და ვიცი, რო არ უკანონებენ“ (ავტორის საველე მასალა, ყაზბეგი 2016).*

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლის ინფორმაციით:

> *„ტურისტული ქალაქის მშენებლობას სადაც აპირებენ, ის სახლები, სავარაუდოდ, დაინგრევა. ოსები თუ დაირეგისტრირებენ მიწებს, შესაბამისად, მათ კომპენსაცია უნდა მისცენ. გააჩნია, სახელმწიფო როგორ მოიქცევა, რას გააკეთებს. საკრებულოში შარშან შემოვიდა ეგ პროექტი. სახელმწიფოს უკვე დარეგისტრირებული ჰქონდა მიწები ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე. ოსებს რომ რეგისტრაცია გაეკეთებინათ შარშან, და უფრო ადრეც,*

გაცილებით მარტივი იქნებოდა... ახლა კი, როცა სახელმწიფომ თავის ხელში აიღო და ჩართულია ამ საქმეში, და გამოჩნდა ინვესტორი, ვინც ითავა ამ პროექტის განხორციელება, ახლა უკვე რთულია! ეს სამთო-სათხილამურო კურორტი არ იქნება, იქნება გუდაურთან დამაკავშირებელი საბაგირო გზები, აქედან გადავლენ გუდაურში და მერე იქ ისრიალებენ. მაგალითად, ვლადიკავკაზელს კობიდან საბაგიროთი გადასვლა ურჩევნია გუდაურში, ვიდრე ზამთარში მანქანით იმხელა გზის გავლა. ეს პროექტი რუს ტურისტებზეა გათვლილი. გუდაური ეხლა ძალიან დაფასდა, რუსებმა ეს იციან. აგერ საზაფხულო ტრასები გაიხსნა ახლა გუდაურში – ველოსპორტის. უკვე ზაფხულშიც დაიტვირთა გუდაური (ავტორის სავლე მასალა, სტეფანწმინდა 2016).

მთხრობელთა აზრით, რეალურად, სახელმწიფომ კი დაისაკუთრა მოქალაქეთა დაურეგისტრირებელი მიწები, მაგრამ, თუ სახელმწიფო მას მოხსნის თავისი ბალანსიდან, მაშინ ეს მოქალაქეები უკვე დაირეგისტრირებენ სახლებს. იმ კობელებს, ვინც დღეს ვლადიკავკაზში ცხოვრობს და რუსეთის მოქალაქეა, მიწის საკუთრებაში დარეგისტრირების ნაკლები შანსი აქვს. ყაზბეგელი რესპონდენტის ცნობით:

„თუ მიწა დარეგისტრირებული არაა, მაშინ უნდა გაირკვეს არქივში, რომ ამ მიწის მფლობელი იყო პაპაშენი, ან იმის მამა და შენ იმათი შთამომავალი ხარ; ეს უნდა დაამტკიცო და ერთადერთი საბუთი ეგ არის, სხვა არაფერი; ოსებს ეს საბუთი არ აქვთ. ან, თუ „შევარდნაძის პასპორტი“[96] *არსებობს და თუ*

96 შევარდნაძის პასპორტი – ცნობა, რომელიც 1990-იან წლებში გაიცემოდა მიწის საკუთრების საბუთად შევარდნაძის ხელმოწერით.

იჩივლებ, მაგ შემთხვევაში შეიძლება მიიღო მიწა. ამ კობის პროექტში 20-მდე სახლი მოჰყვა. ადოს მინდორს რომ ეძახიან ეგ ტერიტორია მოჰყვა, და კიდე იქით. ოსებს, რა თქმა უნდა, ექნებათ პრეტენზია, დავას ჯერ ოფიციალური სახე მიღებული არა აქვს. ეუბნებიან, რომ სასამართლოში იდავეთ და სასამართლო მოგანიჭებთო. სასამართლო თვითონ სთხოვს საჯარო რეესტრს, რეესტრი მიაწოდებს ყველანაირ ინფორმაციას, გადაწყდება რომ ჩემია, არა? მერე დავარეგისტრირებ ჩემ სახელზე. სახელმწიფო მერე მოგცემს შემოთავაზებას, ან იყიდის, ან სხვა რამე. როცა დაამტკიცებ, რომ მფლობელი ხარ, მაშინ მოხდება დარეგისტირება შენზე“ (ავტორის სავლე მასალა, სტეფანწმინდა 2017)

ადმინისტრაციის წარმომადგენლები ასეთ პირებს სთავაზობენ სასამართლო პროცესის დაწყებას და პრობლემის ამ მეთოდით გადაწყვეტას. დავის გარეშე ეს საკითხი ვერ გადაიჭრება. შექმნილი ვითარება კი, რასაკვირველია, ხელს მისცემს რუსეთს ჰიბრიდული ომის სამიზნედ გამოიყენოს კობის მიწების ვარიანტი.

„კობელი მოსახლეობა მიდის და ითხოვს, რომ დაგვირეგისტრირეთ სახლებიო. ისინი ვერ ურეგისტრირებენ, ეუბნებიან, სახელმწიფოსიაო. არა და, იმ სახლებში ცხოვრობს ეს ხალხი. ამათ ეს ამბავი, საჩივრის დონეზე მიიტანეს ოსებთან. ოსებმა შემოუთვალეს უკვე, თუ თქვენ გინდათ 16 000 ლტოლვილი, კი ბატონო, ნუ დაარეგისტრირებთო; ეს იყო მუქარა, გულისხმობდნენ, მაშინ ჩვენ გენოციდს მოვუწყობთ აქ ქართველებსო“ (ავტორის საველე მასალა, ყაზბეგი 2017).

რაც შეეხება თრუსოს მიწებს, ეს ტერიტორია უფრო ადრე დაიცალა მოსახლეობისგან და, რადგან კომუნისტების დროს

მიწა პრივატიზებული არ იყო, ამიტომ აქაც ოსურ მოსახლეობას მიწა დარეგისტრირებული არ ჰქონია. როგორც რესპონდენტები გადმოგვცემენ, მიწებთან დაკავშირებული აღნიშნული პრობლემა მარტო კობშია. თრუსოს მიწებს ეს არ ეხება, ვინაიდან ის კონკრეტული პირების საკუთრებაშია სახნავი მიწები კერძო მფლობელების ხელშია და ისინი ქართველები არიან. თრუსოს მიწების პრივატიზაციას ნაციონალების მმართველობის პერიოდს უკავშირებენ (ავტორის საველე მასალა 2016). როგორც ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელი აღნიშნავს, თრუსოს საძოვრები სახელმწიფოს არ ჰქონდა დატანილი რუკაზე. 2016 წელს პარტიამ შეიტანა საძოვრების აზომვის მოთხოვნა საკრებულოში. ამის საჭიროება მოიტანა იმ ვითარებამ, რომ არაადგილობრივ მესაქონლეებს (უფრო აზერბაიჯანელებს) შემოჰყავდათ საქონელი თრუსოს საძოვრებზე და არანაირ გადასახადს არ იხდიდნენ; ამას ვერც ვერავინ სთხოვდა, ვინაიდან საძოვრები სახელმწიფოს მიერ დაკანონებული და რუკაზე დატანილი არ იყო. პარტიის წარმომადგენლებმა თავიანთი ინიციატივით და საკუთარი ფინანსებით გააკეთეს თრუსოს მთლიანი ხეობის საძოვრების აზომვითი ნახაზი და გადასცეს ეკონომიკის სამინისტროს, რომელმაც ეს მიწები რუკაზე დაიტანა; ახლა ის მუნიციპალიტეტის საკუთრებაა და მას უკვე კანონიერად შეუძლია გადაახდევინოს გადასახადი დამქირავებელს. მაგალითად, 2017 წელს ხეობაში შემოსულმა აზერბმაიჯანელებმა უკვე ოფიციალურად გადაიხადეს ქირა. ადგილობრივებს გადასახადს არ ახდევინებენ, მათ საქონელი შეჰყავთ, მაგრამ ქირას არ იხდიან. გადასახადი დიდი არაა, 100 ჰექტარზე ასი ლარიდან იწყება. მწყემსები არ არიან უკმაყოფილო, პირიქით, ასე საქმე უფრო მოწესრიგდა. წინათ მოხევეებს და აზერბაიჯანელებს ხშირად კონფლიქტი ჰქონდათ ერთმანეთთან, ახლა კმაყოფილები არიან, ყველამ იცის, რომ ეს მი-

წები მუნიციპალიტეტის საკუთრებაა და საძოვრები გამიჯნულია. ადგილობრივ მოხევეთა ინფორმაციით, თრუსოელ ოსებს არა აქვთ არანაირი პრეტენზია, მათი სახლები ნანგრევებადაა ქცეული და აქეთ ისინი აღარ ჩამოდიან. ამდენად, სახელმწიფომ მთლიანად აიყვანა თავის ბალანსზე თრუსოს საძოვრები. აქვე დაფუძნდა მამათა და დედათა მონასტერი, რომელთაც საკუთრებაში გადაეცა მიმდებარე მიწები.

ყაზბეგის საკრებულოში არის სპეციალური კომისია, რომელიც ყოველწლიურად მიწის ნაკვეთებს კოეფიციენტებს ანიჭებს, ადგენს მიწის სახელმწიფო ფასს მისი ადგილმდებარეობის მიხედვით. მაგრამ, მესაკუთრეს შეუძლია მიწას თავისთვის სასურველი ფასი დაადოს.

მიწის რეგისტრაციის საკითხი ზოგადად კვლავ პრობლემად რჩება ყაზბეგში, ისევე როგორც მთელ საქართველოში. ის მარტო ოსების სამოსახლოსთან დაკავშირებული პრობლემა არაა; მსგავს სიტუაციას ქართულ სოფლებშიც ვაწყდებით, მაგრამ პოლიტიკურად დაძაბულ დღევანდელ ვითარებაში, როდესაც ოსეთს/რუსეთს ყაზბეგის რაიონის დასაკუთრების ინტერესი გააჩნია, შესაძლებელია კობისა და თრუსოს მიწების საკითხმა მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნას მომავალში.

დასკვნა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება დუშეთის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით ახალგორის და დასავლეთით ჯავის რაიონები, ანუ, არაღიარებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, და ჩრდილოეთიდან რუსეთის ფედერაციის სუბიექტი ე რესპუბლიკა ჩრდილოეთ ოსეთი-ალანია.

რუსეთის მიერ 2008 წელს ცხინვალისა და ახალგორის ოკუპაციის შემდგომ, ყაზბეგის რაიონი რუს/ოს პოლიტიკოსთა განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოექცა და გაჟღერდა მათი პრეტენზიები ყაზბეგის რაიონის იმ ტერიტორიებზე, სადაც ოსები სახლობდნენ. ჩრდილო ოსეთში დაწყო კამპანია ყაზბეგის რაიონის ჩრდილო ოსეთისათვის მიკუთვნების თაობაზე. გამოითქვა ვარაუდები, რომ ამ რეგიონთან მიმართებაში რუსეთი ახალ სცენარს ქმნის და ოსური ფაქტორით მანიპულირებს.

წიგნში წარმოდგენილია დღევანდელი ვითარება რეგიონში, გაანალიზებულია ქართულ-ოსურ ურთიერთობაში ტრადიციული ყოფისა და კულტურის, სოციალური სისტემების, პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების როლი, განსაზღვრულია ქართულ-ოსური ურთიერთობის პერსპექტივა და ამ ურთიერთობებზე გათვლილი მოსალოდნელი საფრთხეები. რა როლი ექნება ყაზბეგელ ოსთა და ქართველთა ურთიერთობებს რუსეთის ახალ სცენარში და როგორ გამოიყენებს მას რუსეთი თავის გეოპოლიტიკური ზრახვების მისაღწევად?

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სადაც დღეს დიდწილად ქართული (ძირითადად მოხევეები) მოსახლეობა ცხოვრობს, რამოდენიმე ათეული წლის წინ ჯერ კიდევ იყო ოსური კომპაქტური დასახლებები კობის ქვაბულსა და თრუსოს ხეობაში. შესაბამისად, ყაზბეგის რაიონის მოსახლეობა უმეტესად მოხევეებისა და ოსებისგან შედგებოდა. ოსთა თრუსოს ხეობაში დამკვიდრების პერიოდად ქართველი მეცნიერებს XVII-XVIII საუკუნეები მი-

აჩნიათ, როდესაც ჩრდილოეთიდან ხდება ოსების ინფილტრაცია დვალებით დასახლებულ არეალში. ოსების მოსულობას ხევში არა მარტო ქართული წერილობითი წყაროები, ისტორიული ნარატივები და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერები ადასტურებს, არამედ ხალხში დღემდე შემორჩენილი თქმულებები და გადმოცემები.

XVIII-XIX საუკუნეების მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემები საკვლევ რეგიონში ოსური მოსახლეობის მატებას გვიჩვენებს. მოსახლეობის ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა საბჭოთა პერიოდში XX საუკუნის პირველ ნახევარშიც.

ქართულ-ოსურ ურთიერთობას ყაზბეგის რაიონში დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია. მართალია ყაზბეგის რაიონში ოსების დასახლებები მონოეთნიკური და კომპაქტური იყო, მაგრამ საბჭოთა პერიოდში სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობები რეგიონის ქართულ და ოსურ მოსახლეობას ძალზე მჭიდროდ აკავშირებდა ერთმანეთთან. ისინი არა მარტო თანამშრომლობდნენ და მეგობრობდნენ, არამედ ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ, ნათელ-მირონი ჰქონდათ და ეს კავშირები თაობებზე გადადიოდა. ასეთი ურთიერთობები მათ შეინარჩუნეს ოსი მოსახლეობის ჩრდილოეთ ოსეთში გადასვლის შემდეგაც. მათ ურთიერთკეთილგანწყობაზე ისიც მეტყველებს, რომ აქაურ ოსებს ადგილობრივები „მოხევე ოსებს“ ასევე, „ჩვენ ოსებს“ უწოდებენ, რაც ერთი მხრივ, მათი ინტეგრაციის მანიშნებელია, მეორე მხრივ, კი ე. წ. მოხევეთა „ჩვენ“ ჯგუფში მათ ჩართულობაზე მიუთითებს. თრუსოელ ოსებს მოხევეები „კარგ ოსებს“ ეძახიან.

საბჭოთა პერიოდში თრუსოს ხეობაში ადმინისტრაციული დაყოფით ყაზბეგის რაიონის ფარგლებში შედიოდა თრუსოს და კობის სასოფლო საბჭოები. თითქმის ყველა სოფელში იყო კოლმეურნეობა, ან რამოდენიმე სოფელი ერთ კოლმეურნეობაში ერთიანდებოდა. კოლმეურნეობების ძირითადი საქმიანობა მსხვილფეხა და წვრილფეხა მესაქონლეობა იყო, განსაკუთრე-

ბით მეცხვარეობა და შესაბამისად, ყველის წარმოება. ოსურ სოფლებში თითქმის ყველგან იყო სკოლები, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ზოგან დაწყებითი, ზოგან რვაწლიანი. XX საუკუნის პირველ ნახევარში ყაზბეგის რაიონში 18 ოსური სკოლა იყო. კობში მოგვიანებით გაიხსნა სკოლა-ინტერნატი.

ოსურმა მოსახლეობამ ყაზბეგის რაიონიდან ჩრდილოეთისკენ, ძირითადად ორჯონიკიძეში (დღევანდელ ვლადიკავკაზი), გადინება ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან დაიწყო; იქ არსებული ხელსაყრელი ყოფითი პირობები არა მარტო ოს, არამედ ქართველ მოსახლეობასაც იზიდავდა. ის იყო დედაქალაქი, ახლოს იყო ყაზბეგის რაიონის სოფლებიდან, აქ ადვილი იყო სამსახურის შოვნა, სწრაფი სამედიცინო დახმარების მიღება და ხელსაყრელი სავაჭრო კავშირების დამყარება. მოსახლეობის მიგრაციის მიზანი, უკეთესი ცხოვრების მოწყობა იყო. მათ მიგრაციას თავდაპირველად სეზონური ხასიათი ჰქონდა, ზამთარში ჩრდილოეთ ოსეთში, ზაფხულში კი ყაზბეგის რაიონში მიდიოდნენ. ჩრდილოეთ ოსეთში საცხოვრებლად ქართველებიც გადადიოდნენ. იმის გამო, რომ მათ არსებობაც და საქმიანობაც ორივე მხარეს უწევდათ, ყაზბეგის რაიონის ქართველებისა და ოსების უმრავლესობას სახლები ჩრდილოეთ ოსეთშიც ჰქონდა; ყაზბეგის რაიონის ქართველები ვლადიკავკაზის საშუალო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებელებში სწავლობდნენ, ნაწილი იქ მუშაობდა კიდეც. საბჭოთა პერიოდში ქართველთა და ოსთა ინტენსიურ სოციო-ეკონომიკურ და კულტურულ კომუნიკაციას განსაკუთრებით უწყობდა ხელს საზღვარზე თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა. იქმნებოდა ეთნიკურად შერეული ოჯახები, რაც კიდევ უფრო აჩქარებდა ამ ხალხთა ინტეგრაციას, შესაბამისად, ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს.

ეთნიკურად შერეულ ოჯახებში ადგილი ჰქონდა კულტურულ ელემენტთა დიფუზიას, ორივე მხარე კარგად ეცნობო-

და ერთმანეთის ტრადიციებს, ღირებულებებს, ქცევის ნორმებსა და ენას სწავლობდა. ასეთი ოჯახის შვილები ბილინგვები და ორივე კულტურის მატარებლები ხდებოდნენ. ეს ვითარება ქმნიდა ორივე მხრიდან ნათესავების და მოკეთეების ურთიერთობის პრეცედენტს. ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ ნათესაური და ოჯახური თავყრილობების (ნიშნობა, ქორწილი, ნათლობა, დაბადების დღე, რელიგიური დღესასწაულები, დაკრძალვა, მიცვალებულის ხსოვნის დღეები და სხვ,) დროს, სადაც სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა წარმომადგენლები ურთიერთობდნენ უკვე, როგორც ნათესავები და ახლობლები . შერეული ქორწინებების სიხშირე ქართველთა და ოსთა პოზიტიურ ინტერკულტურულ კომუნიკაციას უწყობდა ხელს, რისი შედეგიც ყოფითი და სოციო-კულტურული ტრადიციების მსგავსებაში, საზიარო რელიგიური კულტების და საერთო სალოცავების ქონაში იჩენდა თავს. ოსები დღემდე ჩადიან ხევში თავიანთ სალოცავებში რელიგიურ დღესასწაულებზე.

ოსების ჩრდილოეთით მიგრაციამ ინტენსიური ხასიათი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ 1990-იანი წლების დასაწყისისთვის მიიღო. საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ, ყოფითი ინფრასტრუქტურის ძირეულად მოშლისა და სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების ფონზე, კობელი და თრუსოელი ოსები მასიურად გადავიდნენ საცხოვრებლად ყაზბეგიდან ჩრდილოეთ ოსეთში, უმეტესად ორჯონიკიძეში; ორჯონიკიძე არა მარტო მათთვის, არამედ ყაზბეგის ქართველებისთვისაც უკეთესი ცხოვრების აწყობის ერთ-ერთი გზა იყო. ბუნებრივია, რომ ყაზბეგის რაიონის ოსური მოსახლეობისთვის ორჯონიკიძის პირობები გაცილებით სახარბიელო იყო, ვიდრე ინფრასტრუქტურამოშლილი თრუსოსი და კობისა. მიგრაციული პროცესები ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა (1991-1992) დააჩქარა, თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ყაზბეგის ოსების მიგრაციას ეთნიკური საფუძველი არ ჰქონია.

ჩრდილოეთ ოსეთში 1991-1992 წლის ქართულ-ოსური კონ-ფლიქტის შემდგომ იქაური ქართველი მოსახლეობა ე. წ. სამ-ხრეთ ოსეთიდან ორჯონიკიძეში გადასული ოსების აგრესიის ობიექტად იქცა. სამხრეთელი ოსები პირდაპირ აიძულებდნენ ქართველებს ვლადიკავკაზი დაეტოვებინათ. რეალურადაც, ბევრმა დატოვა მაშინ ჩრდილოეთ ოსეთი და სახლები ვლადიკა-ვკაზელმა ქართველებმა და თბილისელმა ოსებმა ერთმანეთს გაუცვალეს. მაგრამ ამ დაპირისპირებაში ადგილობრივი ოსები ყოველთვის ქართველი მეზობლების დასაცავად იყვნენ მომარ-თული.

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით საქართველოსა და ჩრდ. ოსეთის მოსახლეობა ერთმანეთზე იყო დამოკიდებული, აქედან ოსეთი ძირითადად სოფლის მეურნე-ობის (მეცხოველეობა, სასათბურე მეურნეობა) პროდუქციით მარაგდებოდა, იქედან კი უამრავი სხვა საქონელი შემოდიოდა. ეს ერთიანი სივრცე იყო, რომელსაც, გარდა ტერიტორიული სიახლოვისა, სოციო-კუტურული და ეკონომიკური სიახლოვეც ძალზე მჭიდროდ კრავდა, ანუ ეკონომიკური ვექტორი ორჯონ-იკიძეზე გადიოდა. მიგრაციული პროცესები შემდგომაც გაგრ-ძელდა და, შედეგად, თრუსოს ხეობისა და კობის ქვაბულის ოსურ სოფლებში მუდმივად თითო-ოროლა ასაკოვანი ადამიანი იმყოფებოდა.

როდესაც 2000 წელს რუსეთმა საქართველოს მოქალაქეები-სთვის სავიზო რეჟიმი შემოიღო, რუსეთ-საქართველოს ჩრდი-ლოეთ საზღვარზე ორმხრივი მიმოსვლა ისევ გრძელდებოდა, ადგილნაცვალი მოსახლეობა კვლავ თავისუფლად კვეთდა საზ-ღვარს, პერიოდულად ჩამოდიოდა ხოლმე მიტოვებულ სოფ-ლებში და თავიანთთვის ხელსაყრელ საქმიანობას ეწეოდა; ყაზ-ბეგის რაიონის მოსახლეობას საზღვრის გადაკვეთა სპეციალ-ური საშვების დახმარებით შეეძლო; ტრადიციულად არსებული ეკონომიკური და სხვა ტიპის ურთიერთობები შენარჩუნებული

იყო და ცხოვრებაც ასე თუ ისე თავის კალაპოტში მიედინებოდა. მაგალითად, ოსები თავიანთ რელიგიურ დღეობებზე, წინაპრების საფლავების მოსანახულებლად, ნათესავ-მეგობრებთან სტუმრად ჩამოდიოდნენ. თრუსოელ ოსებს კვლავ გადმოჰყავდათ ზაფხულობით საქონელი საძოვრებზე და თავიანთ მიტოვებულ სახლებში ჩერდებოდნენ.

სიტუაცია გართულდა 2006 წლის შემდგომ, როდესაც რუსეთმა ქართულ პროდუქციაზე ემბარგო დააწესა და ჩაკეტა რუსეთსა და საქართველოს შორის აღნიშნულ სასაზღვრო ზოლში არსებული ერთადერთი ლეგალური სასაზღვრო გამშვები პუნქტი (ლარსი), რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ქართველთა და ჩრდილოეთ ოსთა კომუნიკაციის ტრადიციული ფორმა. უპირველეს ყოვლისა, საზღვრის საპირისპირო მხარეებზე ახლო ნათესავები, ახლობლები და მეგობრები აღმოჩნდნენ, რომელთაც ურთიერთმიმოსვლის შესაძლებლობა მოესპოთ. მეორე მხრივ, ქართველმა გლეხმა დაკარგა გასაღების რუსული ბაზარი. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ ვითარება გაუარესდა.

2010 წელს ლარსის სასაზღვრო პუნქტი გაიხსნა, მაგრამ ქართველი მოსახლეობისათვის საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული წესები, კვლავ ძალაში დარჩა. ეს წესები განსხვავებულია ქართველებისა და ოსებისათვის/რუსეთის მოქალაქეებისთვის: ოსებს აქვთ საზღვარზე თავისუფლად გადაადგილების უფლება, მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქე ოსეთში ვიზის გარეშე ვერ შედის.

უკანასკნელი პერიოდის ქართულ რეალობაში აშკარად გამოიკვეთა, რომ რუსეთი თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის ბრძოლაში ერთ-ერთი სერიოზულ გათვლას ოსურ ფაქტორზე აკეთებს. ქართულ-ოსური კონფლიქტის კონტექსტში რუსეთთან ასოცირდება ჰიბრიდული ომი, რომელსაც დღეს რუსეთი საქართველოში თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად

ჩრდილოეთ ოსეთის მოსაზღვრე საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ხელში ჩაგდების მერე, რუსეთმა ახალ სამიზნედ საქართველოს ყაზბეგის რაიონი დაისახა და ამჯერად, მისი ოსური მოსახლეობის და მათი ტერიტორიების თემატიკით მანიპულირებს. ყაზბეგის რაიონში ქართულ-ოსური ურთიერთობის თავის იარაღად ქცევისათვის რუსეთი სულ უფრო ეფექტიანად იყენებს საინფორმაციო ომსა და პროპაგანდას.

ოსურ/რუსულ მედიასაშუალებებში და სოციალურ ქსელებში 2008 წლის ომის შემდგომ მუსირებს თემა თრუსოს ხეობის, კობის ტაფობის და ხევი-ყაზბეგის ისტორიულად ოსეთის კუთვნილების შესახებ, ძალზე გააქტიურდა ოსეთისთვის ამ ტერიტორიების დაბრუნების საკითხი. ამ პრობლემის გააქტიურება უშუალო კავშირშია ვლადიკავკაზში არსებულ რამოდენიმე ანტიქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციის, კერძოდ, „დარიალის“, „გაერთიანებული ოსეთისთვის“ და „ყაზბეგის“, საქმიანობასთან, რომლის პროგრამაშიც ე. წ. ცენტრალური ოსეთის ანუ ყაზბეგის რაიონის „დაბრუნება“ შედის. ნათელია, რომ ასეთი ორგანიზაციების პროპაგანდისტული საფუძველი არის გაყალბებული ისტორია, ანტიქართული რიტორიკა და საზღვრების ახალი დემარკაციის სურვილი.

ოსური/რუსული მედია გაყალბებული ისტორიის და გამოგონილი ფაქტების მოშველიებით ქართულ მხარეს ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებს და ამით ნიადაგს ამზადებს რუსეთის მომავალი გეგმებისათვის. ქართული მედიის წარმომადგენლებს არც თუ ისე ხშირად მოჰყავთ მეცნიერულად გამყარებული კონტრარგუმენტები. ისინი ძირითადად ფაქტების კონსტატაციით იფარგლებიან. ქართულ მედიაში ქართულად გაჟღერებული ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი რუსულენოვანი აუდიტორიისთვის. ის იშვიათად ითარგმნება რუსულ ან ინგლისურ ენებზე და არც სამეცნიერო ხასიათის წერილები არ არის რუსულ ენაზე სათანადოდ წარმოდგენილი. საკითხებზე

მსჯელობა ქართულ მხარეს დიდწილად ქართულ ენაზე უხდება, ოსური მხარე კი, ძირითადად, რუსულად ახდენს ინფორმაციის გავრცელებას. ამიტომ, იმის გამო, რომ ბევრად დიდი აუდიტორია ჰყავთ რუსულენოვანი მომხმარებლის სახით, საინფორმაციო ომში მათ თავიდანვე მოგებულის პერსპექტივა აქვთ.

ყაზბეგის ქართულ მოსახლეობას ძალიან დიდ პრობლემას უქმნის საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები – მათ ვიზის გარეშე არ შეუძლიათ გადაკვეთონ საზღვარი. ამის გამო, ისინი გამოსავალს ორმაგ მოქალაქეობაში ხედავენ. მოხევეთა ერთი ნაწილი, რუსეთის საზღვრის თავისუფლად გადაკვეთის შესაძლებლობისთვის არჩევს, რომ ორივე ქვეყნის პასპორტი ჰქონდეს, რასაც საჭიროების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენებს.

ჩვეულებრივ, ორმაგი მოქალაქეობის გაცემა ყაზბეგის მოსახლეობისთვის საქართველოს პრეზიდენტ მ. სააკაშვილის პერიოდში შემოიღეს. საქართველოს მოქალაქეობა პრეზიდენტის თანხმობით ეძლეოდათ ორჯონიკიძეში მცხოვრებ ყაზბეგელებს, რათა მათ შეძლებოდათ საზღვარზე მარტივად გადასვლა და თავიანთ კუთხეში დაბრუნება. საზღვარზე მიმოსვლის გარდა, ორმაგ მოქალაქეობას მათთვის კიდევ ერთი უპირატესობა აქვს, რაც რუსული პენსიის მიღებაში მდგომარეობს. რუსული პენსიის გულისთვის, საპენსიო ასაკის საქართველოს მოქალაქეები მიდიან და ეწერებიან ვლადიკავკაზში. რუსეთი ასეთ ინდივიდებს ძალიან მარტივად აძლევს პასპორტებს, ვინაიდან მას საკუთარი შორსმიმავალი გეგმები გააჩნია. ასეთ შემთხვევაში, ეს ადამიანები პენსიას იღებენ რუსეთშიც და არალეგალურად საქართველოშიც. რუსეთს ხელს აძლევს, თავისი მოქალაქეები ჰყავდეს დასაყრდენად იმ ტერიტორიაზე, რომელიც მისი პოლიტიკური ინტერესების ობიექტივშია; რუსეთს შეუძლია საქართველოში შემოიყვანოს თავისი მოქალაქეები, მოაწყოს რაიმე ტიპის პროვოკაცია და მერე, თავისი მოქალაქეების დაცვის მიზნით, დაი-

წყოს რადიკალური ქმედებები, ჯარის შემოყვანის ჩათვლით. ფაქტია, რომ ყაზბეგის მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, ყაზბეგის მოსახლეობის მიმართ წლების წინ დაწყებული რუსული ანექსიის ფორმაა, რომელიც ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ ტაქტიკად გვევლინება.

ყაზბეგის რაიონში თავისი ინტერესების გასატარებლად რუსეთი ასევე იყენებს პროვოკატორებს. მათი ძირითადი მოღვაწეობა ქართული და ოსი მოსახლეობის დაპირისპირების ინსპირირებაში მდგომარეობს.

ჰიბრიდული ომში რუსეთის მთავრობა თავისი სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად, ბოლო დროს უპირატესობას სულ უფრო აქტიურად ანიჭებს ეკონომიკურ ბერკეტებს. რუსეთთან საქართველოს ყველაზე ძლიერი ეკონომიკური კავშირები ვაჭრობისა და ფულადი გზავნილების არხების მეშვეობით ხორციელდება. ყაზბეგის მოსახლეობასთან მიმართებაში, პირველ რიგში, ეს გამოიხატება ქართველებისთვის ჩრდილოეთისკენ თავისუფალი მიმოსვლის და, შესაბამისად, მათთვის სავაჭრო საქმიანობის შეზღუდვაში, რასაც ტრადიციულად ეწეოდნენ საზღვრის ორივე მხარეს მოსახლე ოსები და ქართველები. დღეს, შეზღუდულად, მაგრამ ქართველები მაინც ახერხებენ ჩრდილოეთ ოსეთში სავაჭროდ შესვლას, საქონლისა და პროდუქტების ყიდვას და ყაზბეგის რაიონის მაღაზიების მომარაგებას, რაც ისევ რუსული პასპორტების მეშვეობით ხორციელდება. ყაზბეგის რაიონის ოსებთან მიმართებაში კარგად გამოჩნდა, რომ თავისი ზრახვების განსახორციელებლად, რუსეთი ყველა შესაძლო მთოდს იყენებს – საინფორმაციო ომს, რომელიც შეთხზულ ამბებზე, ისტორიისა და რეალური ფაქტების დამახინჯებაზეა ორიენტირებული, პროვოკაციებს, პასპორტიზაციას და ეკონომიკურ ბერკეტებს.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2016-20120 წწ. განვითარების სტრატეგიაში, განსაკუთრებული ადგილი ტურიზმს უჭირავს,

2017 წელს შემუშავდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბრენდინგის სტრატეგია. შედგა ადგილობრივი მომსახურებების, პროდუქტების და ღირსშესანიშნაობების ჩამონათვალი, რათა მომხდარიყო კონკრეტული მიმართულებების კომერციალიზაცია და გაერთიანება ერთიანი ბრენდის ქვეშ, მათი აუთენტურობის შენარჩუნებით. აღნიშნულ სტრატეგიაში ჩართულია მთლიანი რეგიონის სპეციფიკა აქ მოსახლე ოს ეთნოსთან ასოცირებულ კულტურის ელემენტთა და ღირსშესანიშნაობათა, ასე ვთქვათ, „ოსური სივრცეების“ გათვალისწინებით. ყაზბეგის ღირსშესანიშნაობების ბრენდის სიაშია თრუსოს ყველი, თრუსოს ხეობის რამდენიმე უნიკალური მარშრუტი, რომლებიც ნაკლებადაა განვითარებული, აბანოს ბუნებრივი ტბა, რომელიც „წითელ წიგნშია“ შეტანილი, თრუსოს ტრავერტინების ბუნების ძეგლი, თრუსოს ხეობის სოფლები – ნასოფლარები. და კობის სამთო-სათხილამურო ტურისტული ქალაქი. სოფ.კობში დაგეგმილია კობი-გუდაურის დამაკავშირებელი 7 კილომეტრნახევრიანი საბაგიროების ინფრასტრუქტურის შენება, რომელიც ყაზბეგი-კობი-გუდაურის ერთიან სათხილამურო სივრცეს შექმნის. ჰიბრიდული ომის პირობებში, როდესაც ოსებს/რუსებს პრეტენზია აქვთ ყაზბეგის რაიონის იმ ტერიტორიებზე, სადაც ოსები ცხოვრობდნენ რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების და ყაზბეგის ბრენდინგის არსებულმა სტრატეგიამ შესაძლებელია გარკვეული პრობლემები წარმოშვას. ეს პრობლემები უშუალოდ უკავშირდება ყაზბეგის რაიონის ოსურ დასახლებებში მიწების საკუთრების საკითხს.

მიწის რეგისტრაციის საკითხი ზოგადად კვლავ გადაუჭრელია ყაზბეგში, ისევე როგორც მთელ საქართველოში. ის მარტო ოსების სამოსახლოსთან დაკავშირებული პრობლემა არაა; მსგავს სიტუაციას მოხევეთა სოფლებშიც ვაწყდებით. ყაზბეგის რაიონიდან ჩრდილოეთ ოსეთში გადასულ ოსების ნაწილს კობ-

ში მიწა არ აქვთ დარეგისტრირებული. ისინი მიწის და სახლების დაკანონებას ვერ ახერხებენ, იმიტომ, რომ კობის მიწები, რაც რუკაზე არ იყო დატანილი, სახელმწიფომ თავის ბალანსზე აიყვანა. საჭიროა სასამართლოში დავა და საკუთრების უფლების მოპოვება. ეს სწორედ ის მიწებია, რომლის ათვისებასაც ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში აპირებენ. კობის ტურისტულ ქალაქად ქცევის პერსპექტივამ და აქედან სარგებლის (მიწის გაყიდვა ან საკუთარი სახლის მოწყობა) მიღების სურვილმა, შესაძლოა კობიდან ჩრდილოეთში მიგრირებულ ოსებს, ვინ მიწის საკუთრების გაფორმებასთან დაკავშირებით წინააღმდეგობები ხვდება გარკვეული ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგოს. პოლიტიკურად დაძაბულ დღევანდელ ვითარებაში, როდესაც ოსეთს/რუსეთს ყაზბეგის რაიონის დასაკუთრების ინტერესი გააჩნია, შესაძლებელია კობისა და თრუსოს მიწების პრობლემამ მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნას მომავალში.

რუს ექსპერტთა ვარაუდით, 1990-იანი წლების ქართულ-ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის ომს სერიოზულად უნდა შეეშალა ხელი მეზობლებს შორის მეგობრული და საქმიანი კონტაქტების ქონაში. თუმცა, ჩრდილოეთ ოსეთი კვლავ უკავშირდება მეზობელ ქვეყანას, აქტიურად ავითარებს ტურიზმს, ვაჭრობასა და ინარჩუნებს უწყვეტ ოჯახურ კავშირებს. საქართველო დომინირებს იმ ქვეყნების სიაში, რომელთანაც ჩრდილოეთ ოსეთი საგარეო ვაჭრობას ახორციელებს. დღეს ჩრდილოელი ოსები (და ასევე სამხრეთ ოსეთიდან ჩრდილოეთში კონფლიქტის შემდეგ დევნილი ოსები) საქართველოში ან საქართველოს გავლით ვაჭრობენ. მათთვის უფრო ადვილია თავიანთ მშობლიურ ადგილებში წასვლა, სადაც ისინი კვლავაც ინარჩუნებენ ურთიერთობას და მეგობრულ კავშირებს. ეს კონტაქტები ხელს უწყობს ერთობლივი ბიზნესის წარმოებას. რუსეთიდან ბევრი ყიდულობს უძრავ ქონებას საქართველოში, საკურორტო ზონაში, რაც რუს ექსპერტებს ურთიერთობების აღდგენად მიაჩნიათ.

კვლევამ წარმოაჩინა, რომ ყოფით დონეზე ჩრდილოელი ოსების და ქართველების ინტერპერსონალური ურთიერთობა ისეთივე პოზიტიურია, როგორც ადრე. მათი ურთიერთდამოკიდებულება კვლავ საუკეთესოა, ოსთა ჰეტეროსტერეოტიპი უმეტესწილად დადებითი ხასიათისაა და მათ შორის დადებითი სოციალური განწყობა არსებობს. ამდენად, იმ ვითარების შესაქმნელად, რასაც რუსული მხარე ეშურება, ანუ, ქართველებსა და ოსებს შორის შუღლის ჩამოგდებას, ამ ეტაპზე ეთნოფსიქოლოგიური ნიადაგი არ არსებობს; ეს არის პოლიტიკური რუსული სცენარი, რომელიც მხოლოდ რუსული სამხედრო ძალის ჩარევით თუ მიიღწევა.

OSSETIANS OF KAZBEGI REGION IN THE CONTEXT OF GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS

SUMMARY

The book is written within the framework of the project:"Perspectives of Georgian-Ossetian relations in Kazbegi region" financed by the Rustaveli National Science Foundation. The urgent need of scientific study of Georgian-Ossetian relations in Kazbegi region was conditioned by recent events developed in our country, when after occupation of Tskhinvali and Akhalgori regions by Russia in 2008, Kazbegi region appeared in the sphere of keen interest of the Russian/Ossetian politicians, who declared a claim on the territories of Ossetian settlements located there. The campaign for accetion of Kazbegi region to North Ossetia started in the Repunlic of North Ossetia-Alania (Areshidze 2009).

The book deals with the present day situation of the region. It analysis the role of traditional life and culture, social systems, political and economic institutions in establishment of Georgian-Ossetian relations; it determines the perspectives of these relations and the related anticipated threats.

The target area is bounded to the south-east by Dusheti municipality, to the south by Akhalgory and to the west by Java regions - the de facto South Ossetian territory, and to the north by the Republic of North Ossetia-Alania, the subject of the Russian Federation. Some decades ago there still were compact Ossetian settlements in Kobi and Truso gorge of Kazbegi municipality. This geographical area was once inhabited by Kartvelian tribes Dvals and was under the Georgian kingdom. Dvals, under the pressure of Ossetian tribes from the North escaped to the south

and Ossetians gradually occupied their territories; Ossetians assimilated Dvals and settled in the historical territory of Georgia. Georgian scientists, ascribe the appearance of Ossetian settlements in Truso Gorge to the 17th -18th centuries. The majority of Municipality's population for today is Georgians (mainly Mokheves).

Georgian-Ossetian relations have centuries old tradition in Kazbegi region. Although, the Ossetian settlements there were mono-ethnic and compact, the social and economic relations of the Soviet period between Georgians and Ossetians linked them very tightly. They were not only used to cooperate and had very close friendly relations, but got married, had baptismal bonds which passed over generations. Such relations continued to maintain even after Ossetians immigrated to North Ossetia.

Migration of Ossetian population from Kazbegi region to north started from the 1970s; profitable living conditions of North Ossetia attracted not only Ossetians but the Georgian population too. It was easier to get work, trade, receive education etc. there. Thus, the purpose of people's migration was to arrange a better life. Their migration initially had a seasonal character. In winter they stayed in North Ossetia and spent summer in Kazbegi region. Georgians also migrated to North Ossetia for living. The majority of Georgians and Ossetians of Kazbegi region possessed houses in North Ossetia (mainly in Ordzhonikidze, present day Vladikavkaz) as they had to live and work on both sides of the border. Georgians of Kazbegi region received education at schools and higher institutions in Vladikavkaz and part of them even worked there. Opportunity to freely pass the borders in Soviet period created particularly favorable conditions for the intensive social-economic and cultural communication between Georgians and Ossetians. Existence of ethnically mixed families promoted integration of these ethnic groups and correspondingly engendered mutual respect and love. The fact, that almost every Georgian family had Ossetian son-in-laws or daughter-

in-laws and vice versa, promoted positive intercultural communication and inter-ethnic attitudes. generally, in case of mixed marriages when diffusion of cultural elements is unavoidable, both sides get to know better each others traditions, values, behavioral norms and learn each others languages. This happens with their children, too, who as a rule are bilinguals and are both culture carriers. The kinship context sets up relationship between the relatives of a couple; they meet each other at a family gatherings (wedding, baptism, religious holidays, birthday, funeral, commemorations, etc.), where the reprsentatives of different ethnic groups interact already as kinsmen. This is a direct way to ethnic tolerance.(Jalabadze 2016)

By the early 1990s, after the break down of the Soviet Union, Ossetians' migration to north acquired intensive character, which was accelerated by the Georgian-Ossetian conflict (1991-1992); it's worth mentioning, that Ossetians' migration from Kazbegi region was not ethnically motivated.

Georgian and North Ossetian population were interdependent. They were tied tightly, not only due to the territorial factor but by social-cultural affinity as well. North Ossetia was supplied from Georgia with agricultural products (cattle breeding, green house), and multiple goods were imported from there. Besides economic interests in North Ossetia, the interest of Georgians was also caused by medical problems.

Respondents from Khazbegi region claim that `Georgians of Kazbegi went shopping to Orjonikidze. The distance from Kazbegi to Orjonikidze was short, much closer than to Tbilisi, it was 40 minutes drive. Russian goods were cheaper and even better.Georgians went there to buy some products in the morning and returned back by the evening. Besides, in winter the pass was closed and the only possibility to contact with the civilized world was Orjonikidze. Because of the absence of a modern hos-

pital in the region, those who fell ill or were in need of surgery were taken to North Ossetia, `" (Author's field material, Kazbegi 2017)

For the recent period, in the reality of Georgia it became evident that Russia counts upon the Ossetian factor for its political interests. In the context of the Georgian-Ossetian conflict hybrid war is associated with Russia, which it applies for achieving its private political interests in Georgia. Kazbegi region became a new target for Russia after annexation of the part of the Georgian territory bounding North Ossetia, and on this occasion manipulates with Ossetian population and their territories. The questions arise: what place do the Georgian-Ossetian relations occupy today in the Russian theory of Hybrid war and how does it use as one of its targets in Kazbegi region. Russia, among the main levers of pressure in hybrid war manages to apply much more effectively informational war and propaganda.

Since the war of 2008, the question of territories of Truso gorge, Kobi and Khevi-Kazbegi , deliberated as the primary Ossetian property, is being the current topic of Ossetian/Russian media and social media propaganda. The issue of returning these territories to Ossetia has been greatly activated. Activation of this topic is directly linked to the activities of several anti-Georgian social organizations, namely `Dariali", `For united Ossetia" and `Kazbegi" established in Vladikavkaz; their program envisages returning back of `Central Ossetia" i.e. Kazbegi region. It is obvious that propagandist activities of such organizations are based on falsified history, anti-Georgian rhetoric and desire to demarcate new borders.

The Ossetian /Russian media on the basis of falsified history and apocryphal facts launch territorial claims to the Georgian party and thus paves the way for future plans of Russia. The representatives of Georgian media less commonly bring historically proved counterarguments; they usu-

ally give the statements of facts. Information announced in the Georgian language by the Georgian media is not accessible for Russian-speaking audience. It is seldom translated into Russian and English and even scientific articles are not duly translated into the Russian language. Discussion of problems by Georgian side proceeds mainly in the Georgian language while Ossetian side basically spreads information in Russian. Therefore they possess much wider Russian-speaking audience and have perspectives to be the winners in the informational war.

The situation complicated since 2006 when Russia imposed food embargo on Georgia and closed the only legal border check-point Larsi between Georgia and Russia. This situation considerably changed the traditional form of Georgian-North Ossetian communication. Above all, it kept relatives on both sides of the border apart. According to the Kazbegi residents `the loss of the Russian market caused the loss of the main source of income for the Georgian farmer who previously traveled to Russia without a visa, brought his own harvest for realization and his family with the earned money in winter".

The Georgian population of Kazbegi has a problem of crossing the Georgian-Russian border.Today the rules of entry into the States are different for Georgians and Ossetians; Ossetians (and generally the citizens of Russia) have the right of free movement across the border, while Georgians cannot go to Ossetia without a visa. For the population of Kazbegi region due to territorial proximity Vladikavkaz traditionally remains a quick way to receive rapid medical care, develop favorable trade relations and easily get a job. Kazbegi population is discouraged by today's situation:" While the Russian border is closed for us, Ossetians of Russia come and make money here. They carry people on their cars, take the goods and lots of other things from Kazbegi and sell there! People from Khevi want to go freely to North Ossetia, as it was before" .

Acquisition of double citizenship to Kazbegi population was introduced in times of Saakashvili's presidency. The citizenship of Georgia was admitted to Kazbegians living in Ordzhonikidze, to allow them freely cross the border and return to their homeland. Besides passing the boarder, the dual citizenship has one more advantage for them, which is stated in getting the Russian pension. For the sake of the Russian pension, Georgian citizens having retirement age move to Vladikavkaz and register on the place of stay. Russia, having its own far-going plans, allows easily such individuals to get passports there. In such case, these people receive pensions in Russia and illegally in Georgia too. It's helpful for Russia to have its citizens as trusted supporters on the territory which is in the focus of its political interests; in this way, it manipulates with people and the situation created in the region as well. It is a kind of annxation and one of the constituent tactics of the Russian Hybrid war.

Concerning the issue of double citizenship, alarming information was published in one of the Georgian newspapers recently, that the Russian State Duma was preparing a shameless bill on the mass distribution of Russian passports to the citizens of the former Soviet republics, who more or less know the Russian language. They even do not hide in Russia that it will be a kind of annexation, and this method has already been proved in Abkhazia and South Ossetia.

For achieving its geo-strategic goals Russia engages provocateurs mainly of Ossetian ethnisc origin. Their main activities imply inspiration of confrontation between Georgian and Ossetian population. Lately, the official Moscow have given advantage more actively to economic levers for achieving its strategic objectives in the hybrid war. In relation to population of Kazbegi, primarily it is manifested in limiting the free communication to the north and correspondingly restricting trading activities for them, which was the main business of Ossetians and Georgians, living in both sides of the border line. Under the limited conditions, Geor-

gians manage however to enter into Vladikavkaz and purchase goods and products for provision of markets in Kazbegi region. 100 kg of goods are not the subject to formal customs clearance; Mokheves even cross the border 2 or 3 times a day and supply their shops in Kazbegi district

Georgian-Ossetian relations in Kazbegi region has become the target of the Russian hybrid war since the war of 2008. For annexing of the Georgian lands Russia applies all the possible methods: the informational war which is oriented on: deliberately fabricated stories; disfiguring the history and real facts; provocations, passportization, economic levers etc.

In 2016- 2020, tourism occupies particular place in the strategy of development of Kazbegi Municipality. In 2017, the branding strategy of Kazbegi municipality has been elaborated. The list of local services, products and sightseeing was composed, in order to accomplish commercialization and unification of concrete trends, by maintaining their authenticity, under the same brand. The whole specifics of the region with the cultural element, associated with Ossetian ethnos living here, and Ossetian spaces are the parts of the mentioned strategy, for example: Cheese of Truso, several unique less developed routs of Truso gorge, villages, ruined dwellings, Kobi mountain-skiing touristic town. It is planned to construct in Kobi the infrastructure of 7km long ropeway connecting Kobi with Gudauri, which will create the united Kazbegi-Kobi-Gudauri skiing space.

In general, the question of land registration remains to be a problem in Kazbegi, like in whole Georgia. It is connected not only with Ossetian settlements; the similar situations are in the Georgian villages, too. But in the politically tense present day situation, when the Ossetians/Russians have the interest in appropriation of Kazbegi region, the land problem in Kobi and Truso may evoke significant problems in Future. The strategy of development of touristic infrastructure in the region and branding

strategy of Kazbegi can evoke definite problems under the conditions of hybrid war, when Ossetians/Russians claim for the territories where Ossetians used to live in Kazbegi region. These problems are directly linked with the question of land ownership in Ossetian settlements of th. region under study.

Some Russian experts believe that the Georgian-South Ossetian conflicts of the early 1990s and the 2008 August War could have strongly prevented neighbors from having friendly and business contacts. But still it is not quite so. North Ossetia continues to be linked with the neighboring country actively developing tourism, trade and uninterrupted family ties. Georgia dominates in the list of the countries with which North Ossetia conducts foreign trade. Today North Ossetians (included those South Ossetians who migrated there after the first conflict) are involved in trade with or through Georgia. It is easier for them to go to their native places where they still retain both relationship and friendly ties. These contacts in many ways help to lead a joint business. According to the view of the director of a Vladikavkaz Touristic firm, `a lot of our local people buy real estate in Georgia, in the resort area. This speaks of a recovering relationship `.

North Ossetians and Georgians have still maintained positive relations as in old times. Though Russia deliberately tries to create environment to hot up hostility between Georgians and Ossetians, ethnic heterostereotypes are mostly positive and there is a positive social attitude between them. Thus, the conflict on ethnic bias in the region due to the deficiency of ethno-psychological basis could not be triggered. Presumably the clearly the political scenario of Russia, could be achieved only through Russia's military forces.

ლიტერატურა:

1. აბესაძე ე., ვისი მიწაა თრუსოს ხეობა და რა სურთ სეპარატ-ისტებს, 2014, http://www.for.ge/view.php?for_id=36955&cat=3

2. აბულაძე ა. „კონფლიქტის ახალი ფორმა დ ჰიბრიდული ომი“, მარ-ტი, 2016, http://yata.ge/ge/?p=691

3. ავალიშვილი ლ., ლომთაძე გ. და ქევხიშვილი ს. კრემლის საინ-ფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა. 2016, https://idfi.ge/public/upload/Meri/Russian%20Propaganda%20in%20Georgia%20-%20Policy%20Paper.PDF

4. ბასილაია ე. დაპირისპირება ვლადიკავკაზელ და ცხინვალელ ოსებს შორის ქართველების კონცერტის გამო, გაზ. რეზონანსი 24.03.2016; 12/29/2009 http://kardu-order.blogspot.com/2009/12/blog-post_1976.html; https://matsne.gov.ge/ka/document/view/2907719

5. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, თბ. 1979

6. ბოგიშვილი დ., ოსეფაშვილი ი., გავაშელიშვილი ე., გუგუშვილი ნ. ქართული ეროვნული იდენობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია, თბილისი 2016

7. გამყრელიძე ბ. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან (ეთნონომების „ოსი” და „დვალი”-ს მიმართების საკითხისათვის). „საისტორიო ძიებანი”, I, თბ., 1998

8. გვასალია ჯ. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფი-ის ნარკვევები შიდა ქართლი, თბ.1983

9. გვრიტიშვილი დ. დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მიმომხილველი, I, თბ.1949

10. გუმბერიძე ნ. ერები და ნაციონალური ბრენდინგი დოქტორის აკ-ადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, 2016, გვ. 8

11. ვარდიაშვილი მ. რეპორტაჟი თრუსოს ხეობიდან, 2012; http://www.icmm.ge/ka/site/articles/2199/reportaJi-Trusos-xeobidan-(Photos--Videos).htm

12. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა [რედ.-შემდგ.: კობა ხარაძე]. თბ., 1991

13. თარგამაძე გ. თანამედროვე მასმედიის როლი საზოგადოების კონსოლიდაციაში, ინტელექტუალი, 2010, №1 http://www.nplg.gov.ge/

14. თოგოშვილი გ.[1] ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბილისი, მეცნიერება, 1977

15. თოგოშვილი გ.[2] ხაბალაშვილი ი., ოსეთის მოსახლეობა (მოკლე ისტორიულ-დემოგრაფიული მიმოხილვა) ირისთონი, ცხინვალი 1983

16. თოფჩიშვილი რ.[1] ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბ. 2008

17. თოფჩიშვილი რ.[2] დვალეთი და დვალები, უნივერსალი, თბილისი, 2016

18. თოფჩიშვილი რ.[3] კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა სალექციო კურსი თბილისი, 2007

19. თოფჩიშვილილ რ.[4] „ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია" ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში, უნივერსალი, თბილისი, 2016

20. თრუსოს ხეობისა და ყაზბეგის რაიონის დაკარგვის საფრთხე რეალურია

21. ითონიშვილი ვ. ალექსანდრე ყაზბეგი, თბილისი, 2006

22. ითონიშვილი ვალ. მოხევეების ყოფა-ცხოვრება, თბილისი 2015

23. ითონიშვილი ვახ. დვალებისა და დვალეთის შესახებ, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბილისი 1995

24. კახიშვილი ნ. 2016, ქართული ანსამბლის კონცერტი ვლადიკავკაზ-
ში აქციის ფონზე დაიწყო http://www.radiotavisupleba.ge/a/27637109.
html

25. ლომოური ნ. ოსთა საქართველოში ჩამოსახების ისტორიის ძირი-
თადი ასპექტები. 1992, ჟურ. „ცისკარი , №5

26. ლორთქიფანიძე ო. სეპარატისტთა პასუხად – ჭეშმარიტება,
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1991, 18 იანვარი

27. ლუკიანოვიჩი ქ. საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის სტრატე-
გიული გადასასვლელები და მათი როლი ქვეყნის უსაფრთხოება-
ში გეოპოლიტიკური და ისტორიული ანალიზი, სადოქტორო დის-
ერტაცია, თბილისი, 2015

28. მადუაშვილი გ. ეთნოკონფლიქტებიდან ოკუპაციასა და ანექსიამ-
დე, „ინტელექტუალი", 2010, №12, http://www.nplg.gov.ge/

29. მელაძე მ. ტურისტული პროდუქტის ფორმირების თავისებურებანი
საქართველოში, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2008, გვ. 14

30. მომავალ წელს კობი-გუდაურის დამაკავშირებელი 7-კილომეტრ-
ნახევრიანი საბაგიროების ინფრასტრუქტურის შექმნა დაიწყება
https://bpn.ge/ekonomika/27296-momaval-tsels-kobi-gudauris-damaka-
vshirebeli-7-kilometrnakhevriani-sabagiroebis-infrastruqturis-sheqm-
na-daitsyeba.html?lang=ka-GE

31. ნოზაძე მ. რუსეთი, ამჟამად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ანექსიას
ტოტალური პასპორტიზაციით შეეცდება. http://www.for.ge

32. ოთარაშვილი მ.[1], თრუსოს ხეობა არასოდეს ეკუთვნოდა საქართ-
ველოს, 2010, http://www.r esonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_
artc=1480

33. ოთარაშვილი მ.[2] რატომ ვერ ბრუნდებიან ყაზბეგელი ოსები თრუ-
სოს ხეობაში?, გაზეთი „რეზონანზი „ 02.03. 2012

34. პაპასკირი ვ. საკომუნიკაციო საშუალებები და საზოგადოება, ინ-
ტელექტუალი, 2010, №12. http://www.nplg.gov.ge/

35. პაპასკირი ლ. ვლადიკავკაზში საუკუნე-ნახევრის წინ აშენებული ქართული სკოლა დღესაც ფუნქციონირებს, გზა, 2016.22.08. http://gza.ambebi.ge/qveyana/istoriis-labirinthebi/3835-vladikavkazshi-saukune-nakhevris-tsin-ashenebuli-qarthuli-skola-dghesac-funqcionirebs.html

36. პარასტაევი ა. რატომ არ შეუშვეს კობელი ოსები საქართველოში? http://netgazeti.ge/news/225479

37. რუსეთს თვალი ყაზბეგის რაიონზე უჭირავს, http://expertclub.ge/portal/cnid__3733/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx

38. სააკაშვილი ნ., თარხან-მოურავი ი., ტაბიძე მ., ქუთათელაძე ნ. საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია გამომცემლობა „საქართველოს მაცნე", თბილისი, 2011

39. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. http://matsne.gov.ge

40. ქვეყნის სივრცითი მოწყობის პროექტის პრეზენტაცია http://gov.ge/print.php?gg=1&sec_id=434&info_id=57765&lang_id=GEO

41. სორდია გ. ოსები საქართველოში, მდგომარეობა 2008 წლის ომის შემდეგ, ECMI-ის სამუშაო მოხსენება № 45 სექტემბერი, 2009, უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)

42. ყაზბეგის განვითარების სტრატეგია 2016-2020:13 http://pin.ge/plugins_images/opportunities/kazbegi_local_development_strategy_lds_20162020_geo.pdf

43. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განვითარების პოტენციალის მიმოხილვა, საბაზისო კვლევა, 1 დეკემბერი 2015 (განახლებულია 2016 წლის 1 მარტს), http://pin.ge/plugins_images/opportunities/kazbegilag_pin_baseline_study_2016_geo.pdf

44. შამუგია ვ. კარგი საბაჟო და ცუდი გზა – საქართველოს სამხედრო გზაზე მოძრაობა ყოველწლიურად იზრდება, გაზ. რეზონანსი, 05.03.2014 http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=19374

45. ჩიქოვანი გ. დასავლეთ საქართველოში ოსთა ჩასახლების საკითხისათვის (რაჭა), კეკ, თბილისი, 2003

46. წიკლაური გ. მოსკოვი და „თრიალეთის ოსეთი" მომავალი კონფლიქტის ახალი კერები, http://expertclub.ge/portal/cnid__10984/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx

47. წულაძე ლ., ბერძენიშვილი ა. და სხვ. სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში, რეალური ვირტუალურის ძალაუფლება? (თვისებრივი კვლევივის ანგარიში), თბილისი, 2012

48. ჭიჭინაძე ზ. ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ღვაწლი და ამაგი მათზე, ტფილისი, 1916 (თბ. 1990)

49. ხაჩიძე ნ. რა პროვოკაციების მოწყობას გეგმავენ ივნისში თრუსოსა და კობის ხეობის მკვიდრი ოსები, 2010; http://tbiliselebi.ge/index.php?newsid=389

50. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ისტორიული რარიტეტები, თბ.1989

51. ჯალაბაძე ნ. ყაზბეგის საველე მასალები 2015 (ინახება ავტორთან)

52. ჯალაბაძე ნ. ყაზბეგის საველე მასალები 2016 (ინახება ავტორთან)

53. ჯალაბაძე ნ. ყაზბეგის საველე მასალები 2017(ინახება ავტორთან)

54. ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში, http://eugeorgia.info/ka/article/637/hibriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi/

55. ჰიბრიდული ომი და საქართველო, კვირის პალიტრა; https://www.kvirispalitra.ge/politic/24177-hibriduli-omi-da-saqarthvelo.html

56. Абаев В. И. Осетинский язык и фольклор, М. 1959

57. Аронсон Э. Общественное животное, Москва 1999

58. Блиев М. Южная Осетия в колизиях Росийско-Грузинских отношений, М., 2006

59. Ванеев З. Н. Избранные работы по истории осетинского народа, Цхинвали, 1989

60. Гаглоити Ю. С. Сарматы и Центральный Кавказ, Материалы по осетиноведению, М, 1994

61. Гамрекели В. Н. Двалы и Двалетия в I-XV вв. н.э., Тб., 1968

62. Дзидзоев В. и Дзугаев К., «Южная Осетия в ретроспективе грузино-осетинских отношений», Цх.2008

63. Дзебисашвили К. Масс-медия и конфликты на кавказе № 5(6) 1999

64. Тарханова Ж., "Осетины никогда не смирятся с потерей своих земель", Февраль 10, 2015, https://www.ekhokavkaza.com/a/26840770.html

65. Тишков В., Общество в вооруженном конфликте (этнография чеченской войны). М., Наука, 2001.

66. Туаева А., Трусовское Ущелье. Почему Оно За Границей? http://iratta.com/2007/01/08/trusovskoe_ushhele_pochemu_ono_za_granicejj.html

67. Хоштария-Броссе Э. В. Документы свидетельствуют, газ. ,,Вестник Грузии", Тб., 1991.08 .03

68. Шнилерман В. А. Войни Памяти, М. 2003

69. Adams, Donald K. , Conflict and Integration, Journal Of Personality Volume 22, Issue 4, June 1954, Pages: 548-556

70. Brubaker, R., Ethnicity without groups, Arch.europ.sociol., XLIII, 2002, 163-189

71. Jalabadze N. Religions in the Caucasus Teas, Teas Press, Baku-London, 2016, pg. 219-228

72. Hoffman, F. (2007) Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars. Potomac institute for policy studies, (8-28)

73. 2010 all-Russia population census. http://www.gks.ru/free_doc/new_site/perepis2010

74. http://www.businessdictionary.com/definition/branding.html)

75. https://forum.ge/?f=29&showtopic=34565218&st=30

76. http://www.info9.ge/ekonomika/130531-kavkasiuri-yveli-2015-is-gamar-jvebuli-

77. yvelis-mtsarmoeblebi-gamovlindnen.html?lang=ka-GE

78. http://expertclub.ge/portal/cnid__3733/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx)

79. http://pin.ge/pluginsimages/opportunities/kazbegi_brandingby_brandsellence july_2017_geo.pdfhttp://pin.ge/plugins_images/opportunities/kazbegi_branding_by_brandsellence_july_2017_geo.pdf

სოფელი კობი

Central Caucasus and Trans-Caucasian Routes

ტერიტორიები, რომელზეც პრეტენზიას აცხადებს რუსეთი

ეს რუკა სოციალურ ქსელში გავრცელდა წარწერით:
“Этот регион станет Россией очень скоро!”

თრუსოს ხეობა. სოფელი კეტრისი

თრუსოს ხეობა. სოფელი კეტრისი

დაიბეჭდა **შ.პ.ს. „მწიგნობარის“** სტამბაში
თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71
www.mtsignobari.ge